ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია ცენტრის“ გაზეთი
2017 წელი, 8 ნოემბერი, №18-19-20 (6457)

# ყვარელი

გამოდის 1932 წლიდან
ფასი 1 ლარი

# დღეს ყვარელში გაიმართება ილია ჭავჭავაძის 180 წლისთავის აღსანიშნავი ილიაობა



## მამულო საყვარელო!..

ძვირფასო თანამემულენო! ძვირფასო სტუმრებო, მასპინძლებო!

ჩემი რეგლამენტი აქ, ალბათ, რამდენიმე წუთით შემოიფარგლება! არადა, ორიოდე სიტყვით ილია ჭავჭავაძის პიროვნება რომ შეაფასო, სულ ცოტა, აკაკი წერეთელი მაინც უნდა იყო!

გახსოვთ, ალბათ, აკაკის ნათქვამი:

თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, შენც მასთან ერთად იცოცხლებო!

ორიოდე სიტყვით ილია ჭავჭავაძის პიროვნება რომ შეაფასო, სულ ცოტა, ვაჟა-ფშაველა მაინც უნდა იყო, გახსოვთ, ალბათ, ვაჟას ნათქვამი:

ილიას მკვლელებს რომ შესძლებოდათ, საქართველოსაც მოჰკლავდნენო!

ორიოდე სიტყვით ილია ჭავჭავაძის პიროვნება რომ შეაფასო, სულ ცოტა, იაკობ გოგებაშვილი მაინც უნდა იყო!

გახსოვთ, ალბათ, დიდი იაკობის სიტყვები:

იქნებ, არც ერთ გენიოსს არ ჰქონდეს იმოდენა მნიშვნელობა თავისი ერისთვის, რამდენიც აქვს ილია ჭავჭავაძეს საქართველოსთვისო!

ერთი სიტყვით, ძვირფასო თანამემამულენო, დღეს, აქ, ყვარელში, იმ ბუმბერაზი პიროვნების ხსოვნის უკვდავსაყოფად ვართ შეკრებილი – ვისაც დღედაღამ ნატრულობს ჩუმის ნატვრითა ქართველი!

ყვარლიდან სულ სხვანაირად მოჩანს დიდი ილიაც და მთელი საქართველოც, კავკასიონის ამაყი მწვერვალები – აქ თითოეულ ხესა და ქვას შეტრფოდა ყმაწვილი ილია და თავის პირველსავე შედევრში კიდევაც გამოხატა ეს დიდი სიყვარული.

სამშობლო მთებო! თქვენი შვილი განებებთ თავსა, მაგრამ თქვენ ხსოვნას ვერ მივცემ მე დავიწყებასა...

ამ დიდებულ ლექსში უკვე იყო ჩადებული ის მარცვალი, ის დვრიტა, რამაც შემდგომში დიდ ილიას ათქმევინა უკვდავი სტრიქონი – „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა!. .

მართლაც წინასწარმეტყველური ძალა და გამძლეობა აღმოაჩნდა ფორმულასავით ჩამოქნილ ამ პოეტურ ფრაზას – მას აქეთ ილია და საქართველო განუყრელია!

ბევრჯერ თქმულა და ახლაც უნდა გავიმეორო – ილიამ ამცნო ჩაგრულ სამშობლოს უბრალო მოხევის, ლელთ ღუნიას ნათქვამი დაუვიწყარი სიტყვები, ყოველ ქართველს გულის ფიცარზე რომ უნდა ჰქონდეს ამოჭრილი!

უზარმაზარია დიდი ილიას ღვაწლი ერის გამოღვიძების საქმეში.

ოხ, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი, როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება!

ვის, ვის და, ამ პრობლემის, ერის გამოღვიძების პრობლემის სირთულე, სხვაზე ნაკლებ არც ჩემთვისაა ცნობილი!

ძვირფასო თანამემამულენო!

ილია ჭავჭავაძის პიროვნება იმდენად ამოუწურავია, მე თვითონ თუ არ ვილონე რაიმე, შეიძლება ველარ გამაჩეროთ!

ამიტომ, ბევრი დრო რომ არ დავაკარგვინოთ, ვსარგებლობ საქართველოს პრეზიდენტის აქ ყოფნით და მინდა უმორჩილესად ვთხოვო, თავის სიტყვაში იქნებ ყურადღება გაამახვილოს დიდი ილიას, მართალია, რიტორიკულ, მაგრამ მარადიულ კითხვაზე – აყვავებულა მდელო, აყვავებულან მთები, მამულო საყვარელო, შენ როსღა აყვავდები?!

მე პირადად, მიმაჩნია – ეს დრო შორს ნამდვილად აღარ არის!. .

ხოლო თუ ამ აზრს ბატონი პრეზიდენტიც დაადასტურებს, გიხაროდენ, ძვირფასო თანამემამულენო – ეტყობა, ეს დრო შორს მართლა აღარ არის!

**თამაზ წივწივაძე**
**1997 წელი, ყვარელი,**
**160-ე წლისთავის აღსანიშნავი ილიაობა**

## მისი ბრძნული ნააზრევი ყოფილიყოს თქვენი მეგზური და წარმატებით გადაგვწყვიტოთ ის პრობლემები, რომელთა მეოხებით მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ცხოვრების პირობები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება





ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ჩატარებიდან ორიოდე კვირა გავიდა, მაგრამ ოპოზიციური პარტიების ვნებათაღელვა ჯერაც არ ჩამცხრალა და ტელეეკრანებიდან გამარჯვებული პარტიის მისამართით ათასგვარ ბრალდებას ლაპარაკობენ.

ფაქტია, რომ არჩევნებმა ჩაიარა მშვიდ გარემოში და საქართველოს მოსახლეობამ უპირატესობა კიდევ ერთხელ „ქართულ ოცნება – დემოკრატიულ საქართველოს“ მიანიჭა, ვინაიდან 5 წლის მმართველობის პერიოდში მოსახლეობისათვის ბევრი პრობლემა გადაწყდა დადებითად, განსაკუთრებით კი ჯანმრთელობის დაცვის სფეროში.

წინასაარჩევნო მიმართვაში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა სახალხოდ განაცხადა – დღეს პარტიას ახალი მასშტაბური გეგმები აქვს, რომელთა განხორციელებაც ჩვენს ქვეყანას ახალ სიცოცხლეს მიანიჭებს, ცხოვრებისათვის ვარგისს, სადაც თანაბრად ხელმისაწვდომი იქნება თანამედროვე ცხოვრების ყველა სათავე. ამიტომაც დღეს, ჩვენ, ადგილებზე გვჭირდება ძლიერი თვითმმართველობები, სადაც იქნებიან პრინციპული, თავისი კუთხისა და ხალხის გულშემატკივარი პროფესიონალები, რომლებიც ხალხის წუხილს, ყველა პრობლემას გულთან მიიტანენ სწრაფ, შედეგისმომტან გადაწყვეტილებებს და მიიღებენ მოქალაქეობის საკეთილდღეოდ.

ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ამ მიმართვის შინაარსს გაეცნობოდა, გულგრილი არ დარჩებოდა ქართული ოცნების მიმართ. ამიტომაც, რასაკვირველია, რომ ყვარლის მუნიციპალიტეტის მოსახლეობამ კვლავ ქართულ ოცნებას დაუჭირა მხარი და საკრებულოს შემადგენლობაში 20 დეპუტატის მანდატით არის წარმოდგენილი, წინა მოწვევის საკრებულოში კი მხოლოდ 7 მანდატი ეკუთვნოდა მას.

ისტორიკოსებს შორის დღესაც მიმდინარეობს კამათი და მსჯელობა პიროვნების როლზე, ზოგიერთის მტკიცებით პიროვნება ვერ ცვლის შედეგებსო, ფაქტები კი საპირისპიროს მეტყველებენ.

ჩვენს მუნიციპალიტეტში ქართული ოცნების შთამბეჭდავი გამარჯვება სწორედაც პიროვნების ავტორიტეტმა და მიზანმიმართულმა მუშაობამ განაპირობა.

ახალგაზრდული ენერგიით აღსავსე დავით ქევხიშვილმა და როსტომ სესიაშვილმა წინასაარჩევო პერიოდში დაგვანახვეს, თუ როგორი მუშაობაა საჭირო მოსახლეობასთან. ისინი ყოველდღიურ რეჟიმში, მუნიციპალიტეტის სოფლებში ხვდებოდნენ ამომრჩევლებს, აცნობდნენ სამომავლო მოქმედების პროგრამას და განიხილავდნენ მათ მიერ წამოჭრილი საჭირბოროტო საკითხების მოგვარების გზებსა და საშუალებებს.

გაგრძელება მე-2 გვ. -ზე

## ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმი 80 წლის იუბილარია

### „... სხვა შენთვის და შენ სხვისთვის, აი გზა ცხოვრებისა, აი ხიდი ცხონებისა, აი გასაღები სამოთხისა!... “

*წლევანდელი წელი განსაკუთრებულია ყვარლელებისთვის და მთელი საქართველოსთვის. ჩვენი თანამემამულის, დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწის, მწერლის და პოეტის ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 180 წელი შესრულდა. მშობლიური ყვარელი ტრადიციულად ზეიმით ხვდება „ილიაობის „ დღესასწაულს. ამასთან დაკავშირებით გვესაუბრა ილია ჭავჭავაძის ყვარლის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი ქალბატონი თამარ ზურიაშვილი.*

**– ქალბატონო თამარ, რით იქნება გამორჩეული ეს იუბილე?**

– დიახ, წლევანდელი წელი განსაკუთრებული და გამორჩეული წელია არამარტო ყვარლელებისთვის, არამედ მთელი საქართველოსთვის, ერის მამისა და დიდი ქართველი მოაზროვნის ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 180 წლის იუბილე, ილიას წმინდანად შერაცხვიდან -30 წელი. იუბილარია ჩვენი მუზეუმიც- ჩვენი დიდი მამულიშვილის100 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით 1937 წელს ყვარელში გიორგი ლეონიძის თაოსნობით გაიხსნა მუზეუმი და პირველი მნახველებიც სწორედ შემოდგომაზე ეწვივნენ ილიას მშობლიურ ყვარელს. ასე რომ უკვე 80 წელია არ წყდება ექსკურსიების ნაკადი საქართველოს ბეთლემში მსოფლიოს ყველა კონტინენტიდან.

**– რა სიახლეებით ხვდებით ილიას 180 წლის იუბილეს?**

– სიახლეები ძირითადად სამეცნიერო მიმართულებით გვაქვს. დასრულდა მუზეუმის ფონდებში არსებული ცნობილი ქართველი და უცხოელი მხატვრების ილიას თემაზე შექმნილი გრაფიკული და ფერწერული ნამუშევრების სრული რესტავრაცია- რეაბილიტაცია (საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით – შემსრულებელი სამხატვრო აკადემიის ფერწერის სარესტავრაციო განყოფილება).

გაგრძელება მე-2 გვ. -ზე



# მისი ბრძნული ნააზრევი ყოფილიყოს თქვენი მეგზური და წარმატებით გადაგეწყვიტოთ ის პრობლემები, რომელთა მეოხებით მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ცხოვრების პირობები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება

**დასაწყისი 1-ელ გვ. -ზე**

დიდი მტკიცება არ უნდა იმას, რომ დავით ქევხიშვილი ქარიზმატულ პიროვნებას წარმოადგენს, შეუძლია ადამიანების გულის მოგება და მეგობრული ურთიერთობების დამყარება ყველა ასაკის ადამიანთან. ხოლო როსტომ სესიაშვილმა, გამორჩეული გვარის წარმომადგენელმა და რაიონის ხელმძღვანელობიდან კარგად ცნობილი პიროვნების – როსტომ სესიაშვილის შვილიშვილმა შეხვედრებში ელექტორატი დაარწმუნა, რომ მათი კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის თავდაუზოგავად იბრძოლებს.

ამ ორი ადამიანის პიროვნულმა ღირსებებმა განაპირობა ყვარლის მუნიციპალიტეტში არჩევნების შედეგები და ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს უმრავლესობით დაკომპლექტება მუნიციპალიტეტის საკრებულოსი. ასეა ყოველთვის, გამორჩეული ღირსების მქონე და ნიჭიერი ადამიანები იმარჯვებენ, რადგანაც შეუძლიათ მოსახლეობის დარწმუნება იმაში, რომ რეალურ მომავალზე ფიქრობენ და არა ტყუილზე, რომლებსაც უხვად ვისმენდით წინასაარჩევნო პერიოდში ტელეარხებიდან, თუნდაც პენსიების ერთბაშად გაზრდის თაობაზე, რომლის განხორციელებაც დღევანდელი ბიუჯეტის პირობებში შეუძლებელია.

ყვარლის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის უმრავლესობამ ნდობის მანდატი ჩააბარა ბატონებს: დავით ქევხიშვილსა და როსტომ სესიაშვილს, მათ თანამოაზრეებს. ნდობას კი გაფრთხილება უნდა.

ახლად არჩეული საკრებულო და ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი მალე მინიჭებული უფლებების განხორციელებას შეუდგებიან და ვიმედოვნებთ, რომ მოსახლეობისათვის დანაპირები საკითხების დადებითად და დროულად გადაწყვეტა იქნება მათი საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი.

ბატონო დავით, ბატონო როსტომ!

გილოცავთ შთამბეჭდავ გამარჯვებას არჩევნებში, რომლის მისაღწევად ძალა და ენერგია არ დაიშურეთ.

დიდი წინაპარი ბრძანებდა – „იცოდეთ, რომ ვისაც ხვალ ჩააბარებთ საბჭოში ხმოსნობას, იმას აბარებთ მთელის ოთხის წლის თქვენს საერთო სვე-ბედსა, თქვენის ოჯახობის საერთო კეთილსა და ბოროტსა. ოთხი წელიწადი ბევრის რისამეა შემძლებელი, ავიც შეიძლება ბევრი მოგვაყენოს კარს და კარგიც.

გულს ნუ გაიმრუდებთ, სულს ნუ წაიწყმედავთ! იცოდეთ, ეს დიდი საქმე თქვენს ნამუსს, თქვენს სინდისს, თქვენს პატიოსნებას აბარია. ახსენეთ ღმერთი და ღვთისა და მართლის სახელით, შეუდექით არჩევანის დიდს საქმეს და მარჯვენას თქვენსას არ ათქმევინოთ, რასაც გული და სინდისი არ გეუბნებათ“.

მუნიციპალიტეტის მმართველობაში თქვენი მობრძანება წმინდა ილია მართლის ღირსშესანიშნავ იუბილეს – 180 წლისთავს დაემთხვა, მისი ბრძნული ნააზრევი ყოფილიყოს თქვენი მეგზური და წარმატებით გადაგეწყვიტოთ ის პრობლემები, რომელთა მეოხებით მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ცხოვრების პირობები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება.

**პატივისცემით,**
**ალექსანდრე გიგილოშვილი**

# ამიტომ იყო მასთან ყოველთვის ჭეშმარიტება, სიმართლე და სიბრძნე...

ილიამ მთელი დღე რედაქციაში გაატარა. დაბინდებამდის მოუწია დარჩენა, რადგან გაზეთის ბოლო ნომრისათვის მოწვდილი მასალები, რომლებიც სამზეოზე უნდა გამოსულიყვნენ, სათითაოდ დაკვირვებით და ყურადღებით წაიკითხა, ანალიზი გაუკეთა, ზოგი შეასწორა კიდეც. თავისები ბოლოსთვის შემოინახა და მკითხველის თვალით და გონებით გასინჯა. „ივერიის“ რედაქტორს განსაკუთრებულად მეტად მოსთხოვა სიმართლე და პირდაპირობა, დაუნდობლობა ბოროტის მხილებისას. გაზეთს არც თუ ისე მრავლად ჰყავდა მკითხველი, მაგრამ ვინც ჰყავდა, ერთი ათასად ფასობდა. ბევრი ექომაგებოდა რედაქტორს და მხარს უჭერდა, პირშიც ეუბნებოდნენ სათქმელს, თუკი რამეზე უკმაყოფილონი რჩებოდნენ და კრიტიკაზეც იცოდნენ მხარის დაჭერა და გვერდში დგომა და ბევრიც ბოლმით ივსებდა გულს ილიას პირდაპირი კრიტიკის, სიმართლის, გონებითი მკვეთელობის გამო. თავად ილია უფრო მამხილებელ კრიტიკაზე ამახვილებდა ყურადღებას. იცოდა ამ ხერხით კოკას მირახუნებული ნიტრას გაეხამუშებოდა, მრავალი შეიცნობდა სხვაში საკუთარ თავს და აეწვებოდა კუდი...

ათი საათი განუწყვეტელი კითხვისგან თვალები დაელალა, თანაც დაბნელებულიყო და ძლიერ წვიმდა. სიცივემ ოთახშიც შემოატანა. ნაწერი თაბახები ლეღვის კაკრისფერ საქაღალდეში შეინახა, კარი ჩაკეტა და ქუჩაში გამოვიდა. ქარმა წვიმის მსხვილი წვეთები სახეში შემოაყარა, ხოლო ქუდის ფარფლებზე წვიმა წკრიალით მოედინებოდა. ეტლში ჩაჯდომისას მოიხადა და მაგრად დაბერტყა. მთელი გზა კრინტი აღარ დაუძრავს, დაფიქრებული წყლიანი თვალებით ერთ წერტილს ჩაშტერებოდა და სახეზე სევდიანი ნათელი დასწოლოდა. მართლაცდა საძნელო იყო და უამრავ სირთულესთან გართული იყო შეჭიდებული „ივერიის“ რედაქტორობა ამ ცხოვრებაში, როცა ივერიას სრულად დაკარგვოდა ივერიის სახე და წერა-კითხვის რიგიანად მცოდნენიც თითებზე ჩამოითვლებოდნენ. იმედის გადაწურვა მისთვის უცხო იყო და არც მეოცნებე რომანტიზმით იყო გატაცებული. ცხადად, აშკარად, ზუსტად, სისხლხორცივ გრძნობდა და შეიცნობდა რეალურ სინამდვილეს და სტკიოდა იგი დაუამებლად. ქართვლის ბედის თავზე დიდი კითხვის ნიშანი გაჩენილიყო და ამ საბედისწერო ნიშნის წაშლა მის გონებას და ხელებს უნდა მოემოქმედებინათ. ასეთი იყო ღვთის ნება და ესეც უწყოდა ილიამ – იგი იყო რჩეული უფლისა, რომელიც შეიყვარა მეუფემ და ისიც ყველაზედ, ყველაზედ მეტად დაუახლოვდა ზეციურ მამას. ამიტომ იყო მასთან ყოველთვის ჭეშმარიტება, სიმართლე და სიბრძნე და ის იყო ერთ მილეთ ხალხში და მოიწყინა ილიას სულმა, თუმცაღა ეს იყო ჟამიერი მოვლენა. დილით ილია ისევ ის ილია იქნებოდა სახემცინარი და შუბლსხივოსანი, თბილი ილია...

**მერი პატარქლიშვილი**



# ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმი 80 წლის იუბილარია



## „... სხვა შენთვის და შენ სხვისთვის, აი გზა ცხოვრებისა, აი ხიდი ცხონებისა, აი გასაღები სამოთხისა!... “

**დასაწყისი 1-ელ გვ. -ზე**

ორი წლის შემდეგ საგამოფენო სივრცეში ისევ გამოიფინა ილიას თემატიკაზე შექმნილი ცნობილი მხატვრების ვახტანგ ჯაფარიძის, ლადო გუდიაშვილის, დიმიტრი ერისთავის, ქეთევან მაღალაშვილის, გიგო გაბაშვილის, გიგი კეშელავას, ჰენრიკ ჰრინევსკის, უჩა ჯაფარიძის და სხვათა ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები. განახლდა მუზეუმის აუდიო და ფილმო ფონდი.

2015 წლიდან საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ დაიწყო მუშაობა საქართველოს მუზეუმების კოლექციების საინფორმაციო სისტემის შექმნაზე, სამინისტროს დაფინანსებით მუზეუმებისთვის შეძენილ იქნა შესაბამისი ტექნიკა. 2016 წელს ეტაპობრივად განხორციელდა საინფორმაციო სისტემაში სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული 14 მუზეუმის ჩართვა, 2017 წლის ბოლომდე კი სხვა მუზეუმებთან ერთად ჩვენს მუზეუმშიც დაინერგება აღნიშნული სისტემა, რაც ნიშნავს იმას, რომ მუზეუმის მთელი საფონდო და საექსპოზიციო მასალა ერთიან ელექტრონულ ბაზაში განთავსდება, რაც საკმაოდ ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესია.

მცირე კოსმეტიკური რემონტი ჩაუტარდა მემორიალური სახლის აივანს, განახლდა ილიას სათონე, თუმცა, დიდი სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო სამუშაოები მომავალი წლისთვისაა დაგეგმილი. 2018 წელს კულტურის სამინისტროსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ერთობლივი თანამშრომლობით განზრახულია საგვარეულო კოშკის, სადაც დაიბადა ილია, სრული რეაბილიტაცია. გასაახლებელია მემორიალური ეზოს ინფრა-სტრუქტურაც, იმედით შევყურებთ მომავალს, გვჯერა უფრო მეტი ყურადღება მიექცევა როგორც ადგილობრივი, ისე რეგიონალური და ცენტრალური ხელისუფლებისგან ერის მამის ნაკვნარის კარ-მიდამოს.

**– რა ღონისძიებები უძღოდა წინ „ილიაობას“ და როგორ ემზადებოდა მუზეუმი ამ დღის აღსანიშნავად?**

– ჩვენი მუზეუმისთვის ყოველდღე ილიაობაა, თითოეული თანამშრომელი დაუღალავად იღწვის დიდი მამულიშვილის სახელის პოპულარიზაციისათვის და მისი იდეების უკვდავსაყოფად. მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობს საინტერესო შემეცნებითი ღონისძიებები და ლიტერატურული საღამოები (მუზეუმის საერთაშორისო დღე, ღამე მუზეუმში, ევროპის მემკვიდრეობის დღეები და სხვა). მაგრამ განსაკუთრებით საინტერესო ღონისძიებებია ყოველთვის დაგეგმილი ილიაობის კვირეულში. წელსაც ასეა. 1 ნოემბრიდან 7 ნოემბრის ჩათვლით ყვარლის კულტურის სამსახურის თანადგომით, ბატონი ირაკლი მათიკაშვილის უშუალო მონაწილეობით კვირეული გაიხსნა ფოლკლორული საღამოთი, გაიმართა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მედიაცენტრის (პროფესორი სულხან მელაძე) მიერ გადაღებული დოკუმენტური ფილმის „ყვარლიდან წიწამურამდე“- ექვსი სერიის ორდღიანი ჩვენება რაიონის მოსწავლეთათვის. მუზეუმის 80 წლის იუბილეს მიეძღვნა დროებითი გამოფენა, სადაც წარმოდგენილია საინტერესო ფოტო-დოკუმენტური მასალები დაარსებიდან დღემდე. (გამოფენა ორ კვირას გასტანს).

კვირეულის ფარგლებში გაიმართა ტრადიციული ხატვის კონკურსი „ბავშვების თვალით დანახული ილია“, აქვე ეზოში გამოიფინება წინა წლებში გამარჯვებილი ნამუშევრები. კვირის განმავლობაში, ტრადიციულად ტარდება ღია გაკვეთილები ილიაზე ყვარლის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეებისა და საქართველოს სხვადასხვა კუთხის საჯარო სკოლების მოსწავლეთა მონაწილეობით (ზუგდიდი, ქუთაისი, თბილისი, ბათუმი, ქობულეთი). 4 ნოემბერს საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფულის მუზეუმის ერთობლივი შემეცნებითი-გასართობი აქტივობა გაიმართა თბილისის საჯარო სკოლების მოსწავლეთა მონაწილეობით ჩვენი მუზეუმის მემორიალურ ეზოში. კვირეულის ფარგლებში ჩატარდა აგრეთვე ყვარლის რესურსცენტრისა და მუზეუმის ერთობლივი შემეცნებითი აქტივობა -ვიქტორინა- „ვინ უკეთ იცის ილია“- ყვარლის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მონაწილეობით. 6 ნოემბერს ყვარელს ეწვია მოზარდ მაყურებელთა თეატრი სპექტაკლით „ვინ მოჰკლა ილია“- რეჟისორი გიორგი სავანელი, 8 ნოემბერს მემორიალურ ეზოში ტრადიციულად მოხდება, კახეთის რეგიონის საჯარო სკოლების წარჩინებული მოსწავლეების დაჯილდოვება საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ. ილიაობის კვირეულის გვირგვინი კი, როგორც ყოველთვის გრანდიოზული და შესანიშნავი „ილიაობაა“- შემოდგომის ზეიმი ილიას ეზოკარსა და ისტორიულ ციხე გალავანში.

**– ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესაცნობად ინტერესი ყოველთვის დიდია. ილიას მუზეუმში ექსკურსიების სიმრავლეც ამის დასტურია. რას გვეტყვით ამასთან დაკავშირებით და რამდენად ხშირია უცხოელი ვიზიტორების სტუმრობა?**

– ჩვენი ძირითადი მნახველი საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობაა. წელს განსაკუთრებით ბევრი მნახველი გვყავს. იმატა უცხოელი ტურისტების რაოდენობამაც, თითქმის მსოფლიოს ხუთივე კონტინენტიდან (ძირითადად ღვინის ტურიზმით და სამონადირეო ტურიზმით დაინტერესებული მნახველები). ბევრი ტურისტული ფირმა დაინტერესდა ჩვენი მუზეუმით, რომლებიც აღფრთოვანებას ვერ მალავენ ილია ჭავჭავაძის ცხოვრებასა და შემოქმედების გაცნობის შემდეგ, აღფრთოვანებას ვერ მალავენ აგრეთვე ექსკურსიამძღოლების მომსახურეობის მაღალი დონით ( მუზეუმში ოთხ ენაზე მიმდინარეობს მნახველთა მომსახურეობა – ქართულ, ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებზე), მაგრამ არც გაკვირვებას მალავენ ასეთი მწირი ბიუჯეტური სახსრების გამო. მუზეუმის დაარსებიდან დღემდე კი მილიონობით ვიზიტორს ითვლის ჩვენი მნახველთა სამუზეუმო აღრიცხვის წიგნები.

ილია ჭავჭავაძის ყვარლის სახელმწიფო მუზეუმი საგურამოსა და თბილისის მუზეუმებს შორის ერთადერთია, სადაც შესაძლებელია ილიას მთელი შემოქმედებისა და მოღვაწეობის სრულყოფილად წარმოჩენა. ამის საშუალებას იძლევა 1978 წელს სპეციალურად აგებული ის საექსპოზიციო შენობა, სადაც ქრონოლოგიურად არის წარმოგდენილი დიდი ილიას ცხოვრება და შემოქმედება დაბადებიდან წიწამურის ტრაგედიამდე და მის შემდგომ. ასეც რომ არ იყოს, ყვარელი თითოეული ქართველისთვის ერის მამის დამბადებელი ადგილია, ქართველთა ბეთლემია და რუდუნებასა და ყურადღებას მოითხოვს ყოველი ჩვენგანისგან.

**– ილიას იდეები და შეხედულებები ნებისმიერ საკითხში დღესაც ისევე აქტუალურია, როგორც მე-19 საუკუნეში იყო. რაც დრო გადის, უფრო მეტად ვრწმუნდებით მისი ნააზრევ -ნაფიქრალის ჭეშმარიტებაში. თქვენი აზრით, დღევანდელობა თუ გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ ქართველი ერი მიყვება ილიას გზას, რამდენად გავითავისეთ მისი იდეები, ილიასეული ხედვა ქვეყნის განვითარებისა რამდენად ემთხვევა თანამედროვეობას?**

– მოგეხსენებათ არ დარჩენილა სფერო, მოვლენა თუ ნებისმიერი საკითხი ილია რომ არ გამოხმაურებოდა და თავისი ძარღვიანი სიტყვა არ ეთქვა. თითოეული მისი ნააზრევი თითქოს გუშინ დაიწერაო, დღევანდელობას ასე ეხმიანება. თუნდაც ახლახან ჩატარებულ არჩევნებთან დაკავშირებით ილია გვაფრთხილებს: „-იცოდეთ, ვისაც ჩააბარებთ საბჭოში ხმოსნობას, იმას აბარებთ მთელის ოთხი წლის თქვენს საერთოდ სვე-ბედსა, თქვენის ოჯახობის საერთო კეთილსა და ბოროტსა. ოთხი წელიწადი ბევრის რისამეა შემძლებელი, ავიც შეიძლება ბევრი მოგვაყენოს კარს და კარგიც... ქვეყანა თუ ქალაქი იმისთანა კაცის ხელში უნდა იყოს, რომელსაც ხალხი იცნობს, ხალხი ენდობა და ხალხი პატივს სცემს და რომელსაც... თვითონ გული უნდა შესტკიოდეს, კარგად უნდა იცოდეს... ხალხის ვითარება, ჩვეულება, ტკივილი და სიხარული და ღონე ჰქონდეს ხალხს უშუამავლოდ ელაპარაკოს... “ ეს არის მისი ძირითადი მრწამსიც.

... როგორ მივყვებით ილიას გზას? -რა გითხრათ, ყველას თავისებური საზომი აქვს ამ გზაზე სასიარულოდ. ზოგი მარტო სიტყვით, თავისი აზრების გასამყარებლად და მოსაჩვენებლად; ზოგი მარტო სადღეგრძელოებით; ზოგი ალბათ საერთოდ არა; ზოგიც დიდი სიფრთხილით და პასუხისმგებლობით, სადმე არ წაიფორთხილოს და ქვეყნის საქმე არ წაახდინოს, დარწმუნებული ვარ ამ ზოგში ილიას გზის ჭაშმარიტი მიმდევრები უფრო ბევრნი არიან, მათ შორის ჩვენი ახლად არჩეული მესვეურებიც, რომელთაც მარტო ილიას სიტყვით ლაპარაკი კი არა, ილიაზე ფიქრი, მისი ნააზრევის გამართლება და ილიას გზით სიარული შეუძლიათ.

**– რას გვეტყვით დღევანდელი გადასახედიდან, - ილია ჭავჭავაძე, როგორც გულმხურვალე პატრიოტი და დიდი დემოკრატი, ჰუმანისტი....**

– დამერწმუნეთ, ძნელად მოიძებნება მსოფლიო პოლიტიკაში ისეთი პიროვნება რომელიც ასეთი თავგამოდებით ექომაგებოდეს საკუთარ ერს, ქრისტიანობას, მუსულმანებს და ზოგადად ყველა უკანონოდ დაჩაგრულს. აი, რას მოგვიწოდებს ჩვენი დიდი წინაპარი: „... ეგრეა ყველაფერი, ჩემო კარგო ; დიდი თუ პატარა ერთი ერთმანეთისთვის საჭირონი ვართ, თუ დღეს არა ხვალე მაინც... სხვა შენთვის და შენ სხვისთვის, აი გზა ცხოვრებისა, აი ხიდი ცხონებისა, აი გასაღები სამოთხისა!. . “

ილიას გზით სიარულის მსურველები უმრავლოს საქართველოს!

**ესაუბრა ია გიგიაშვილი**

# სწორედ, დიდი ილიას სიტყვების გააზრება და გათვალისწინება გვჭირდება იმისათვის, რომ უკეთეს საქართველოში ვიცხოვროთ...



*„ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა, მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია“, ამბობდა დიდი ილია. ამ საქმეში კი უდიდეს მნიშვნელობას განათლებას ანიჭებდა. „... ჩვენ გვავიწყდება, რომ ცოდნა, სწავლა-განათლება დაუშრეტელი წყაროა, როგორც კაცად მყოფობისათვის, ისეც თავის სარჩენად, ქონებისა და სარჩოს მოსაპოვებლად. რასაც მცოდნე კაცი ერთს საათში მოიამაგებს, იმას უცოდინარი მოანდომებს ოთხ-ხუთ საათს. შესაძლოა კაცს სიმდიდრე თვალ წინ ედოს და ვერა ჰხედავდეს უცოდინარობით და ან ჰხედავდეს და არ იცოდეს, როგორ და რა გზით აიღოს და შინ შეიტანოს, და მცოდნე კაცი-კი ქვასაც წყალს გამოადენს, სიმდიდრის წყაროს იქ ამოხეთქებს, საცა უცოდინარს სიზმარშიაც არ მოეჩვენება“....*

*ილია ჭავჭავაძემ თავის პუბლიცისტურ შემოქმედებასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში დიდი ადგილი დაუთმო სახალხო განათლებისა და მოზარდი თაობის აღზრდის საკითხებს, რამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული პედაგოგიური მეცნიერებისა და ქართული სახალხო ეროვნული სკოლის ჩამოყალიბების საქმეში. დღესაც აქტუალურია მისი იდეები აღზრდისა და განათლების შესახებ.*

*მრავალი წელია, ილიას მშობლიურ ყვარელს მისი სახელობის სკოლაც ამშვენებს, რომელმაც არაერთი საამაყო და წარმატებული თაობა აღზარდა.*

*ილიას 180 წლის იუბილე ყვარლის 1 საჯარო სკოლისთვის ერთერთი ღირსშესანიშნავი მოვლენაა. ამასთან დაკავშირებით ვესაუბრეთ სკოლის დირექტორს, ქალბატონ ბელა ოსეფაშვილს.*

**– ქალბატონო ბელა, ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ყვარლის 1 საჯარო სკოლა გამორჩეულია იმით, რომ დიდი ილია სახელს ატარებს, რაც თავისთავად დიდი პასუხისმგებლობაა. ილია ჭავჭავაძის 180 წლის იუბილესთან დაკავშირებით როგორ მოემზადეთ, რა ღონისძიებები გაქვთ დაგეგმილი?**

– სავსებით გეთანხმებით, ჩვენ ამაყები ვართ იმით, რომ ჩვენი სკოლა დიდი ილიას სახელს ატარებს. გარდა სიამაყისა, ეს პასუხისმგებლობასაც გვაკისრებს, რომ ღირსეულად შევასრულოთ ჩვენზე დაკისრებული მოვალეობა მომავალი თაობის აღზრდისა და დღევანდელობასთან შესაბამისი განათლების მიცემის კუთხით.

სსიპ-ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ყვარლის 1 საჯარო სკოლა ყოველწლიურად აქტიურად მონაწილეობს „ილიაობისადმი“ მიძღვნილ ღონისძიებებში, მაგრამ წლევანდელი წელი მართლაც გამორჩეულია. 2017 წელს აღინიშნება ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 180 და გარდაცვალებიდან 110 წლის იუბილე. სკოლა აქტიურად ემზადება აღნიშნული თარიღისთვის. „ილიას კვირეულის“ ფარგლებში დაწყებით საფეხურზე ჩავატარეთ „დამრიგებლის საათი“ ჩატარება ილიას ბიოგრაფიისა და მისი ნაწარმოებების გაცნობის მიზნით, ასევე კლასის დამრიგებლის ხელმძღვანელობით მოსწავლეები ესტუმრნენ ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმს ყვარელში და უფრო ახლოს გაეცნენ უდიდესი მოაზროვნის ცხოვრებასა და შემოქმედებას. დაგეგმილია საბაზო საფეხურის მოსწავლეების ექსკურსია საგურამოში, ილიას სახლ-მუზეუმში, რის შემდეგაც მოსწავლეები წიწამურთან პატივს მიაგებენ ილიას ხსოვნას. ასევე, კვირეულის ფარგლებში, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგის, ქალბატონი ნუნუ იმხანიძის ინიციატივით ჩატარდება სკოლის მოსწავლეთა ერთობლივი ლიტერატურული ღონისძიება „ილია და ყვარელი“, სადაც მოსწავლეების გარდა წმინდა ილია მართალზე ისაუბრებს მამა ბენიამინი . ქალაქ ყვარლის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ინიციატივით კვირეულის ფარგლებში ჩატარდება რაიონული კონკურსი „ჩვენ ვიცნობთ ილიას“, სადაც ჩვენი სკოლის მოსწავლეები მიიღებენ მონაწილეობას. აღსანიშნავია, რომ ჩვენი სკოლის მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი რაიონის კულტურულ ცხოვრებაში. ბევრი მათგანი „ილიაობის“ საერთო-სახალხო დღესასწაულზე თავისი შემოქმედებით : ლექსით, ცეკვით, სიმღერით თუ ნახატების გამოფენით იღებს მონაწილეობას.

**– ილია ჭავჭავაძის აზრები განათლების შესახებ საყოველთაოდაა ცნობილი. ის, რომ იგი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ერის განვითარების საკითხებში განათლებას. შეგვიძლია დღეს ხმამაღლა ვთქვათ, რომ ზოგადად ქვეყანაში სწავლების პროცესი სწორად მიმდინარეობს?**

– ნამდვილად. სწავლა-სწავლების მაღალ ხარისხზეა დამოკიდებული, რომ სრულყოფილი განათლება მიიღოს მომავალმა თაობამ. აქსიომაა, რომ განათლებული თაობაა ქვეყნის იმედი, ამიტომაცაა, რომ განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესები მიმართულია სწავლა-სწავლების ხელშეწყობისთვის. საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანი სწორედ სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება და წამყვან პოზიციებზე გადაყვანაა. მიუხედავად ბევრი გამოწვევებისა, რეფორმები განათლების სისტემაში უწყვეტად მიმდინარეობს.

**– „ნიჭს ზრდა, წვრთნა, გახსნა და გაშლა უნდა“. – ამაში მნიშვნელოვან როლს პედაგოგები ასრულებენ. რას გვეტყვით თქვენი სკოლის პედაგოგების შესახებ?**

– დიდი სიამაყით შემიძლია აღვნიშნო, რომ სსიპ-ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ყვარლის 1 საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი მართლაც გამორჩეულია კვალიფიკაციით, სიახლეების დანერგვით, თუ მოსწავლეებთან ურთიერთობით. სკოლის პედაგოგების ნახევარზე მეტი, 34 მასწავლებელი სერტიფიცირებული, ანუ უფროსი მასწავლებელია. მათგან ორს ჩაბარებული აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერიმენტალური ნაწილი, სამ პედაგოგს ჩაბარებული აქვს ინგლისურისა და კომპიუტერის ინტეგრირებული გამოცდა და მათგან ორი „1000 ლარიანი“ მასწავლებელია. სკოლაში მუშაობს აგრეთვე ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი. საამაყოა, რომ ჩვენი სკოლის ორი პედაგოგი „ილიაობისადმი“ მიძღვნილ რაიონულ ღონისძიებაზე დასახელდა ყვარლის საპატიო მოქალაქედ. პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლებაზე აქტიურად ზრუნავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და, რა თქმა უნდა, სკოლა მაქსიმალურად უწყობს ხელს პედაგოგებს კარიერულ წინსვლაში. სსიპ-ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ყვარლის 1 საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის პედაგოგები წლებია ჩართულები არიან „ჯიპრაიდის“ პროექტში, რაც ითვალისწინებს პედაგოგთა გადამზადებას თანამედროვე მეთოდებით სწავლა-სწავლების საკითხებში, ასევე სკოლის აღჭურვას დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის მათემატიკის და ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისთვის სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებებით, ასაწყობი კუბებით, საკითხავი წიგნებითა თუ პოსტერებით . საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, უცხო ენების, გეოგრაფიისა და მათემატიკის პედაგოგები აქტიურად გადიან „ათასწლეულის გამოწვევა-საქართველოს“ ე. წ. „მილენიუმის“ ტრენინგებს სწავლა-სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად. ასევე, სკოლის დირექტორი და დირექტორის მოადგილე ჩართულნი არიან „მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტში“ და წარმატებით მონაწილეობენ „ლიდერობის აკადემიის“ ტრენინგებში. გარდა ამისა, სსიპ-ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ყვარლის 1 საჯარო სკოლა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით ახორციელებს„თავისუფალი გაკვეთილების“ ოთხ პროექტს, რაც ითვალისწინებს საბაზო საფეხურის მოსწავლეების სახელოვნებო, სპორტული, საბუნებისმეტყველო და ლიტერატურული მიმართულებით განვითარებას. აღნიშნული პროექტების ფარგლებში მოსწავლეები წარმატებით ეუფლებიან მაგიდის ჩოგბურთს, ოქრომკედით ქარგვას ქართული ორნამენტების გამოყენებით, ატარებენ სახალისო ქიმიურ ცდებს, ეცნობიან საყვარელი მწერლების შემოქმედებას. დიდი სიამაყით მინდა აღვნიშნო ჩვენი თანამშრომლობა „კომაროვის სკოლასთან“. ჩვენ აღნიშნულ სკოლასთან გავაფორმეთ მემორანდუმი და სსიპ-ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ყვარლის 1 საჯარო სკოლის ბაზაზე დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ გაღრმავებულად შეისწავლონ მათემატიკა „შაბათის კომაროვის სკოლაში“.

**– „ქართველი ერი ყოველთვის მისდევდა განათლებასა და სწავლას“. დღეს არცთუ იშვიათად გვესმის, რომ წიგნთან ურთიერთობას და სწავლას მომავალი თაობისთვის ინტერესი აქვს დაკარგული. იზიარებთ ამ აზრს?**

– მოზარდების წიგნთან ურთიერთობის ფორმა ნამდვილად შეცვლილია და ეს არცაა გასაკვირი. ახალი ტექნოლოგიების ეპოქაში მოსწავლეებს ინტერნეტის მეშვეობით ნებისმიერი ავტორის ნებისმიერი წიგნის გაცნობის საშუალება აქვთ და ამას უფრო სწრაფად და მათთვის მოსახერხებელ გარემოში ადვილად აკეთებენ. თუმცა, ვთვლი, რომ წიგნს ბეჭდური სახით თავისი ხიბლი აქვს და პირველ რიგში, მშობელს ევალება, ჩაუნერგოს შვილს კითხვის სიყვარული. მშობელმა უნდა მისცეს მაგალითი შვილს ყველაფერში და ამ შემთხვევაში, წიგნის კითხვაში. ცოტა რთულია, ბავშვს შეუყვარდეს კითხვა, თუ მას დედა წიგნით ხელში არასდროს უნახავს.

**– „ამ წუთისოფელში ბედი იმისია, ვინც ძლიერია, და ძლიერი მარტო მცოდნე კაცია“-როგორ ფიქრობთ, თანამედროვე ყოფიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, ამართლებს ეს სიტყვები?**

– რათქმაუნდა. ილიას ეს გამონათქვამი ყოველთვის ამართლებდა და თანამედროვეობაში მითუმეტეს. ოცდამეერთე საუკუნეში განათლების გარეშე შეუძლებელია რამე ღირებულს მიაღწიო. მეცნიერების განვითარება ახალი ტექნოლოგიების განვითარების შედეგია, რაც, თავის მხრივ, სწავლა-სწავლების მაღალი დონის გარეშე შეუძლებელია

**– „მოგვეცით მართალი სკოლა, ქართველის სულისა და გულის ამამაღლებელი, გონების გამხსნელი!“ქალბატონო ბელა, არის დღეს ქართული სკოლა ქართველის სულისა და გულის ამამაღლებელი?**

– ქართული სკოლა მრავალი გამოწვევის წინაშეა, იქნება ეს მოსწავლეთა არასაკმარისი მოტივაცია, მშობელთა ნაკლები ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში თუ მატერიალურ-ტექნიკური პრობლემები, მაგრამ სკოლის პედაგოგები მაქსიმაურად იხარჯებიან, რათა მოსწავლეებს არამარტო ცოდნა მისცენ, არამედ, რაც ყველაზე მთავარია, ღირსეულ მოქალაქეებად აღზარდონ და მათ მოყვასის და სამშობლოს სიყვარული ჩაუნერგონ.

**– საილიაობოდ რას უსურვებდით თქვენს სკოლას, ყვარელს და სრულიად საქართველოს, რა გვჭირდება დღეს ყველაზე მეტად, რომ ილიას გზით ვიაროთ?**

– ჩვენს მოსწავლეებს, პედაგოგებს, მშობლებს ვუსურვებდი მშვიდობას, წარმატებებს პირად და საზოგადოებრივ საქმეში და ცოდნისა და უნარების ქვეყნის კეთილდღეობისთვის გამოყენებას. სწორედ, დიდი ილიას სიტყვების გააზრება და გათვალისწინება გვჭირდება იმისთვის, რომ უკეთეს საქართველოში ვიცხოვროთ, რადგან ჩვენ მომავალს მხოლოდ ჩვენ ვქმნით ჩვენი ცოდნით და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით.

**ესაუბრა ია გიგიაშვილი**

# სიახლეები, რომლებიც მძღოლებს 1 ნოემბრიდან ელით



ახალი საგზაო რეგულაციებისა და ე.წ ჭკვიანი კამერების გააქტიურებამდე ორი დღე რჩება, მძღოლებს შორის კი დაძაბულობა იმატებს, რადგან უმეტესი მათგანი შიშობს, რომ ჭკვიანი კამერების წყალობით ჯარიმების რაოდენობა მოიმატებს. ამ შემთხვევაში სასიხარულო ინფორმაციას ალბათ ის წარმოადგენს, რომ ახალი კამერების მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის დაფიქსირებისას მძღოლებს ქულები არ აკლდებათ, მოძრაობის წესების დარღვევის შესახებ ინფორმაცია კი მძღოლებს მოკლეტექსტური შეტყობინებით დაეგზავნებათ. ე.წ ჭკვიანი კამერები თითქმის ყველგან განთავსდება, სადაც ინტენსიური საავტომობილო მოძრაობაა, განსაკუთრებით კი საზოგადოებრივი ტრანსპორტით დატვირთულ მონაკვეთებში.

საერთო ჯამში, ქვეყნის მასშტაბით, 3 000 ვიდეოკამერის მონტაჟია გათვალისწინებული. მიმდინარე წლის ბოლომდე კი ვიდეოკამერა შვიდ დიდ ქალაქში დამონტაჟდება. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის შალვა ხუციშვილის ინფორმაციით, ამ ეტაპზე დედაქალაქში უკვე 100 ჭკვიანი კამერაა დამონტაჟებული.

**შსს-ის განმარტებით ვიდეონალიტიკური პროგრამა 5 სახის დარღვევას დააფიქსირებს:**

1. შუქნიშნის წითელ ფერზე გავლას
2. ორმაგი ღერძულა ხაზის გადაკვეთას
3. სიჩქარის გადაჭარბებას
4. მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობას
5. მუნიციპალური ტრანსპორტის ზოლში გავლას

სიჩქარის გადაჭარბების შემთხვევაში კიდევ ერთი სიახლეა – თუკი აქამდე მძღოლს შეეძლო შეენელებინა მოძრაობა კონკრეტული ვიდეოკამერის არეალში, ახლა უკვე სისტემა იძლევა იმის საშუალებას, რომ საქართველოს მასშტაბით, ყველა ცენტრალური ავტომაგისტრალი და ქალაქის ქუჩა დაყოფილი იყოს ე.წ სექციებად და ვიდეოკამერა თვლის ე.წ. ავტოსატრანსპორტო საშუალების გადაადგილების საშუალო სიჩქარეს. ანუ, ის მომენტი, რომ მხოლოდ ვიდეოკამერის წინაშე ანელებდნენ სიჩქარეს, რა თქმა უნდა, აღარ იქნება გათვალისწინებული ამ სისტემის მიერ.

ამასთან, ახალი პროგრამა დამრღვევ ავტომანქანაზე ჯარიმას ავტომატურად გამოუწერს, სწორედ ამიტომ 1-ელი ნოემბრიდან ამოქმედდება ჯარიმების გადახდის ახალი სისტემაც. კერძოდ, თუ დამრღვევი ჯარიმას სმს-ის მიღებიდან 10 დღის ვადაში გადაიხდის, ამ შემთხვევაში ის 20%-იანი შეღავათით ისარგებლებს.

„თუ პირი მოკლე ტექსტური შეტყობინების მიღებიდან 10 დღის ვადაში ვიდეოჯარიმას არ გადაიხდის, საჯარიმო ქვითარი, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, მას ფოსტის მეშვეობით გაეგზავნება;

ვიდეოჯარიმის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით ჩაუბარებლობის შემთხვევაში, 30-დან 60 დღის ვადაში, პირს ვიდეოჯარიმა განმეორებით ეგზავნება;

საჯარიმო ქვითრის ფოსტის მეშვეობით ორჯერ ჩაუბარებლობის შემთხვევაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო უზრუნველყოფს საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნებას ოფიციალურ ვებ-გვერდზე: წწწ.პოლიცე.გე;

საჯარიმო ქვითარი გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს შესაბამისი პირისთვის ჩაბარებულად მიიჩნევა;

ვიდეო ან ფოტოფირზე დაფიქსირებული სამართალდარღვევისთვის განსაზღვრული ჯარიმა მოქალაქემ უნდა გადაიხადოს საჯარიმო ქვითრის ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში. გადაუხდელობის შემთხვევაში, მას დაერიცხება საურავი, რომლის გადაუხდელობის შემთხვევაში ამოქმედდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი იძულებითი აღსრულების წესი“, – აღნიშნა პალიტრა ნიუსის გადაცემა „დღის თემაში“ შსს-ის ერთობლივი ოპერაციების ცენტრის დირექტორმა გიორგი არსოშვილმა. ვიდეოჯარიმების შესახებ მოკლე ტექსტური შეტყობინების მისაღებად, თქვენი მობილური ტელეფონის ნომერი დაფიქსირებული უნდა იყოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში.

**რა უნდა გააკეთოთ იმ შემთხვევაში, თუ მართვის მოწმობის მიღების დროს მითითებული არ გაქვთ თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია:**

1. უნდა მიბრძანდეთ შს სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ნებისმიერ სერვისცენტრში და დააფიქსიროთ თქვენი პირადი მონაცემები ერთიან ბაზაში;

2. ან გაიარეთ ონლაინ რეგისტრაცია შს სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდზე: www.sa.gov.ge



# მამულს შემსხვერპლებული კაცის ამაგდროზა ხომ განუზომელია, რადგან „წმიდაა იგი, ვისაც ეღირსა მამულისათვის თავის დადება“



*1837 წლის 8 ნოემბერს დაიბადა წმინდა ილია მართალი (ჭავჭავაძე) – ერის უგვირგვინო მეფე და უკვერთხო სულიერი მამა. „ქრისტე ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენც ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის. ამ პატარა საქართველოს გადავუღეღეთ მკერდი და ამ მკერდზედ, როგორც კლდეზედ, დავუდგით ქრისტიანობას საყდარი, ქვად ჩვენი ძვლები ვიხმარეთ და კირად ჩვენი სისხლი და ბჭეთა ჯოჯოხეთისათა ვერ შემუსრეს იგი“.*

*1987 წელს საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდმა განიხილა ილია ჭავჭავაძის ღვაწლი ერისა და ეკლესიის წინაშე და განაჩინა: „ ილია ჭავჭავაძე შერაცხილ იქნას წმიდნად და ეწოდოს მას ილია მართალი“.*

*ილია მართალის (ჭავჭავაძის) 180 წლის იუბილესთან დაკავშირებით გთავაზობთ ინტერვიუს ყვარლის ჭავჭავაძეანთ ტაძრის მოძღვართან, დეკანოზ მამა ბენიამინთან (ჩიხორლიშვილი).*

**– მამაო, როგორ ხვდებით ილია ჭავჭავაძის 180 წლის იუბილეს?**

– წმინდა ილია მართლის (ჭავჭავაძის) 180 წლის იუბილესთან დაკავშირებით, 1917 წლის 7 ნოემბერს, საღამოს 16 საათზე, ჭავჭავაძეანთ საგვარეულო ტაძარში – ნათლისმცემელში აღვასრულეთ ლოცვა, ხოლო დღეს, 8 ნოემბერს, დილის 10 საათზე ჩატარდება წმინდა ილია მართლისადმი მიძღვნილი საზეიმო წირვა. წირვის შემდეგ, 12 საათზე, წმინდა ილია მართლის სახლ-მუზეუმში, კოშკთან, ტრადიციულად ჩავატარებთ წმინდა ილია მართლის პარაკლისს, რომელსაც დაესწრებიან როგორც ტაძრის მრევლი, ასევე მოწვეული სტუმრებიც.

მე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და, თქვენი გაზეთის საშუალებით, მივულოცო ყვარელს და სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის იუბილე ჩემი ახალი ლექსით:

**პიროფლიან მოყმეს!**

გრემის მთავარანგელოზის სვეტთან,
მუხლმოდრეკით ვუხმობ
უფალს მარტო...
რომ გავუძლო ამდენ
დარდს და სევდას,
ქეთევანის მტკიცე რწმენას ვნატრობ.

გრემიდან კი – ნეკრესშიაც აველ,
ლევანის კოშკს ნისლი გადაჰყროდა...
გადმოვხედე დიდ ალაზნის მთა-ველს,
რეკდა ზარი, ტაძარს მიმიხმობდა.

სამების ცერს გადაველი შემდეგ,
ანგელოზთა შემიფარეს მგზავრი...
მათ ტკბილ ხმაზე,
მეც შევსთხოვდი ზემდეგს,
განქარვოდა ჩვენს ქვეყანას ჯავრი.

სამებიდან გადმოვედი ყვარელს,
ვეამბორე მის მადლიან მიწას.
ვესათუთე დიდ ილიას მხარეს,
მასზე ფიქრში, დარდიც დამავიწყდა.

იქნებ კვლავაც დაიბადოს კოშკში,
ერთი ვინმე – „პიროფლიან მოყმედ“.
დაგვიბრუნოს ხანძთა, ბანა, ოშკი...
და მას ქვეყნის გაბრწყინებაც მოჰყვეს.

**– ცნობილია, რომ ილიას ბავშვობაშივე შეასწავლა დედამ წერა-კითხვა, ლოცვები, საღვთო ისტორია. სტუდენტობის პერიოდში დაინტერესებული იყო ძველი ქართული წიგნებით და ბევრს კითხულობდა. პეტერბურგიდან საქართველოში მომავალი, როგორც ფიქრობდა: „რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე?. . შევძლებ კი, რომ მას ღვიძლი სიტყვა ვუთხრა და ამ სიტყვით გულისტკივილი მოვურჩინო, დავრდომილი აღვადგინო, უნუგეშოს ნუგეში მოვფინო, მტირალს ცრემლი მოვწმინდო, მუშაკს შრომა გავუადვილო?“ მან ნამდვილად შეძლო ახალი სიტყვა ეთქვა და თავისი ცხოვრებით წმინდანთა რიგებში დამკვიდრებულიყო. გვესაუბრეთ მასზე, როგორც წმინდა ილია მართალზე.**

– ადამიანი ფასდება იმისდა მიხედვით, თუ როგორი სულით და გულით ემსახურა უფალს და მამულს. მამულს შემსხვერპლებული კაცის ამაგდროზა ხომ განუზომელია, რადგან „წმიდაა იგი, ვისაც ეღირსა მამულისათვის თავის დადება“. ასეთი კაცი შთამომავლობისათვის სალოცავ ხატად იქცევა ხოლმე და, თავისი ცხოვრების მაგალითით, დიდ გავლენას ახდენს მომავალი თაობის სარწმუნოებითა და მამულიშვილური სულისკვეთებით აღზრდაზე. ასეთი ჭეშმარიტი მამულიშვილი იყო ჩვენი ერის სულიერი მამა – წმინდა ილია მართალიც.

საღმრთო წერილს იგი სიყრმეშივე ეზიარა. ყვარელში, მამისეულ სახლში, ჩინებულ ადგილზე ესვენა ძველი, მაგარი ყდით მოსილი სახარება, რომლის მინდვრებზე ღირსსახსოვარ ამბებს აღნუსხავდნენ ხოლმე და კრძალვით ეხებოდნენ. სწავლის წყურვილი მომავალ წმინდანს დედამ შთააგონა, სახარების კითხვისა და აღთქმის უნარი კი პირველმა მასწავლებელმა, ყვარლის მთავარდიაკონმა – ნიკოლოზ სეფაშვილმა შესძინა.

ყვარლის მთავარდიაკონთან მიღებული შთაბეჭდილებებით შთაგონებულ პატარა ილიას, როგორც გრიგოლ ყიფშიძე გადმოგვცემს, ბერად შედგომა სდომებია. მართალია ბავშვობის ოცნება ვერ აისრულა, მაგრამ თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობითა და მოწამეობრივი აღსასრულით ნათელი გვირგვინი დაიდგა.

პეტერბურგში სწავლისას წმინდა ილია მართალი ბევრს კითხულობდა ძველ ქართულ წიგნებს. ეს წიგნები იყო მეფის ასულის – სალომეს ბიბლიოთეკიდან, რომლებიც მისი გარდაცვალების შემდეგ, ქართული ენისა და სიტყვიერების კათედრის გამგემ, პროფესორმა დავით ჩუბინაშვილმა გადასცა პეტერბურგში მყოფ ქართველ სტუდენტობას: „ქილილა და დამანა“, ვახუშტის „საქართველოს ისტორია“, „ქართლის ცხოვრება“, საბას „ლექსიკონი“. მათ შორის იყო სასულიერო წიგნებიც: „საქრისტიანო სწავლა“ – გაიოზ რექტორისა, „მარხვისათვის“ – ბასილი დიდისა, „სადღესასწაულო“, „ჟამნი“, „დავითნი“, „საღვთო კურთხევანი“, „პარაკლიტონი“, „სამოციქულო“, „საღმრთო მსახურება“ და სხვა მრავალი.

გრიგოლ ყიფშიძის თქმით: წმინდა ილია მართალს „თითქმის მოხუცებულობამდე შერჩა სიყვარული საღმრთო წერილის კითხვისა... ხშირად კითხულობდა სახარება – სამოციქულოს და მოსმენაც უყვარდა ეკლესიაში მათის წაკითხვისა; ისე აღდგომა არ გათენდებოდა, რომ განსაკუთრებული გულისძგერა არ აშლოდა და არ მოენდომებინა ეკლესიაში წასვლა, უფრო კი სახარების კითხვის მოსასმენად“.

წმინდა ილია მართალი, მთელი თავისი შემოქმედებით, რომელიც ღრმად ფილოსოფიურ-რელიგიურია, სულიერად წვრთნიდა ჩვენს ერს. მოვუსმინოთ მას, თითქოს წმინდა დიონისე არეოპაგელი გვესაუბრება: „ადამიანს ხორცის გარდა ერთი სხვა მოჰმადლებია, რომლითაც იგი ადამიანობს ვით კერძო ღვთისა. ის ერთი – სული და გულია, უჭკნობლის ნიჭით და ღონით დალოცვილი... შესაძლოა ხორცი დაბერდეს, დაუძლურდეს, სული და გული კი – ისევ ყვაოდეს, ზეგარდმო მადლით შუქმოფენილი და მრავალფერად გადაშლილი, თუ კი ადამიანი საკადრისად უპატრონებს, ხორცის მბრძანებლად გახდის და ხორცს არ გაალახვინებს – მე ვსთქვი – ეგ ნიჭია – მეთქი და ნიჭს ზრდა, წრთვნა, გახსნა და გაშლა უნდა“.

„ვითა მამა ზეცის, იყავ შენც სრული“, – ამ სახარებისეულ შეგონებას ვხვდებით წმინდანის ერთ ადრინდელ ლექსში „როდემდის?“ ეს მოწოდება არაერთგზის მეორდება მის ნაწარმოებებში, რაც დასტურია იმისა, რომ ადამიანი ზნეობრივი სრულყოფილების პრობლემა წმინდა ილია მართლის შემოქმედების მთავარი თემაა. ზნეობრივ აღმზრდელად წმინდა ილია მართალს ქრისტიანული რელიგია მიაჩნდა. იგი ხაზგასმით აცხადებდა, რომ საზოგადოებრივი ჰარმონიის გარანტია მართლმადიდებლურად აღზრდილი პიროვნება, ანუ საქმით მეტყველი სული, რომელსაც სიყვარული უნათებს გზას ღვთაებრივის სამსახურში. ქრისტიანული აღზრდის შედეგი კი, სამი მთავარი სათნოებაა – რწმენა, სასოება და სიყვარული, რომელთა გარეშეც შეუძლებელია ქართველთათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამეულის – ენის, მამულისა და სარწმუნოების აღდგენა და გაბრწყინვება.

**– „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: ენა, მამული, სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას?“**

**მამაო, როგორც ვიცით ილია ჭავჭავაძე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის მებრძოლთა რიგებშიც იდგა: 1905 წლის ოქტომბერში დასწრებია წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის სასწავლებლის შენობაში გამართულ სამღვდელოების კრებას, რომელიც საქართველოს ეკლესიის ავტონომიის საკითხს მიეძღვნა. მეთაურობდა საზოგადო მოღვაწეთა ჯგუფს, რომელმაც კავკასიის მეფისნაცვალს მიმართა თხოვნით, მხარი დაეჭირა ქართველთა ბრძოლისათვის ავტოკეფალიის დასაბრუნებლად. ამასთან დაკავშირებით რას გვეტყვით?**

– საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა ყოველთვის იდგა წმინდა ილია მართლის მიერ გაჩაღებული ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის საბრძოლო დღის წესრიგში. 1905 წლის რევოლუციურმა მოძრაობამ ახალი სული შთაბერა ამ ოცნების ხორცშესხმას.

აი, რას წერდა ამის შესახებ წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი (თაყაიშვილი): „ქართველებს გვინდოდა, რომ ეს საკითხი დადებითად გადაეწყვიტა მეფის ნაცვალს ვორონცოვ-დაშკოვს. მისთვის ვაწყობდით კრებებს ილიას თანდასწრებით და ილიას ვავალებდით ამ საკითხის შესახებ პირადად მოლაპარაკებოდა ვორონცოვ – დაშკოვს“.

ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილი, წმინდა ილია მართლის მეთაურობით, 1905 წლის შემოდგომაზე ეახლა მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვს და ოფიციალურად მოსთხოვა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის განხილვა. პეტერბურგში ყოფნისას მან მოინახულა აგრეთვე პეტერბურგის მიტროპოლიტი ანტონი და სინოდის ახლად დანიშნული ობერ-პროკურორი ალექსი ობოლენსკიც. წმინდა ილია მართალს ობერ-პროკურორისათვის უთქვამს: „ამ ქვეყნის და თვით სახელმწიფოს საზიანო მოვლენას ბოლო რომ მოეღოს (იგულისხმება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება), ჩვენი ხალხის გულშემატკივარმა შვილებმა წამოაყენეს საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი, რომელსაც იმედია, ანგარიშს გაუწევთ თქვენცა და თქვენი ინიციატივით მოწვეული საეკლესიო კრების წინასწარი თათბირიცო“.

მეფის მთავრობა იძულებული შეიქმნა ფორმალურად დაენიშნა პეტერბურგში სპეციალური სხდომა, სადაც უნდა განხილულიყო საქართველოს ეკლესიის თვითმწყემსობის აღდგენის საკითხი.

სხდომაზე წმინდა ილია მართალი გამოვიდა მოხსენებით, რომლის დასაწყისში იგი ამბობს, რომ თვით ის და ქართველი ერის სხვა წარმომადგენლები, ჩამოვიდნენ პეტერბურგში არა ვინმეს სახელით, არამედ გამოხატავენ საკუთარ, საერო პირების თვალსაზრისს საქართველოს ეკლესიის თვითმწყემსობის საკითხთან დაკავშირებით. შემდეგ კი პირდაპირ გადადის სათქმელზე: „რუსეთის საზღვრებში, ყოველ არარუსს რწმენის საკითხებში აქვს საკუთარი, დამოუკიდებელი მმართველობა; სომხები, მუსულმანები, ებრაელები და სხვანი, აღმსარებლობის საქმეში თვითონ არიან უფლებამოსილნი. აქვთ საკუთარი სასწავლებლები, რომლებშიც სწავლა მათ მშობლიურ ენაზე მიმდინარეობს... ისინი დამოუკიდებლად და თავისთავად იმართებიან საკუთარი სასულიერო წოდების მიერ, რომლებიც საკუთარი წრიდანვე ყავთ დადგენილი. უცნაურია, რომ ყოველივე ამ სიკეთეს მოკლებული არიან მხოლოდ და მხოლოდ მართლმადიდებელი ქართველები, თითქოსდა სასჯელად მათი მართლმადიდებლობისა. მხოლოდ მართლმადიდებელ ქართველთა ასეთმა უუფლებობამ, შესაძლოა, წარმოშვას აზრი, რომ ეროვნული თვალსაზრისით, არამომგებიანია, არარუსმა, მართლმადიდებლურ რუსეთში მისდიოს მართლმადიდებლურ აღმსარებლობას. საქმის ასეთი ვითარება, შეიძლება მხოლოდ რაღაც გაუგებრობის შედეგად მივიჩნიოთ, რომელიც მართლმადიდებლობის ინტერესთა საზიანოდ, სამწუხაროდ, უკვე საკმაო ხანს გრძელდება. ასეთი საშინელი მდგომარეობის შემდგომი გაგრძელება, ჩვენი აზრით, მიჩნეული უნდა იქნეს უდიდეს სახელმწიფოებრივ და რელიგიურ ცთომილებად.

ამიტომაც, წარმოვუდგენთ რა განსახილველად თქვენი წმინდა სინოდის კეთილ ნებას, ჩვენს შუამდგომლობას საქართველოს ეკლესიისათვის უძველესი დროიდან, მის წიაღში არსებული ავტოკეფალური მმართველობის დაბრუნების შესახებ, ვიმედოვნებთ, რომ სწორედ ამით აღვასრულებთ მოქალაქის წმინდა მოვალეობას. ასევე ვიმედოვნებთ, რომ იგი დაიმსახურებს თქვენი წმინდა სინოდის ყოვლისშემძლე მომხრეობას“. აი, ასეთი გახლდათ წმინდა ილია მართლის სამართლიანი და მკაცრი პათოსით აღსავსე სიტყვის ერთ-ერთი ფრაგმენტი.

სხდომაზე გამოვიდა ეპისკოპოსი კირიონ საძაგლიშვილი (მომავალი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II), რომელმაც თავის მოხსენებაში დაასაბუთა, რომ ეკლესიური მონობა ყველა მონობაზე უარესია.

ფორმალურად დანიშნულმა კომისიამ უარყო ქართველების მოთხოვნები და ამ ეტაპზე საქართველოს ეკლესიის აღდგენის ყოველგვარი მცდელობა მარცხით დამთავრდა.

როდესაც კავკასიის სამხედრო სასამართლომ ილიას მკვლელებს ჩამოხრჩობა მიუსაჯა, თბილისის გენერალ-გუბერნატორს მკვლელების შეწყნარების თხოვნით მიმართა თვით ილიას ქვრივმა ოლღა გურამიშვილმა: „მე ღრმად მწამს, დღეს რომ ჩემი ქმარი ცოცხალი იყოს, შეუნდობდა მათ, რომელთაც სასიკვდილოდ გაიმეტეს იგი და თავის უბედურ, გზააბნეულ ძმებად მიიჩნევდა... მე თითქოს მხოლოდ იმისთვის დავრჩი ამსოფლად, რათა დავაბოლოო ის ღვაწლი კაცთა მიმართ მხურვალე სიყვარულისა, რომელსაც ჩემმა ქმარმა მთელი თა-

გაგრძელება მე-5 გვ. -ზე



დასაწყისი მე-4 გვ. -ზე

ვისი სიცოცხლე შესწირა, – შეუნდო იმ უბედურ, გზააბნეულ მოყვასთ, რომელთაც თვით ის შეუნდობდა. ჩემი დღეები დათვლილია... ამჟამად თქვენგანაა დამოკიდებული მოიქცეთ ისე, რომ სიცოცხლის აღსასრულის ჟამს ვიგრძნო უმაღლესი ნეტარება, რომელსაც ადამიანის სულს ძალუძს მიაღწიოს ამ წუთისოფელში, შეერთება ღმერთთან, რომელიც განიცადა ქრისტემ, როცა ჯვარზე განრთხმული, სიკვდილის ჟამს, ღვთიური სიყვარულის შუქით განათებული, ევედრებოდა შემოქმედს შენდობას იმ მტრებისას, „რამეთუ არა იციან, რასა იქმან“...

**– ამბობენ, ილიამ სიცოცხლეშივე შეუნდო თავის მკვლელებს ცნობილი ლექსით „ლოცვა“.**

**„მამაო ჩვენო, რომელი ხარ**
**ცათა შინა,**
**მუხლმოდრეკილი, ლმობიერი**
**ვდგავარ შენ წინა;**
**არცა სიმდიდრის, არც**
**დიდების თხოვნა არ მინდა,**
**არ მინდა, ამით შეურაცხვყო**
**მე ლოცვა წმინდა...**
**არამედ მსურს მე, განმუნათდეს**
**ცით ჩემი სული,**
**შენგან ნამცნების სიყვარულით**
**აღმენთოს გული,**
**რომ მტერთათვისაც, რომელთ**
**თუნდა გულს ლახვარი მკრან,**
**გთხოვდე: „შეუნდე, არ იციან,**
**ღმერთო, რას იქმან!“**

**– თქვენ რას გვეტყოდით?**

– „ღმერთი სიყვარულია, – გვმოძღვრავს ჩვენი ერის სულიერი მწყემსი, უწმინდესი და უნეტარესი, დიდი მეუფე, მამაი ჩვენი ილია, – ქრისტე მაგალითია სიყვარულისა, სულიწმინდა – ძალი სიყვარულისა, ეკლესია – საგანძური და მფარველი მისი, ქრისტიანობა – სიყვარულის რელიგიაა, ქრისტიანი კი – ნიმუში სიყვარულისა“.

ქრისტიანული სიყვარულის დიდი მასწავლებელი პავლე მოციქულიც გვასწავლის: „სიყვარული სულგრძელ არს და ტკბილ“... ღვთიური სიყვარული ჭეშმარიტებისაკენ ისწრაფვის, ყველაფერს ითმენს და იტანს. ესაა ნამდვილი სიყვარული, ამაშია ადამიანის ბედნიერება. ბედნიერნი ვართ, როცა ჩვენთან არს ღმერთი, გვწამს და გვიყვარს, გვიყვარს სამშობლო, მშობლები, ოჯახი, მოყვასი...

მაგრამ ღვთიური სიყვარული, უპირველეს ყოვლისა, ეს მტრების სიყვარულია, „გიყვარდეს მტერი შენი“, – ეს სიტყვები ქრისტიანობის გულია.

საყოველთაოდაა აღიარებული წმინდა ილია მართლისეული ჰუმანიზმიც, რომელიც თვით ქრისტიანული წიაღიდან იღებს სათავეს:

„გებრალებოდეს, ნუ ჰრისხავ მტერს, შენზედ შურით მწვდომსაო,

კეთილ ფარად უფარე, შენთვის ბოროტის მდომსაო,

მადლისა წყაროს ასმევდე, ცოდვის გუბეში მდგომსაო“.

წმინდა ილია მართალმა ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს დაწერა ლექსი „ლოცვა“, სადაც მუხლმოდრეკილი და ლმობიერი შესთხოვს შემოქმედს: არა მინდა რა შენი, გარდა ისეთი სულგრძელობისა, რომ თვით მტერთაც კი, რომელთ თუნდა გულს ლახვარი მკრან, შევუნდო და ვაპატიო; და მართლაც, ალბათ ცოცხალი რომ დარჩენილიყო წიწამურის ტრაგედიის შემდეგ, არ გატეხდა ამ სამუდამო ანდერძს წმინდა ილია მართალი და, თავისი ღირსეული თანამეცხედრესავით, დიდსულოვნად შეუნდობდა თავის უბედურ, გზააბნეულ თანამოძმეებს.

დიდი გამოხმაურება მოჰყვა ოლღა გურამიშვილის თავად ჭავჭავაძის ქვრივის თხოვნის წერილს იმდროინდელ ქართულ და რუსულ პრესაში. დიდ ლევ ტოლსტოის უთქვამს: „რა ამაღელვებელია“... ხოლო ერთ-ერთ რუსულ გაზეთში კი ეწერა: „ღმერთმა დალოცოს კნეინა ჭავჭავაძე, ის ჩვენ ადამიანებისადმი რწმენას გვიბრუნებს... აქამდე ვიცოდით, რომ მზე აღმოსავლეთიდან ამოდიოდა, ახლა კი დავრწმუნდით, რომ ეთიკის მზეც იქიდანვე ამოდის, კერძოდ კი საქართველოდანო“.

**– და ბოლოს, მამაო, რას გვეტყოდით წმინდა ილია მართლის ეზო-კარის აღმდგენელზე, ჩვენი რაიონის სასიქადულო შვილზე, პოეტ ილო ბეროშვილზე, რომელსაც კულავ, 2018 წლის 10 მაისს, დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდება?**

– ვიდრე ილო ბეროშვილის მიერ აღდგენილ მემორიალობაზე ვისაუბრებდე, მინდა შეგახსენოთ ცოტა რამ წმინდა ილია მართლის ეზო-კარის ისტორიიდან.

წმინდა ილია მართლის ვერაგულად გაწირვის შემდეგ, მისი ყვარლის სახლკარი და მამულები გადაეცა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. ამ საზოგადოებამ ღირსეულად ვერ მოუარა კარმიდამოს, რის შედეგადაც დაზიანდა ძირითადი ნაგებობანი, განიბნა და განიავდა მემორიალური უნიკალური ნივთები.

სწორედ ამის შედეგი იყო, რომ მუზეუმის გახსნის ჟამს, 1938 წლის 1 მაისს, აღარაფერი აღარ იყო პირველყოფილის სახით და მიუხედავად ამისა, მაინც გაიხსნა მუზეუმი და მოეწყო გამოფენა ყოფილი საგვარეულო კოშკის მეორე სართულზე, რომელიც მანამდე დაკავებული ჰქონდა ბიბლიოთეკას. ქვედა სართული კვლავ ბიბლიოთეკას დარჩა და ამის გამო, იგი თვით ოფიციალურ დოკუმენტებშიაც ბიბლიოთეკა-მუზეუმად იწოდებოდა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ილიას გამზრდელის, სალომე ლოლაძის შვილიშვილი ფატი გოგინაშვილი.

1943 წელს მუზეუმს სათავეში ჩაუდგა ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მწერალი პლატონ კეშელავა. მან დიდი ამაგი დასდო მუზეუმს. გაარემონტა ეს ნაგებობა, განტვირთა ბიბლიოთეკისაგან და ორივე სართულზე მოაწყო მეტად საინტერესო ექსპოზიცია. ის მცირე ფართობი, რაც მაშინ მუზეუმს გააჩნდა, შესანიშნავად გამოიყენა საგამოფენოდ. მაგრამ მუზეუმს, რომელსაც მემორიალობის პრეტენზია ჰქონდა, აღარაფერი გააჩნდა მემორიალური, გარდა იმ ერთადერთი 500 წლიანი კაკლის ხისა, რომლის ჩრდილქვეშაც ირწეოდა ხოლმე ილიას აკვანი.

მუზეუმს რომ ნამდვილი სახე დაბრუნებოდა, ყველა ნაგებობა უნდა აღდგენილიყო პირვანდელი სახით, მაგრამ საქმეს ის აძნელებდა, რომ ილიასეულ მარანზე დაშენებული იყო კულტურის სახლი, რომელსაც საცხოვრებელი სახლის ნაწილიც ჰქონდა დაკავებული, მრავალგზის ფერნაცვალი საგვარეულო ციხე-კოშკი საგამოფენო დარბაზად იყო ქცეული, აღარსად ჩანდა ნაკვალევი წისქვილის, ბეღლის, სათონისა და სხვა სათავსოებისა.

ეს შეუსაბამობა და უხერხულობა ილო ბეროშვილმა მუზეუმში მოსვლითანავე იგრძნო და ჯერ კიდევ 1967 წელს, გამოაქვეყნა წერილები ამ საკითხის ირგვლივ პრესაში. აღძრა საკითხი კულტურის სამინისტროსა და რაიონის ხელმძღვანელობის წინაშე, რათა მუზეუმის საქმიანობა წარმართულიყო იქითკენ, რომ აღმდგარიყო მემორიალური გარემო. მემორიალობის აღდგენამდე, პირველ რიგში, უნდა აშენებულიყო საგამოფენო დარბაზი ისეთ ადგილზე, რომელიც არ შეეხებოდა ეზოს მემორიალურ ნაწილს.

გარკვეული დაბრკოლებების შემდეგ, 1976 წელს გადნა ყინული და ადგილობრივ ხელმძღვანელთა და ასევე ზემდგომი ორგანოების მხარდაჭერის შედეგად, აშენდა მეტად საინტერესო და ორგინალური არქიტექტურული ნაგებობა, რომელმაც თავისთავად გააკეთა განაცხადი და დააყენა დღის წესრიგში მემორიალობის აღდგენის საკითხი.

მემოერიალობის აღდგენისას მრავალი მრჩეველი და გულშემატკივარი გაჩნდა, ავიც ბევრი ითქვა და კარგიც. მუზეუმის დირექტორი არ შეუშინდა მოსალოდნელ და გარდაუვალ სიძნელეებს, მისი დიდი ბრძოლისა და კამათის შემდეგ, საღმა აზრმა გაიმარჯვა და მუზეუმს დაუბრუნდა თავისი დაკარგული ტერიტორია ავარიული თეატრის შენობით. შენობა დაშალეს და ძველი ფოტომასალების, ჩანაწერებისა და გადარჩენილი საძირკვლის მეშვეობით, კვლავ აღადგინეს ორსაწნახელიანი მემორიალური მარანი. მშობლებისეულ ბინას შეემატა მესამე ოთახი და კვლავ დაუბრუნდა თავისი დაკარგული ფუნქცია.

მშობლების ბინის აღმოსავლეთით დაანგრიეს ორანჟერია და აღადგინეს სათონე და ბეღელი თავისი მოსადევარით. აღსდგა მემორიალური სამსართულიანი ციხე-კოშკი პირვანდელ მდგომარეობაში და მომავალ თაობებს მიეცათ საშუალება ენახათ, თუ როგორ იბრძოდნენ იცავდნენ თავს ილიას წინაპარნი. აღადგინეს რუსხმული თავისი წისქვილით მუშა მდგომარეობაში და ხის ბოძებზე გაწყობილი ვაზის თალარი. ნაწილი რკინის ღობისა მოიხსნა და მის ნაცვლად გაკეთდა ძველებური გალავანი „თევზის ფხის“ წყობით, ხოლო რკინის ჭიშკრის მაგივრად აშენდა ძველი თაღოვანი ხის ჭიშკარი.

ამრიგად, ილო ბეროშვ„ილის დაუღალავი შრომისა და მეცადინეობის შედეგად, ყველა სიძნელე დაძლეულ იქნა და წმინდა ილია მართლის კარმიდამოს დაუბრუნდა თავისი პირვანდელი იერსახე.

კულავ, 2018 წლის 10 მაისს, დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდება ყვარლის წმინდა ილია მართლის მუზეუმისათვის დამაშვრალ მოღვაწეს, ილო ბეროშვილს და, მე მინდა, მის ამ მომავალ საიუბილეო თარიღს, მისივე ლექსის სტრიქონებით შევეხმიანო:



„დამხობილი ვარ შენს წინაშე,
როგორც ქადაგი,
ნააკვნარ მიწის ლოცვაში
ვლევ დარჩენილ დღეებს,
მეც მტკივა გული ლელთ
ღუნიას ბოლმით ნადაღი
და ჩემი ცრემლიც თერგის
ზვირთთან აწყდება კლდეებს.
ბარბაცით მოვდევ
წუთისოფლის ღორღიან ბილიკს,
მხრებზე მახურავს შენი
სიბრძნის კვართი გრძნეული,
ამა თილისმით აკი ვუძლებ
დროჟამის ქილიკს
და კვლავ ვსწორდები
ქარიშხლისგან გადარხეული.

ავლენ და ჩავლენ წუთისოფლის
ორფა კიბეზე,
ჩემს ნაფეხურსაც წაშლის
ჟამი მიუსაფარი,
ბევრჯერ იტყვიან ავსა
და კარგს ადამის ბედზე
და მაინც ისევ შენ იქნები
საყრდენი ფარი.

შენ აღარ დაგთმობს არასოდეს
მარადისობა,
უნდა მარადის ჰკურნო ერის
და ხალხთა წყლული,
ველარ მოგწვდება დამთრგუნველი
შური და მტრობა,
აღარ იქნება არასოდეს
სხვა წიწამური“...

წმინდა ილია მართლის თანამდევი და უკვდავი სული შეეწიოს მისი ეზო-კარის ერთგული მსახურის – ბატონი ილო ბეროშვილის ნათელ სულს, შეეწიოს თავის დამბადებელ ყვარელს და სრულიად საქართველოს. ამინ!

**გმადლობთ მამაო, საინტერესო საუბრისათვის, გილოცავთ დღესასწაულს, კიდევ მრავალს დაესწარით.**

**ესაუბრა ია გიგიაშვილი**

# გამონათქვამები:
# ილია ჭავჭავაძე

**ილია ჭავჭავაძის გენიალური ხედვა და მისი უკვდავი ფრაზები არასოდეს კარგავს აქტუალობას. კიდევ ერთხელ თვალი გადაავლეთ და ჩაუღრმავდით მის ნააზრევს.**

**1. სინანულისა და განკითხვისათვის აღარც გული გვაქვს გულის ადგილას და აღარც ჭკუა ჭკუის ადგილას და ვიძახით წარამარად „დრონი მეფობენო“ მაშინ, როდესაც დრო მხოლოდ იგი ქვევრია, რომელიც მარტო იმას ამოიძახებს ხოლმე, რასაც თვითონ კაცი ჩასძახებს.**

**2. შურს ისა სწყინს და გულს უკლავს, -სხვას ჩემზე მეტ რადა აქვსო. ნატვრა-კი პატიოსნური სურვილია, მეც ის შევიძინო, რაც სხვას შეუძენია, მისდა სიკეთემდე, ღირსებამდე მივაღწიოო. შური ვერ იტანს სხვისა ღირსებას, ნატვრა-კი შეჰხარის. შური ებრძვის ღირსებას, ნატვრა-კი ეტრფის.**

**3. არამც თუ უსაბუთო ძაგება, უსაბუთო ქებაც კი საწყენია მართებულის კაცისათვის.**

**4. ზოგი საგანია, რომ თუ არ დაინახავ, ვერ ირწმუნებ, და ზოგი – იმისთანა, თუ არ ირწმუნებ, ვერ დაინახავ.**

**5. ქართველმა, თავისის სარწმუნოებისათვის ჯვარცმულმა, იცის პატივი სხვის სარწმუნოებისაც. ამიტომაც ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ქართველს სურვებიყოს ოდესმე სხვისა სარწმუნოების დაჩაგვრა და დევნა. სომეხნი, ებრაელნი, თვით მაჰმადიანნიცა, ჩვენს შორის მცხოვრებნი, ამაში ჩვენ ვერაფერს ვერ წაგვაყვედრებენ. სხვა ქვეყანაში სარწმუნოებისათვის დევნილნი და ჩაგრულნი – აქ ჩვენში ჰპოულობდნენ მშვიდობის-მყოფელს სავანესა და სინდისის თავისუფლებას.**

**6. ბედს თვითონ კაცი ქმნის და არა ბედი კაცსა.**

**7. სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამათ არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას. ესა საღმრთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს.**

**8. ეს ანდერძად გქონდეს ჩემგან: არა საქმეში უზნეობა, უპატიოსნობა არ გაურიო. გახსოვდეს ყოველთვის, რომ ქვეყანაზედ ქაღალდის გარდა არის კიდევ სინდისი, რომელზედაც იწერება პირობა იმ სიმკვიდრით და სიმტკიცით, რომ არავითარი ძალა არ ამოშლის და არ გააუქმებს. ადამიანთა ურთიერთობა შეუძლებელია დააფუძნო უზნეობის საწყისებზე და საქმე, რომელიც ზნეობრივი პრინციპების დარღვევიდან გამომდინარეობს, არავის გამოადგება. სამუდამოდ დაიმახსოვრე, რომ მოვალეობის გარეშე უფლება არ არსებობს, ხოლო მოვალეობა ისაა, რომ პატივი სცე, დაიცვა კიდეც სხვისი უფლება და არ დაარღვიო იგი.**

**9. რა არის სიმდიდრე? სიმდიდრე კარგი რამეა მე მის საწინააღმდეგოდ რა მეთქმის, მაგრამ ის მაინც არ არის საჭირო პირობა ბედნიერებისა. უიმისოდ ბედნიერება კარგადა გრძნობს თავს და იგრძნობს კიდევ, თუკი ჩვენ ვიქნებით ისეთი ადამიანები, რომლებიც უპირველესად ზნეობრივი მხარის დაკმაყოფილებას ესწრაფვიან.**

**10. არც უწიგნობა ვარგა და არც მარტო წიგნებიდამ გამოხედვა. უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა და მარტო წიგნითაც საკმაოდ გრძელი არ არის. უკადრისობად მიგვაჩნია ჭკუა უწიგნო ტყაპუჭქვეშაც ვიგულვოთ. ჩვენ ვთაკილობთ და არა გვჯერა, რომ ყველა გონიერი კაცი, თუნდ უწიგნოც, ზოგჯერ მწიგნობარისათვისაც კი ოსტატია.**

**11. პაწია ყრმავ, ეხლა როცა პირველად მოდიხარ ქვეყანაში, შენ სტირი და შენს გარშემო კი ყველას სიხარულის ღიმილი მოსდის, იყავ ისე, რომ როცა ქვეყანას ეთხოვებოდე, ყველანი სტიროდნენ და მარტო შენ კი ღიმილი მოგსვლოდეს.**

**12. ვინც კაცად არ ვარგა, ის არც მამად ივარგებს, არც დედად და არც სხვად რადმე; იმიტომ, რომ მამობა და დედობა ადამიანური მარტო შვილების გამრავლება და ძუძუს წოვება არ არის.**

**13. მარტო შენი მტერი დაგიმალავს, შენს სახეზედ რომ ურიგობა ჰნახოს რამე, მოყვარე კი მაშინვე სარკეს მოგიტანს, რომ გაისწორო და ხალხში არ შერცხვე.**

**14. ბოდიში ძნელად თუ მოარჩენს მოგრეხილს კისერსა, – და არც მოტეხილი ფეხისთვის არის უებარი წამალი.**

**15. სიკეთით სძლიე შენს მტერსა, ერიდე სისხლით ზღვევასა: სულგრძელობითა ძლევა სჯობს ვაჟკაცობითა ძლევასა.**

**16. რაც გინდა პატარა იყოს სამშობლო ქვეყანა, – პატიოსანის გულში მაინც დიდი ადგილი უჭირავს.**

**17. ღმერთს შენთვის გონება, გული მოუცია, ავარჯიშე, მინამ სიცოცხლე შეგწევს. გონება გზას გაგინათლებს, გული – გაგითბობს, ღმერთი ძლიერია ყველას გულში, – ბატონია თუ ყმა, მე ვარ თუ შენა, – ღვთისგან ანთებული ცეცხლი ანთია; ის ცეცხლი არ უნდა გავაქროთ, თუ რომ გვინდა პირნათლად შევეყაროთ ჩვენ გამჩენსა, ის ცეცხლი მეც, შენც და სხვასაცა ხანდახან იმისთანა საქმეს გვაქმნევინებს, რომ ქვეყანას აკვირვებს რა ვუყოთ, რომ მე და შენ დღეს პატარები ვართ? ვინ იცის ხვალ ბედი რომ გადატრიალდება, ვინ წინ მოექცევა და ვინ უკან?. . რაც შეგვეძლოს, ჩვენ ისა ვქნათ, ღმერთიც ჩვენგან იმასა თხოულობს და კაციცა.**



# ილიას გზით, ილიას მრწამსით ევლოს ყოველ ქართველს და მწამს, ყველაფერი კარგად იქნება





*იშვიათად თუ შეხვდებით ადამიანს, რომელსაც მოსწავლეობის დროს არ ენახოს ილია ჭავჭავაძის მუზეუმი. მე კი წილად მხვდა ბედნიერება და სკოლაში სწავლის პერიოდში, ზაფხულობით მიწევდა ცხოვრება ილიას მუზეუმის გვერდით ნაქირავებ ბინაში, ვინაიდან იმ წლებში მამაჩემი ლიმონათის ქარხნის დირექტორი იყო და როგორც ყველა მოზარდს, უზომოდ მიყვარდა მაშინდელი ნატურალური წვენებით დამზადებული ლიმონათის მირთმევა.*

*ბუნებრივია, ილიას მშობლიური სახლის არაჩვეულებრივად ლამაზი ეზო გვიზიდავდა მოზარდებს და მეც ხშირად იქ ვიმყოფებოდი.*

*იმ დროს გავიცანი ქალბატონები: ლეილა ნასყიდაშვილი, ნუნუ გარსევანიშვილი, ლამარა ირემაშვილი, ლიანა ავაზაშვილი და დღევანდელი გაზეთის ნომრის რესპოდენტი, ქალბატონი ციალა მოლაშვილი, რომელსაც უდიდესი*



*წვლილი მიუძღვის სამუზეუმო საქმიანობის გაუმჯობესებასა და ექსპონატებით გამდიდრებაში. ქალბატონი ციალა შილდელების რძალი გახდა და სამაგალითოდ საჩვენებელი ოჯახი შექმნა მიხეილ მირიანაშვილთან ერთად. მათ ორი ვაჟი შეეძინათ გია და იოსები. გია დღეს საფრანგეთის მოქალაქეა, იოსები კი შილდაში ცხოვრობს დედასთან ერთად. ქალბატონმა ციალამ უკვე 87 წელს გადააჭარბა, მაგრამ მაინც მხნედ და ომახიანად უძღვება საოჯახო საქმეს, მაგრამ ნოსტალგია არ ასვენებს, რადგანაც თავისი შემოქმედებითი ცხოვრების უდიდესი ნაწილი ილიას კარმიდამოს გაკეთილშობილებასა და ექსკურსიების მიღებას მოანდომა და ყოველთვის ცდილობდა ილიას უდიდესი ეროვნული მოღვაწეობის შთამბეჭდავი ეპიზოდებით გაემდიდრებინა ვიზიტიორთა ცოდნა.*

*ილია ჭავჭავაძის მუზეუმის თანამშრომლებიდან ერთადერთი ჭარმაგი ადამიანიღა შემორჩა და ამიტომაც გადავწყვიტე ქალბატონ ციალასთან ვიზიტი, რათა მუზეუმის ისტორიის შესახებ გვესაუბრა, რაზედაც იგი სიამოვნებით დაგვთანხმდა.*

**– ქალბატონო ციალა, სტუდენტობის წლებში თუ გიფიქრიათ, რომ ილიას მუზეუმში დაიწყებდით მუშაობას და თქვენი შეგნებული ცხოვრების დიდ ნაწილს სახელოვანი წინაპრის მოღვაწეობის პროპაგანდას მიუძღვნიდით?**

– ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ წილად მხვდებოდა ბედნიერება – მემუშავა ამ ბუმბერაზი ადამიანის სახლ-მუზეუმში, რომ ყოველდღიურად შემეძლებოდა ილიას ნატერფალს შევხებოდი, რომ ასი ათასობით ადამიანს გავაცნობდი ერის მამის, უგვირგვინო მეფის, როგორც მას სამართლიანად მიიჩნევს ქართველი ხალხი, ცხოვრებასა და შემოქმედებას.

**– ვინ იყო მაშინ მუზეუმის დირექტორი და როგორ მიგიღოთ?**

– ილიას მუზეუმში მუშაობა დავიწყე 1957 წელს. დირექტორი იყო მწერალი პლატონ კეშელავა, ილიაზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანი. მაშინ ჭირდა რუსულენოვანი ამხსნელის პოვნა. როგორც იცით, ჩემი ოჯახი 1933 წლიდან 1948 წლამდე ციმბირში იყო გადასახლებული, ამიტომ მე ქართული წერა-კითხვა არ ვიცოდი. ბატონმა კეშელავამ ქართულად დაწერილი ილიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის მასალები გადმომცა და მთხოვა გადამეთარგმნა და დამესწავლა. ვერ გავბედე, მეთქვა ჩემი გაჭირვება. დავიწყე თავდაუზოგავი შრომა და სულ მალე ვთარგმნე საჭირო მასალა რუსულად. ასე სახელდახელოდ მაზიარა მშობლიურ ენაზე წერასა და კითხვას სულმნათი ილიას მადლმა. ხშირად ვუსმენდი ნუნუ გარსევანიშვილის ახსნილს და ვიმდიდრებდი ცოდნას.

მხარში მედგა ბატონი პლატონი და მთელი ჯგუფი, მათი მხრიდან ყოველდღიურ ზრუნვასა და ყურადღებას ვგრძნობდი, რაც მათამამებდა და მიბიძგებდა უფრო ღრმად გამეცნო ჯერ მე და მერე დამთვალიერებლებისათვის ამომწურავად გადამეცა ილიას ტიტანური შრომა.

**– ჩვენს სახელოვან პოეტსა და ეროვნულ მოღვაწესთან, ილო ბეროშვილთან ერთად რამდენი წელი მოგიწიათ მუშაობა და როგორ ასახავდით მის საქმიანობას მუზეუმში?**

– კეშელავა ავადმყოფობის გამო გათავისუფლდა და მის ადგილზე დაინიშნა დიდი პატრიოტი, ილიას უდიდესი თაყვანისმცემელი, პოეტი ილო ბეროშვილი, რომელთანაც მუშაობა რამდენიმე წელი მომიწია. საქმისადმი თავდადებული, უანგარო მოღვაწე, თბილი და მზრუნველი თანამშრომლების მიმართ. არასოდეს დამავიწყდება, ჩემს ქორწილში ექსპრონტად მომიძღვნა ლექსი, ხალხი ალტაცებით შეხვდა და განსაკუთრებით კი თამადა დიდი დავით ლაფაჩიშვილი.

**– ნებისმიერ დაწესებულებაში, სადაც ჯანსაღი კოლექტივია, საქმე ყოველთვის წინ მიდის, თქვენ უთუოდ გაგიმართლდათ, რადგან მუშაობდით ლეილა ნასყიდაშვილთან, ნუნუ გარსევანიშვილთან, ლამარა ირემაშვილთან, როგორი კოლეგები იყვნენ და რა წვლილი მიუძღვით მუზეუმის განვითარებაში?**

– ილო ბეროშვილი დაუღალავად, თავდაუზოგავად იღვწოდა მუზეუმის გასაფართოვებლად. „რკინის ქალამან ჩაცმული" დადიოდა ყველგან, რათა მუზეუმისთვის დაებრუნებინა ჩამორთმეული ადგილი და ილიას ნაქონი ნივთები. მან შეძლო ყველა დაბრკოლების გადალახვა და ყვარელს შეემატა ილიას მემორიალური და საექსპოზიციო ნაწილი.

– ვწუხვარ, რომ ჩემი კოლეგები დღეს ცოცხლები აღარ არიან. ღმერთმა ნათელში ამყოფოთ. მათმა თავდაუზოგავმა, თავდადებულმა შრომამ ილიას სახელი შორს გაიტანა (არ დაგვავიწყდეს, რომ ილიას სახელის ხსენებაც კი არ შეიძლებოდა 30-იან წლებში). ჩვენ ერთ ოჯახად ვცხოვრობდით, ნათელმირნობამ კიდევ უფრო განამტკიცა ჩვენი ურთიერთობა. ერთი გვქონდა ჭირიცა და ლხინიც.

მუდამ გვახსოვდა, რომ ჩვენ დიდი ილიას ღვაწლის აღდგენასა და პროპაგანდას ვემსახურებოდით. დაუღალავად ვეძებდით და შემდეგ რუდუნებით ვუვლიდით ყოველ ახლად შემომატებულ ილიას ხელშენავლებ ნივთს. განსაკუთრებით დიდი წვლილი ამ საქმეში მიუძღოდათ პლატონ კეშელავას, ილო ბეროშვილს და ნუნუ გარსევანიშვილს.

**– მუზეუმის მემორიალურ მდგომარეობაში აღსადგენად ძალისხმევას არ იშურებდა ბატონი ილო, მაგრამ ყავდა მოწინააღმდეგეები აქაც და ზემდგომ ინსტანციებშიც. მიუხედავად ამისა, მისმა აზრმა გაიმარჯვა და მაშინდელი რაიკომის პირველი მდივნის რობერტ ურჯუმელაშვილის მხარდაჭერით მუზეუმი მემორიალობაში იქნა აღდგენილი. თქვენ ყოველივე ამის მომსწრე ხართ, რა მოიგო მუზეუმმა ამით?**

ჩემი მუშაობის პერიოდში ხომ მხოლოდ ეზოში არსებულ კოშკში, სადაც ილია დაიბადა, იყო გამოფენილი სამუზეუმო ექსპონატები. შემდეგ კი მას მიემატა სახლი და საექსპოზიციო დარბაზები, რაც ილო ბეროშვილის უდიდესი ძალისხმევის შედეგია.



**– თქვენი მუშაობის პერიოდში თუ იყვნენ სტუმრად ცნობილი ადამიანები და როგორი შთაბეჭდილებებით დაგრჩათ მეხსიერებაში?**

– ჩემი მუშაობის პერიოდში მრავალი ცნობილი ადამიანი სტუმრობდა მუზეუმს. მათ სახელებს რა ჩამოთვლის, მაგრამ გავიხსენებ მწერალ ლევან გოთუას, რომელიც მაშინ „გმირთა ვარამზე" მუშაობდა. ის დილით მხარზე ჩანთაგადაკიდებული გადიოდა გრემში და საღამოს ბრუნდებოდა მუზეუმში, სადაც ის ცხოვრობდა. დიახ, ის ილიას მუზეუმის კედლებში იღებდა საოცარ ენერგეტიკას და წერდა ყველასთვის საყვარელ რომანს. მუზეუმის ყველა თანამშრომელს საჩუქრად გადმოგვცა ახლადგამოსული რომანი.

ასევე მწერალმა ელიზბარ ზედგინიძემ, რომელიც ხშირი სტუმარი იყო მუზეუმის, გვისახსოვრა ლექსების კრებული ავტორისეული წარწერით. მხატვრებმა გიგი კეშელავამ და ქეთევან მეტრეველმა სურათები უძღვნეს მუზეუმს.

**– თქვენს ახალგაზრდობაში, ხოლო შემდგომ მუზეუმში მოღვაწეობის პერიოდში როგორი იუბილეები იმართებოდა და რომელს უფრო გამოარჩევდით?**

– ყველაზე დასამახსოვრებელი, გრანდიოზული და ნამდვილი სახალხო დღესასწაული იყო პირველი იუბილე, რომელიც გაიმართა 1957 წელს. განსაკუთრებით დამამახსოვრდა მახარაძის რაიონის საჩუქარი – დიდი ვაზა, რომელზეც ილიაა გამოსახული. ის დღესაც ინახება ილიას მუზეუმში.

**– თქვენი უფროსი ვაჟიშვილი დიდი ხანია შორეულ საფრანგეთში ცხოვრობს, როგორია მონატრების სურვილი და რამდენად კმაყოფილი ხართ მისი იქ მოღვაწეობით?**

– ჩემი შვილები სამშობლოსა და ქვეყნის დიდ პატრიოტებად აღვზარდე. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანია გია საფრანგეთის მოქალაქეა და ცხოვრებაც კარგად აიწყო, მაინც ენატრება ფესვები, საიდანაც წარმოიშვა, ამიტომ ის საქართველოში დაბრუნდება და იცხოვრებს თავის ქვეყანაში.

**– დღეს ერის უგვირგვინო მეფის დაბადებიდან 180 წლისთავს ვზეიმობთ, რას უსურვებდით ჩვენს ბედკრულ ქვეყანას და დაჩაგრულ ერს?**

– მხოლოდ ერთს და მოკლედ გეტყვით: ილიას გზით, ილიას მრწამსით ევლოს ყოველ ქართველს და მწამს, ყველაფერი კარგად იქნება.

ესაუბრა
**ალექსანდრე გიგილოშვილი**

# ბიომასის ენერგიის წარმოება საქართველოს მდგრადი განვითარებისათვის



საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ, გაეროს განვითარების პროგრამამ (UNDP) და გლობალურმა გარემოსდაცვითმა ფონდმა (GEF) შეაჯამეს ოთხწლიანი ინიციატივის შედეგები, რომლის მიზანი იყო ბიომასის წარმოებისა და გამოყენების ხელშეწყობა საქართველოში.

2017 წლის 23 ოქტომბერს გაიმართა პროგრამის დასკვნითი შეხვედრა, რომელსაც საქართველოს მთავრობის, ბიომასის მწარმოებელი კომპანიებისა და სამოქალაქო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

„საქართველოს სოფლად მცხოვრები მოსახლეობის 70 პროცენტი გათბობის მთავარ წყაროდ კვლავ შეშას მოიხმარს, რომელიც უმეტესწილად ტყის არაკანონიერი გაჩეხვის გზითაა მიღებული. ბიომასის წარმოება არა მარტო გადაარჩენს საქართველოს ტყეს, არამედ შექმნის მდგრადი ადგილობრივი წარმოებისა და დასაქმების შესაძლებლობებს", – თქვა შომბი შარპმა, გაეროს განვითარების პროგრამის ()ხელმძღვანელის მოადგილემ საქართველოში.

ეკატერინე გრიგალავამ, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილემ, ყურადღება გაამახვილა სახელმწიფოსა და ბიზნესის თანამშრომლობის მნიშვნელობაზე საქართველოს განახლებადი ენერგიის პოტენციალის ათვისებისათვის.

„სწორი სახელმწიფო პოლიტიკისა და პროაქტიური ბიზნეს მიდგომების პირობებში საქართველო უდიდეს წარმატებას მიაღწევს განახლებადი ენერგიის წარმოებისა და მოხმარების სფეროში", – აღნიშნა მან.

ბიომასის წარმოებისა და მოხმარების ხელშეწყობის პროგრამა დაიწყო 2013 წელს გლობალური გარემოსდაცვითი ფონდისა ()და გაეროს განვითარების პროგრამის ()დაფინანსებით, რომელმაც 1 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

ოთხი წლის მანძილზე, ამ ინიციატივის ხელშეწყობით შემუშავდა საქართველოს პირველი ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ბიომასის წარმოებისა და გამოყენების საკითხებში და დაფუძნდა ბიომასის მწარმოებელთა ეროვნული ასოციაცია.

თბილისში, მანავსა და ახმეტაში გაიხსნა ბიომასის მცირე საწარმოები, ხოლო წარმოებული ბრიკეტების რაოდენობამ 2016 წლიდან 2 ათას ტონას გადააჭარბა.

გარდა ამისა, ჩატარდა ბიომასის წარმოებისა და მოხმარების პოტენციალის კვლევა, ხოლო საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გაიმართა ტრენინგი ბიომასის მწარმოებლებისა და მომხმარებლებისათვის.

# უბრალო, მაგრამ ყველაზე საჭირო პროფესიის ადამიანები

# გვინდა, რომ ყვარელს ერქვას სანიმუშო სისუფთავის ქალაქი





*დღეს, ერის გამორჩენილი საზოგადო მოღვაწის და მწერლის ილია ჭავჭავაძის საიუბილეო თარიღია და ამ დღისთვის ყვარელი საგანგებოდ მოემზადა. „გადავაქციოთ ყვარელი სანიმუშო სისუფთავისა და წესრიგის ქალაქად“, – ეს ყველა ყვარლელის მოწოდებაა. დასუფთავების სამსახურიც ყოველთვის ფორმაშია, – არა მარტო ილიაობისთვის, მათ ხომ ყოველდღიურად უწევთ საქმის კეთება. ბოლო ხანს ხომ უფრო გალამაზდა და დამშვენდა ყვარელი, თითქმის ყველა ქუჩა მოასფალტდა, შეკეთდა საკანალიზაციო არხები, რამაც სხვანაირი იერ-სახე მისცა ქალაქს. თუ როგორ მოემზადნენ ილიაობისთვის ამ სამსახურის მუშაკები, ინტერვიუ ვთხოვეთ ყვარლის ა (აიპ) დასუფთავების სამსახურის ღვაწლმოსილ მუშაკს სიმურ კანაშვილს.*

**– ბატონო სიმურ, თქვენ დიდი ხანია რაც ამ სფეროში მოღვაწეობთ, ათეული წლები კომუნალურ სამსახურში გაატარეთ, როგორ გახსენდებათ ის წლები, როგორ პირობებში გიხდებოდათ მუშაობა?**

– 1969 წლიდან მიწევდა მუშაობა კომუნალურ სამსახურში. განვლილ წლებს ყოველთვის კარგად ვიხსენებ. ჩემზე დაკისრებულ საქმეს ყოველთვის კეთილსინდისიერად ვასრულებდი. იყო კარგი კოლექტივი, – თითქმის შეუცვლელი ხელმძღვანელი მაშინ გახლდათ გურამ სეფაშვილი, რომელსაც ყოველთვის ვასილიჩით მივმართავდით. უზომოდ კარგი პიროვნება იყო. კოლექტივი ყოველთვის ენდობოდა მას, როგორც განათლებულ და კულტურულ ხელმძღვანელს. გვყავდა ბუღალტერი, თავის საქმეში კარგად ჩახედული, საოცრად კეთილი და სათნო ადამიანი, ქალბატონი სონია რუსიაშვილი.

ჩვენი სამსახური მოგეხსენებათ სპეციფიურია, ხანდახან შეიძლება წვიმაში, ქარში და თოვლშიც კი მოგვიწიოს მუშაობა. იმდროისთვის თითქმის ყველა ორგანიზაციას ჰქონდა გაპიროვნებული ვენახები. ჩვენს სამსახურს კარგად ვუთავსებდით მეორად საქმეს და ვენახის სხვლას, დაკავებას და გაფურჩქვნას ვაწარმოებდით, მუშის სახელფასო ანაზღაურება კი ძალიან ცოტა იყო.

**– რამდენი წელია რაც ახალ სამსახურში ხართ და თუ გაუუმჯობესდათ მუშებს უწინდელ პერიოდთან შედარებით მუშაობის პირობები?**

– ა(აიპ) სამსახურში ვმუშაობ 2013 წლიდან და დღემდე აქ ვარ. წინა წლებთან შედარებით, უნდა ითქვას, ანაზღაურება შედარებით გაიზარდა, მაგრამ გაზრდილ ფასებთან შედარებით ესეც მცირედია ჩვენთვის, რას ვიზამთ. იმედი გვაქვს, რომ დაფინანსება თანდათან გაიზრდება.

**– რამდენი მუშა ემსახურება დასუფთავების სამსახურს და რა მოვალეობები შედის თქვენს კომპეტენციაში, ძირითადად ქალაქის რომელ უბნებზე გიწევთ მუშაობა.**

– დღეისათვის ა (აიპ) სამსახურს 24 დამგველი ემსახურება, აქედან ქუჩების დამგველია 22 პერსონალი და 2 სკვერის. 15 კაცი პასუხისმგებელია ნარჩენების შეგროვება-გატანა – განთავსებაზე. ჩვენს დასუფთავებაში შედის ჭავჭავაძის, მარჯანიშვილის, გურამიშვილის და კიდევ გადამკვეთი ქუჩები. ისინი კეთილსინდისიერად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, მაგრამ მათთვისაც ყოველთვის პრობლემურია ფინანსური ანაზღაურების სიმცირე. მოგეხსენებათ მედიკამენტები, რომ არაფერი ვთქვათ სხვა ღირებულებებზე, რაც ოჯახისთვის საჭიროა, საკმაოდ გაძვირებულია, ჩვენი ანაზღაურება კი დაბალია.

**– ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან თუ იტყოდით რა პრობლემების წინაშეა დღეს დასუფთავების სამსახური და თუ საჭიროებს დახმარებას ჩვენი ხელმძღვანელობის მხრიდან? ან თუ გრძნობთ დახმარებას მათი მხრიდან.**

– როცა კი რაიმე პრობლემის წინაშე დამდგარა ჩვენი სამსახური და მიგვიმართავს რაიონის ხელმძღვანელობისთვის, ყოველთვის მხარში გვიდგანან და მადლობა მათ ამისთვის. ჩვენი ხელმძღვანელი, ბატონი გიგლა კუპრაშვილი და მისი მოადგილე შენგელი ხიზანიშვილი, არასოდეს არ გვტოვებენ უყურადღებოდ, ნებისმიერ პრობლემას – ეს იქნება სამსახურებრივი, ოჯახური თუ სხვა, ყოველთვის დადებითად გვიწყვეტავენ.

**– მწერლის 180 წლისთავის საიუბილეოდ ყვარელში ბევრი სტუმარი ჩამობრძანდა. დიდი შემოქმედის სამშობლოში ჩამოსულ სტუმარს კი დახვედრაც შესაფერისი უნდოდა. როგორ მოემზადეთ ამ დღისთვის? რა გაკეთდა და კიდევ რის გაკეთებას აპირებთ?**

– ჩვენ ილიაობამდე, უკვე რამდენი კვირის წინ დავიწყეთ საიუბილეო სამზადისი. დავასუფთავეთ ილია ჭავჭავაძის მუზეუმის შემოგარენი და შიგნით ეზოც, ძირითადი ნარჩენი, რაც თვალში მოსახვედრი იყო, გატანილი იქნა ადგილიდან, ასევე მწყობრში ჩავაყენეთ მარჯანიშვილის, ჭავჭავაძის და სხვა ქუჩები. ყველაფერი გავაკეთეთ იმისათვის, რომ ჩამოსულმა სტუმარმა სუფთა და კეთილმოწყობილ გარემოში იგრძნოს თავი. გვინდა, რომ ყვარელს ერქვას სანიმუშო სისუფთავის ქალაქი. დღეს ყვარელს ახალი მერი ჰყავს, ახალი თავკაცი, მჯერა და იმედი მაქვს, რომ იზრუნებს ყვარლის და მისი რაიონის ხალხისთვის, მუდამ იდგმება ჩვენს გვერდით, რათა ყვარელს როგორც ისტორიულ და სისუფთავის ქალაქს ტურისტი და დამთვალიერებელიც ბევრი ჰყავდეს.

**დალი ტატულიშვილი**



# ახალი მეცნიერული დასკვნა ყავის სასარგებლო თვისებების შესახებ



*ყავის სამშობლოდ ეთიოპია მიიჩნევა. ყავის 73 სახეობიდან ყველაზე პოპულარული ორი ჯიში – არაბიკა და რობუსტაა. ყავის პლანტაციების გაშენება პირველად ჰოლანდიელებმა დაიწყეს.*

*ცნობილია, რომ ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი ყავის დიდი მოყვარული იყო და დღეში 60 მარცვალ ყავას მიირთმევდა. ვოლტერი კი, დღე-ღამეში, დაახლოებით 50 ფინჯან ყავას სვამდა დამან 83 წელი იცოცხლა. ყავა ლიქიორთან ერთად – მეფე ერეკლე II-ის მენიუშიც იყო. იოჰან სებასტიან ბახმა კი მას კანტატაც მიუძღვნა.*

ახლახან საუთჰემპტონის უნივერსიტეტის მეცნიერებმა საზოგადოებას ყავის შესახებ ახალი კვლევის შედეგები გააცნეს. ორ მილიონამდე ადამიანის გამოკითხვით მიღებული ინფორმაციის მიხედვით დამუშავებულ 26 ნაშრომზე დაკვირვებით დადასტურდა, რომ დღეში ერთი ფინჯანი ყავის მირთმევა 20%-ით ამცირებს ღვიძლის კიბოს, ისევე, როგორც ღვიძლის სხვა დაავადებათა გაჩენის რისკს, ხოლო თუკი ყავას დღის მანძილზე ორჯერ მივირთმევთ, რისკი 35%-ით იკლებს. ამერიკის კიბოს საზოგადოების ცნობით, აშშ-ში წელს ღვიძლის კიბოს 40 ათასზე მეტი ახალი შემთხვევა გამოვლინდა. კვლევის ფარგლებში ასევე დადასტურდა, რომ ყავის ზომიერი მიღება გვიცავს მეორე ტიპის დიაბეტის, კუჭ-ნაწლავის სისტემის დაავადებების, პარკინსონისა და ალცჰაიმერის დაავადებისაგან. ამ არომატული სასმლის დალევა სტრესთან ბრძოლაშიც გვეხმარება და სიცოცხლესაც გვიხანგრძლივებს. ყავაში შემავალი კოფეინი ხელს უწყობს ორგანიზმში სიამოვნების ჰორმონის გამოყოფას, ყურადღების მობილიზებას, ხსნის დაღლილობას, აუმჯობესებს თავის ტვინის მოქმედებას, აძლიერებს აღქმის უნარს და აფხიზლებს ორგანიზმს. მასში შემავალი პოლიფენოლი ამცირებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკს, ბაქტერიოციდული თვისებები კი კბილის კარიესის გამომწვევი მიკრობების გამრავლებას უშლის ხელს. დადგენილია, რომ ეს ჯადოსნური სასმელი შველის შაკიკსა და ზოგიერთ ფუნქციურ ნერვულ მოშლილობას. ამასთან, 20%-ით ამცირებს თვითმკვლელობისკენ მიდრეკილების რისკს. ყავის დადებითი თვისებების, მისი დალევის კულტურისა და სწორი მომზადების წესის შესახებ ყავის ექსპერტს, გარი არუთინოვს ვესაუბრეთ.

**– ბატონო გარი, ბოლო დროის კვლევებით დასტურდება, რომ ყავა, თუკი მას ზომიერად მივირთმევთ, ორგანიზმისთვის მეტად სასარგებლოა. სულ რამდენიმე წლის წინ, პირიქით ამბობდნენ, რომ ყავა ჩვენს ჯანმრთელობას ზიანს აყენებს...**

– არანაირი უარყოფითი თვისება ყავას არ აქვს. ერთადერთი პრინციპი არსებობს – ის ზომიერად უნდა მივიღოთ. დღეში 3-4 ესპრესოს ტიპის ან ჯეზვეში მოხარშული 5-6 ფინჯანი ყავის მირთმევა ზომიერების ფარგლებს არ სცდება. ამ შემთხვევაში, პირიქით, ის მართლაც სასარგებლოა და აქვს კიბოს, პარკინსონის, ალცჰაიმერის, დიაბეტის, კუჭ-ნაწლავისა და გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების პრევენციის ეფექტი.

**– რა ხდება, თუკი ზომიერებას გადავაჭარბებთ?**

– სახეზეა უკუშედეგი – მაშინ, როცა ზომიერად მირთმეული ყავა წონის კორექციაშიც გვეხმარება, თუკი დღეში ხუთ ფინჯანზე მეტს მივიღებთ, ხელს შევუწყობთ სიმსუქნის, განსაკუთრებით, აბდომინალური ტიპის, ანუ მუცლის ღრუს სიმსუქნის განვითარებას და რაც მთავარია, აქ დიდი დატვირთვა შაქრის მოხმარებას აქვს. შაქარი ჩვენი ორგანიზმის უპირველესი მტერია. გარდა ამისა, ყავისა და ჩაის არომატს უკეთ იგრძნობთ, თუ მას შაქრის გარეშე მიირთმევთ. რაც შეეხება სხვა უარყოფით შედეგებს, სახეზეა გულ-სისხლძარღვთა სისტემისა და კუჭ-ნაწლავის პრობლემები. ბევრმა არ იცის, რომ ყავის გადაჭარბებული დოზა ძვლებიდან დიდი რაოდენობით კალციუმს გამოდევნის.

**– მითია თუ რეალობა, რომ ყავისა და სიგარეტის კომბინაცია დამანგრეველ გავლენას ახდენს ნერვულ სისტემაზე და აძლიერებს დეპრესიულ ფონს?**

– როგორც ცნობილია, ნიკოტინი, ისევე, როგორც ყავაში შემავალი კოფეინი, სისხლძარღვების შევიწროებას იწვევს. მაგრამ ყავისა და სიგარეტის მავნებლობის ერთმანეთთან შედარება არ არის მართებული – კოფეინისგან განსხვავებით, სიგარეტი დიდი რაოდენობით მავნე ნივთიერებას შეიცავს. რაც შეეხება დეპრესიულ ფონს, პირიქით, ყავას გამამხნევებელი ეფექტი აქვს, ენერგიას გვგვრის. შესაბამისად, დეპრესიული ფონის შექმნა გამორიცხულია.

**– ცნობილია, რომ საუკეთესო ყავას მაშინ მივირთმევთ, როცა ხარისხიან მარცვალს ვყიდულობთ, უშუალოდ დალევის წინ ვხალავთ და ვფქვავთ. დამეთანხმებით, ეს ხშირად ვერ ხერხდება. გამოდის, ძირითადად, არასრულფასოვან ყავას მივირთმევთ?**

– სამწუხაროდ, ასეა. საერთოდ, დასანანია, მაგრამ ყავის მოხმარების კულტურა საქართველოში მეტად დაბალია. ყავა დაფქვიდან 3 საათის შემდეგ არომატს, გემოვნურ და სასარგებლო თვისებებს კარგავს. შესაბამისად, რაც მეტი დრო გავა, მით უფრო მეტი ზეთები, არომატები, ტენიანობა დააკლდება. სწორედ ამიტომ, ის უშუალოდ დალევის წინ უნდა მოვხალოთ და დავფქვათ. დიდი მნიშვნელობა აქვს ხარისხიანი ყავის მოხმარებას, ასევე, ხალვის ხანგრძლივობას. მომზადების მეთოდიდან გამომდინარე, იცვლება მისი კოფეინის შემცველობაც.

**– ბევრმა არ იცის, რომ ხსნად ყავას არა მასტიმულირებელი, არამედ პირიქით, მომადუნებელი ეფექტი აქვს...**

– ხსნადი ყავა, ფაქტობრივად, არ შეიცავს კოფეინს. კოფეინის ნაცვლად შეიცავს ნივთიერებას, რომელსაც მოსადუნებელი ეფექტი აქვს და დალევიდან 20 წუთის შემდეგ მოთენთას იწვევს. გარდა ამისა, ხსნადი ყავა ქიმიურ დანამატებს შეიცავს.



# შოთა რუსთაველის და ვეფხისტყაოსნის 850 წლისთავის აღსანიშნავად



**„ყოველი ადამიანი ამ ეპოქის ყოველ გვერდზე ხედავს ქართველი ხალხის სრულყოფისა და ოსტატობის მიუწვდომელ ნიმუშს, ხალხური ენის საგანძურს, სიბრძნის წყაროს და ეროვნული ზნეობის მაღალ მაგალითს“.**

**ვაცლავ ჩერნი**

ქართველი ერის ხანგრძლივი და მძიმე ისტორიის მანძილზე იბადებოდნენ ერის გენიოსი შვილები. ასეთთა სახელები მრავალია საქართველოს ისტორიაში, მაგრამ შოთა რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“ ერთი პირველთაგანია.

ქართველი კაცი „ვეფხისტყაოსანს“ არ იშორებდა ჭირსა და ლხინში, იგი ლხინში ქართველი კაცის სიხარულს, აღფრთოვანებასა და ბედნიერებას გამოხატავდა, გაჭირვებაში კი იმედს, მხნეობასა და გამძლეობას მატებდა.

ისტორიული ავბედობის დროს ქართველისათვის „ვეფხისტყაოსანი“ იყო საბრძოლო მოწოდება, თავგანწირულობისა და გმირობის წყარო, ერთის ასთან გამარჯვების საიდუმლო თილისმა.

850 წლისაა დღეს ეს დიდებული პოემა და 850 წელია იგი ასწავლის ხალხს სიკეთეს, სიყვარულს, ბოროტების სიძულვილს, მოაქვს ადამიანებისთვის მშვენიერების იდეალი, ეს პოემა დღესაც თანამედროვედ ჟღერს. იგი მშვენიერების საზომად გადაიქცა მსოფლიო კულტურაში.

შოთა რუსთაველს საუკუნეების მანძილზე მრავალი მკითხველი, მკვლევარი და დამფასებელი გამოუჩნდა. ერთ-ერთი უდიდესი გამგები, „ვეფხისტყაოსნის“ მრწამსში ღრმად ჩამწვდომი ჩვენი ერის სულიერი მამა დიდი ილია ჭავჭავაძე იყო. იგი მტერთან ბრძოლაში და მოყვასის დამოძღვრაში ყოველთვის იმოწმებდა შოთას. დიდი მოძღვარი გვიცხადებს, „რომ „ვეფხისტყაოსანი“ გაჩნდეს ერის ლიტერატურაში, ეს ლიტერატურა ცოტად თუ ბევრად განვითარებული უნდა იყოს, ენა შემუშავებული, საზოგადოებრივი ცხოვრება რიგსა და წესსზე დამყარებული“.

გენიოსმა ვაჟა-ფშაველამ ასე ჩამოაყალიბა თავისი შეხედულება შოთა რუსთაველის შესახებ: „რუსთაველი ღვიძლი შვილია თავისი ერისა, მისი სულის, სისხლის და ხასიათის წარმომადგენელია, რომელშიც მთელ ერს, მის კულტურულ ავლა-დიდებას, როგორც ფოკუსში, მოუყარა თავი“.

„ვეფხისტყაოსანი“ ბურჯია ჩვენი თავმოწონებისთვის, ქვეყნად ხმის ამოღებისათვის...ქართველობის ეროვნული ღირსებისა და ვინაობის სახსოვარია... რომელსაც მთელმა ერმა შიგ ჩაატანა თავისი ცრემლი და თავისი სიხარული, შიგ ჩაახვია თავისი სული და გული, შიგ ჩააწნა თავისი უკეთესი ფიქრნი, ზრახვანი, გრძნობანი“ – ასე დაახასიათა „ვეფხისტყაოსნისა“ ილია ჭავჭავაძემ და მისი მნიშვნელობა ქართველებისათვის.

მიმდინარე 2017 წელი სრულიად საქართველოში შოთა რუსთაველის და მისი „ვეფხისტყაოსნის“ წლად არის გამოცხადებული. უკვე 850 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ურთულესი ეპოქებით დაცილებული ცხოვრობდა ეს დიდი გენია ჩვენს პლანეტაზე და მან თავის გენიალურ ნაწარმოებში წამოჭრა საკითხები დიდი და ამაღლებული იდეალების განხორციელებისა, რომლებზეც შემდეგშიც ოცნებობდნენ და ოცნებობენ დღესაც კაცობრიობის საუკეთესო წარმომადგენლები.

როგორც აღვნიშნეთ 2017 საიუბილეო წელია შოთა რუსთაველის და მისი პოემის და მთელი საქართველოს რესპუბლიკის მასშტაბით იმართება რიგი ღონისძიებებისა სახელწოდებით „მე რუსთაველის ქვეყნიდან ვარ! ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოეწყო გამოფენა სახელწოდებით „ვეფხისტყაოსანი“ და რუსთაველის ეპოქა, რომელზედაც წარმოდგენილი იქნა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდებში დაცული „ვეფხისტყაოსნის“ ყველა საეტაპო მნიშვნელობის მქონე უნიკალური გამოცემა. მათ შორის პირველი 1712 წლის ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი“, ასევე 1888 წლის ქართველიშვილისეული გამოცემა, რომელიც გაფორმებულია ცნობილი უნგრელი მხატვრის მიხაი ზიჩის ილუსტრაციებით. გამოფენილ იქნა ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, თურქულ, უკრაინულ, მოლდავურ, სპარსულ, არაბულ, ჩეჩნურ, ლატვიურ, ოსურ და კიდევ მსოფლიოს სხვა ხალხთა ენებზე თარგმნილი ქართული საამაყო ქმნილება, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ „ვეფხისტყაოსანი“ კორეულად ითარგმნა 2016 წელს და იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა კორეის ელჩმა საქართველოს რესპუბლიკაში.

კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა წარმოადგინა მიხაი ზიჩის მიერ „ვეფხისტყაოსნისთვის“ შესრულებული ილუსტრაციების ორიგინალები, ზიჩის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციების გადაღებული ე. წ. „ცოცხალი სურათების“ ილუსტრაციები, რომლებიც მხატვარმა თბილისსა და ქუთაისში გადაიღო და სწორედ ეს ფოტოები გამოიყენა ილუსტრაციების შესაქმნელად. ამ ფოტოებზე ასახული არიან XIX ს-ის 80-იანი წლების გამორჩეული ქართველი სახეები: გიორგი შერვაშიძე, ბაბო დადიანი და სხვები. ასევე წარმოდგენილი იქნა „ვეფხისტყაოსნის“ უნიკალური ხელნაწერების ზუსტი ასლები. მათ შორის გამოიფინა იმერეთის მეფის სოლომონ II-სეული ე. წ. „წერეთლისეული“ ხელნაწერი, ქართლის მეფის გიორგი XI-ის მიერ დაკვეთილი ე. წ. „ბეგთაბეგისეული“ ნუსხა ლევან II დადიანის დაკვეთით მამუკა თავაქარაშვილის მიერ გადაწერილი უნიკალური ხელნაწერები. აგრეთვე დიდი ოსტატობით შესრულებული დიდი თამარის პირადი დაკვეთით რომანის (კონსტანტინეპოლი) ქართულ მონასტერში გადაწერილი ხელნაწერები – „ვანის სახარება“, რომელიც თამარ მეფის პირადი კუთვნილება იყო.

დიდი პოეტის სამშობლოში – მესხეთში, ახალციხეში რაბათის ტერიტორიაზე მოეწყო მნიშვნელოვანი ღონისძიებები: ცნობილი მეცნიერ რუსთველოლოგები შეხვდნენ ადგილობრივ მოსახლეობას და მოსწავლე ახალგაზრდობას. მოეწყო „მესხური ფოლკლორის“ მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანების და სომხურ ენაზე გამოცემული ქართველი მწერლების ნაწარმოებების პრეზენტაციები; გამოიფინა ახალგაზრდა მხატვრების და ფოტოხელოვანების ნამუშევრები. მოეწყო „ვეფხისტყაოსნის“ საჯარო კითხვა.

შოთა რუსთაველის და მისი „ვეფხისტყაოსნის“ 850 წლის იუბილე აღინიშნა ისრაელში. იერუსალიმის თეატრში ჩატარდა საზეიმო ღონისძიება, თეატრის ფოიეში კი მოეწყო ქართველი მხატვრის ქეთევან მატაბელის გამოფენა, რომელსაც შესრულებული აქვს ნამუშევრები „ვეფხისტყაოსნის“ თემაზე.

თბილისის სიმფონიურმა ორკესტრმა და საქართველოს სახელმწიფო კაპელამ საიუბილეო თარიღს დიდი კონცერტი მიუძღვნა.

მინდა ჩვენი გაზეთის მკითხველებს შოთა რუსთაველის და მისი გენიალური პოემის 850 წლისთავის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გავაცნო და მივაწოდო მასალები, რომლებიც ჩვენი ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმის ფონდებშია დაცული – ჩვენი ერის სიამაყის „ვეფხისტყაოსნის“ 800 წლისთავის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, რომელიც გაიმართა 1966 წელს.

მშვიდობის მსოფლიო საბჭომ ღრმა პატივისცემის ნიშნად გენიალური ნაწარმოების და მისი ავტორის მიმართ, რომელსაც მიუწვდომელი სრულყოფილებით უმღერა სინათლის, მშვენიერების, კაცთმოყვარეობის, მამაცობის კეთილშობილურ გრძნობებს, მიიღო გადაწყვეტილება, რომ შოთა რუსთაველის იუბილე – 800 წლისთავი, მსოფლიოს მასშტაბით აღნიშნულიყო. რა თქმა უნდა, ეს იუბილე განსაკუთრებულად თავმოსაწონებელი და საამაყო გახდა რუსთაველის სამშობლო საქართველოსთვის, ქართველი ხალხისთვის. დიდი პოეზიის ზეიმი იყო მთელი 1966 წლის განმავლობაში პატარა საქართველოში.

ამ დიდ თარიღთან დაკავშირებით საქართველოში მოწვეული იყვნენ და ჩამოდიოდნენ მაშინდელი საბჭოთა კავშირის და მთელი პროგრესული კაცობრიობის წარმომადგენლები.

სრულიად საკავშირო საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე იყო შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი ნ. ტიხონოვი, საქართველოში კი ქართველ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ირაკლი აბაშიძე, მოადგილე იყო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გივი ჯავახიშვილი.

1966 წლის ქართული ჟურნალ-გაზეთები სავსეა ამ დიდი თარიღისადმი მიძღვნილი ქართველ და უცხოელ მკვლევართა და მთარგმნელთა წერილებით, რომლებშიც განსაკუთრებულად აქვს ხაზი გასმული, რომ რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“ ყველაზე პოპულარული ნაწარმოებია და დღევანდლამდე უქრობელი შუქით შემოსილი საკაცობრიო კულტურის მნიშვნელოვან ძეგლად გვევლინება.

ყველას სურდა მონაწილეობა მიეღო სულმნათი შოთას ზეიმში – „შოთაობაში“. „შოთაობად“ მონათლა ქართველმა ხალხმა საქართველოს ამ დიდებული შვილის და მისი უკვდავი ქმნილების 800 წლის იუბილე.

„შოთაობის“ დიდებული ზეიმის აკორდი იყო 1966 წლის 30 სექტემბერს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გამართული საზეიმო სხდომა; სადღესასწაულოდ მორთულ დარბაზში უზარმაზარ ტილოზე იყო გამოსახული პოეტის ბარელიეფი და ღირსშესანიშნავი თარიღი – 800“. ყველგან იყო ყვავილები და ყვავილების ზღვა. მსოფლიოს ლიტერატურისა და კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლები შეიკრიბნენ ამ სადღესასწაულო დღეს დარბაზში.

აქ მინდა წარმოგიდგინოთ საბჭოთა და უცხოელ მოღვაწეთა მიერ წარმოთქმული სიტყვებიდან ამონარიდები.

მ. შოლოხოვი (რუსი მწერალი) „მადლიერი კაცობრიობა არასოდეს არ შეწყვეტს მწყურვალე ბაგეებით დაეწაფოს პოეზიის ამ ცხოველმყოფელ პირველქმნილ წყაროს“. მოწყობით – ყველაფერი რაც კი იუბილეს უკავშირდება, მაღალი გემოვნებით და ლაზათიანად არის გაკეთებული. .

ჰანს ფოქტი (ჰოლანდია) ოსლოს უნივერსიტეტმა დამავალა ვისარგებლო შოთა რუსთაველის 800 წლისთავის შემთხვევით და ნორვეგიელი ხალხის სალამი გადმოგცეთ. ეს ჩემთვის დიდი პატივია და ამავე დროს დიდად ბედნიერი ვარ, რომ მე წილად მხვდა ამ დავალების შესრულება“.

ლუდმილა სტოიანოვი (ბულგარეთი) „განმაცვიფრა პოეტის მაღალმა ფანტაზიამ, მისი სულიერი სამყაროს კეთილშობილებამ, ღრმა სიბრძნემ, განცდათა რომანტიკამ, რიტმულობამ მისი თხრობის დინებაში, რომელიც ხან ნელია როგორც ნიავის ქროლვა, ხან ბობოქარი, როგორც მდინარე, კავკასიონის ქედიდან რომ მოჰქუხს გაშლილ ველთა ჭრელ პანორამისაკენ“.

ჯეფრო დატენი (ავსტრალიელი პოეტი) „ჩემს ქვეყანას და საქართველოს დიდი მანძილი აშორებს ერთმანეთთან, მაგრამ მაღალი ადამიანური გრძნობებისა და კეთილშობილური მისწრაფებებისათვის, რომლებითაც გამსჭვალულია ქართველი გენიალური პოეტის ქმნილება, არ არსებობს არც მანძილისა და არც დროის ფაქტორი. „ვეფხისტყაოსანი“ სულიერად ანათესავებს ხალხებს, რა შორი მანძილითაც უნდა შორებდეს მათ...მოხიბლული ვარ არა მარტო თქვენი ქვეყნის სილამაზით, არამედ მისი ხალხის შრომისმოყვარეობით, მდიდარი კულტურით, პოეზიისადმი დიდი სიყვარულით, რუსთაველის მშობელი ხალხი მართლაც რომ პოეტური ყოფილა.

აქ იმყოფებიან მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის წარმომადგენლები – ცნობილი მწერლები, პოეტები, მეცნიერები, საზოგადო მოღვაწეები; აქ ბევრ გამოჩენილ ადამიანს შევხვდი; საქართველოში გატარებული დღეები ჩემთვის დაუვიწყარი იქნება“. ამავე დროს დიდად ბედნიერი ვარ, რომ მე წილად მხვდა ამ დავალების შესრულება.

გუსთავ დე ლატორე გოტარი (ესპანეთი) „ქართული მწერლობის შესანიშნავ ძეგლთა შორის ჰეროიკული ეპოსი, „ვეფხისტყაოსანი“ ყველაზე პოპულარული ნაწარმოები, დღევანდლამდე უქრობელი შუქით შემოსილი, საკაცობრიო კულტურის მნიშვნელოვან ძეგლად გვევლინება. სიყვარულის, მეგობრობის, სოციალური ჰარმონიის გაბედული იდეალებით რუსთაველი ქართულ ჰუმანიზმს დასავლურთან შედარებით პიროვნული თვისებების ქადაგებაში წინა პლანზე აყენებს... ქართულმა საერო კულტურამ უმაღლეს განვითარებას მიაღწია სახელოვანი მეფეთა მეფის თამარის ეპოქაში, რომელიც ითვლება ძველი ქართული ისტორიის ოქროს ხანად. ქართველი ერის დიადი მიღწევანი პოლიტიკის, ხელოვნების, მეცნიერების, პოეზიის დარგებში დაკავშირებულია თამარის პიროვნებასთან. თამარის ეპოქის ქართულმა მხედრობამ ძლიერი გრიგალივით გადახვეტა საქართველოს ირგვლივ მოწოლილი მტრები. რუსთაველის სიტყვით იგი თავზარს სცემდა აღმოსავლეთით და დასავლეთით ყველა ორგულთ, ერთგულებს კი ახარებდა“.

ამრიტა პრიტანი (ინდოეთი) „ვამაყობ, რომ იმ ქვეყნის წარმომადგენელი ვარ, რომელსაც თავის ამბად აღებულ სიუჟეტში ასე ლამაზად უმღერის დიდი შოთა რუსთაველი. ჩემს სამშობლოშიც აღნიშნეს ქართველი ხალხის საამაყო შვილის შოთა რუსთაველის იუბილე. ერთ-ერთ ინდურ ჟურნალში „ნაგ-მონ“-ში დაიბეჭდა ჩემი წერილი „რუსთაველი და მისი პოემა „ვეფხისტყაოსანი“. დიდად მოხარული ვარ, რომ მონაწილეობას ვიღებ ქართველი ხალხის დიდ ზეიმში. აღტაცებული ვარ თქვენი ქვეყნის წარმტაცი ბუნებით. სწორედ ამიტომაც არის საქართველოში ამდენი პოეტი. როცა სამშობლოში დავბრუნდები, აუცილებლად დავწერ ლექსებს რუსთაველზე, საქართველოზე, მის სტუმართმოყვარე ხალხზე. გავაცნობ ჩემი ქვეყნის ხალხს როგორ აფასებენ ქართველები თავიანთ სახელოვან შვილებს, როგორ უვლიან ისინი მატერიალური კულტურის ძეგლებს“.

ემრი-ჰიუზი (ინგლისი) „ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა თქვენი მხარის სილამაზემ და იმ სტუმართმოყვარეობამ, რომლითაც ასე განთქმულია თქვენი ქვეყანა. შოთა რუსთაველის იუბილე მთელი მსოფლიოს პროგრესულად მოაზროვნე ხალხთა ზეიმია, იმ ადამიანების ზეიმია, რომელთაც უყვართ მშვიდობიანი ცხოვრება, უყვართ ერთურთი და სურთ მეგობრულად იცხოვრონ. იუბილე კარგად არის ორგანიზებული. ჩვენ, სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს საშუალება გვეძლევა გავეცნოთ ქართველ ხალხს, გავეცნოთ რუსთაველის საქართველოს, მის ღირსშესანიშნავ ძეგლებს, ეს დღეები ყველა ჩვენთაგანისთვის დაუვიწყარი იქნება“.

ტე-ლან-ვიენი (ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა) „...მახარებს და ვამაყობ, რომ მონაწილე ვარ ქართველი ხალხის ამ დიდი ზეიმისა, რომელიც სამართლიანად გადაიქცა მსოფლიოს ხალხთა დღესასწაულად. იუბილეზე ბევრი ქვეყნის წარმომადგენელს გავეცანი. ჩვენ ერთად ვმსჯელობთ ქართველი ხალხის საამაყო შვილის – რუსთაველის პოეზიაზე...რუსთაველის პოემას მე ფრანგული თარგმანით გავეცანი. აღმაფრთოვანა ამ დიდი გენიოსი ადამიანის ბრძნულმა აზრებმა და იდეებმა. დაე, ქვეყნად მუდამ იმარჯვებდეს მეგობრობა და კაცთმოყვარეობა, დემოკრატია და სიყვარული. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ბევრს დავწერ თქვენს ლამაზ ქვეყანაზე, ხალხთა ამ დიდ ზეიმზე“.

დიულა ილეში (უნგრეთი) „თბილისში პირველად ვარ, მაგრამ უკვე სკოლის მერხიდან კარგად ვიცნობდი საქართველოს და ვოცნებობდი ჩამოვსულიყავი თქვენს სამშობლოში. შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“ ჯერ კიდევ ბელა ვიკარის თარგმანით ვიცნობდი. ამ უკანასკნელ ხანს „ვეფხისტყაოსნის“ საუკეთესო თარგმანი განახორციელა შანდორ ვერეშმა, რომელიც ამ იუბილეზე არის ჩამოსული“.

ქართველებს და უნგრელებს დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებს. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში საქართველოში ჩამოვიდა უნგრელ მეცნიერთა დიდი ექსპედიცია თქვენი ქვეყნის შესასწავლად. ჩვენს მუზეუმებში ინახება ამ ექსპედიციის მიერ შეკრებილი მდიდარი ისტორიული და ეთნოგრაფიული მასალები საქართველოზე. მიხაი ზიჩის „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებმა ხომ კიდევ უფრო განამტკიცა ჩვენი ორი მხარის მეგობრობა. მახარებს შოთა რუსთაველის იუბილე, მახარებს ის საერთაშორისო აღიარება, რასაც სამართლიანად იმსახურებს რუსთაველის გენიალური ქმნილება. იუბილეზე ჩვენ მრავალი ქვეყნის წარმომადგენლებს საშუალება მოგვეცა ახლოს გავცნობოდით ერთმანეთს, გვესაუბრა რუსთაველის პოეზიაზე, თანამედროვე მწერლობის აქტუალურ საკითხებზე, მწერალთა და მეცნიერთა ასეთი დიდი ფორუმი ხელს შეუწყობს სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა დაახლოებასა და მათ შორის ურთიერთმეგობრობის, სიყვარულის განმტკიცებას“.

ერნტ გერნი (გერმანია)...– რუსთაველი განასახიერებს იმას, რაც კი უკეთესი აქვს ქართველებს, ასეთ ადამიანებში, როგორიც არის იგი, იყო არის და იქნება საქართველოს ნამდვილი ძალა, მაგრამ ამავე დროს ეს ქართველი პოეტი მსოფლიოს მასშტაბის ჰუმანისტია...მას რვა საუკუნე გვაშორებს, საზოგადოება, რომელშიც იგი ცხოვრობდა, მარადიულობას ჩაბარდა, მაგრამ იგი გაცილებით უფრო ახლოა ჩვენთან ვიდრე ბევრი ჩვენი თანამედროვე“.

გერტუდა პეჩი (იენის უნივერსიტეტის დოქტორი)...ამ ნაწარმოების უმთავრეს და უდიდეს მომხიბვლელობას ქმნის ის გარემოება, რომ უთვალავი ფერით აელვარებული ქვეყნის აღწერაში ჩაქსოვილია უდიდესი ეთიკური იდეალების გამომხატველი აზრები... „ვეფხისტყაოსანი“ ჰუმანიზმის გმირული სიმღერაა, რომელშიც აღწერილ ბრძოლებსა და გამარჯვებებს ჩვენ თანაგანვიცდით, რადგანაც ისინი ჩვენ თანადროულ სულისკვეთებას ეხმაურებიან?!

ვაცლავ ჩერნი (ჩეხოსლოვაკია).... როცა „ვეფხისტყაოსანი“ ჩეხურ ენაზე პირველად მთლიანად იქნა გამოცემული, იმ მომენტიდან შეიძლება უკვე ლაპარაკი იმაზე, რომ ჩეხურმა კულტურამ საკუთარი, უშუალო კონტაქტები დაამყარა ქართულ კულტურასთან...“ყოველი ადამიანი ამ ეპოქის ყოველ გვერდზე ხედავს ქართველი ხალხის სრულყოფისა და ოსტატობის მიუწვდომელ ნიმუშს, ხალხური ენის საგანძურს, სიბრძნის წყაროს და ეროვნული ზნეობის მაღალ მაგალითს“.

ალექსანდრე სერაფიმოვიჩი (რუსეთი) „ნება მიბოძეთ მივესალმო თქვენ შესანიშნავ, ნათელ, სიხარულით აღსავსე ქვეყანას, ნორჩ ვარდს, მიუხედავად მისი კულტურისა და ბრძოლების ათასწლეულებისა... მან შვა უშესანიშნავესი პოეტი, საუკუნეებში რომ ცოცხლობს, შ. რუსთაველი“.

მ. ალექსეევი (რუსეთი) რუსი მწერლები, ისევე როგორც ყველა, ვისთვისაც ძვირფასია მშვენიერება, მოწიწებით ქედს ვიხრით დიდი ქართველი პოეტის, მაღალ ზნეობათა მისწრაფებების, მებაირახტრის, სიმართლისათვის მებრძოლის წინაშე“.

ოლეს გონჩარი (უკრაინა) „უკრაინამ რუსთაველი გაიცნო საქართველოს მეორე დიდი მამულიშვილის დავით გურამიშვილის მეოხებით, რომელიც პოლტავის ველებში ხშირად იგონებდა თავის ლეგენდარულ წინამორბედს, იმას, ვინც წარსულ საუკუნეთა შორეულ გზის ქვეშ ახარა ქართული პოეზიის საუკეთესო ნერგი“.

პ. ბროვკა (ბელორუსია) „ვკითხულობ რუსთაველს და ვფიქრობ იმაზე, თუ როგორ განადიდა მან თავისი ხალხის უდიდესი ცხოველმყოფელი ძალა“.

ს. მუკანოვი (ყაზახეთი) რუსთაველი მარტო ქართველი პოეტი როდია, იგი ყაზახი პოეტიც არის!“

მ. იბრაგიმოვიჩი (აზერბაიჯანი) აზერბაიჯანელ ხალხს ბევრი რამ გვაკავშირებს ქართველ ხალხთან. ჩვენს მეგობრობას ღრმა ფესვები აქვს. ჩვენ გვაკავშირებს

გაგრძელება მე-9 გვ. -ზე

დასაწყისი მე-8 გვ. -ზე

არა მარტო კავკასიონის მთები, არამედ ბრძოლა უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ“.

მ. მეჟელტაისი (ლიტვა) „800 წლის წინათ, კავკასიონის მაღალ მთებში ბობოქარი ნაკადივით დაიძრა შესანიშნავი გენია. აჟღერდა მშვენიერი სიმღერა სიყვარულზე, არასოდეს არ დამშრალა და დაშრება ქართული პოეზიის წყალუხვი ნაკადი... შოთა რუსთაველი პოეზიის რაინდი იყო... მადლობა ქართულ პოეზიას, რომელიც დღემდე განაგრძობს ამ რაინდულ კეთილშობილურ ტრადიციას“.

ვ. ზახადოვი (უზბეკეთი) „დიდ ადამიანებს დრო ვერაფერს აკლებს, ისინი უფრო ძლიერნი და უკვდავნი არიან, რუსთაველი ყოველი თაობის თანამედროვეა და ეკუთვნის მთელ პროგრესულ კაცობრიობას. „ვეფხისტყაოსანი“ სიყვარულითა და პოპულარობით სარგებლობს მილიონობით უზბეკ მკითხველთა შორის, მოგვიწოდებს მეგობრობისათვის, შემოქმედებისათვის, გმირობისათვის სამშობლოს საკეთილდღეოდ“.

ს. პაპუტიკიანი (სომხეთი)...დაე იზრდებოდეს და მტკიცდებოდეს ხიდები ქვეყნებსა და ხალხებს შორის, რომელთა საძირკველებისათვის ამდენი ქვა შეუძლიათ ზიდონ თავიანთი ბუმბერაზული მხრებით ავთანდილმა, ტარიელმა და ფრიდონმა. დაე, ყველა ჩვენგანისათვის შთამაგონებელი იყოს ამ სხვადასხვა ტომის ძმადნაფიცთა კეთილშობილური სიყვარული, მათი თავდადებული ერთგულება, ადამიანური ღირსების ღრმა პატივისცემა. დაე, მარად ცოცხლობდეს და დღეგრძელი იყოს ქართველი ხალხი, რაინდული გულის, პოეზიის და სილამაზის ხალხი, ხალხი რომლის მეფეებიც პოეტები იყვნენ და პოეტ მეფეებზე უფრო დიდხანს და ძლევამოსილად მეფობდნენ. ხალხი, რომელიც საოცრად მრავალხმიანად მღერის, ხალხი, რომელიც ესოდენ ერთსულოვანია, როცა მის ღირსებას ემუქრებიან“.

ა. ლუგანი (მოლდავეთი) „ – ჩვენ რამდენიმე დღის წინ დავამთავრეთ ქართული კულტურის კვირეული ქალაქებსა და სოფლებში; ლიტერატურულ საღამოებზე მოლდაველები მშობლიურ ენაზე კითხულობდნენ შოთა რუსთაველის უკვდავ პოემას, ამ დღეებში გამოვიდა პოემის ახალი თარგმანიც მოლდავურ ენაზე“.

კ. კრაულინი (ლატვია)...რაინისისა და ანდრია უპიტის ხალხი ამ დღეებში სულითა და გულით ქართველ ძმებთან და დებთან ერთად ხარობს, აღტაცებულია უკვდავი შოთა რუსთაველის შემოქმედებითი გენიის ჰუმანურობით, მისი სულიერი სიდიადით, მისი ხელოვნების გამბედაობითა და უბადლო ძალით“.

ა. მალიკოვი (ყირგიზეთი) რუსთაველის მშვენიერი ნაწარმოები უყვართ ჰეროიკული ხალხური პოემის „მანასიის მხარეში. ჩვენ გვაქვს „ვეფხისტყაოსნის“ შესანიშნავი თარგმანი... მზადდება პოემის მეოთხე გამოცემა“.

ბ. სეიტაკოვი (თურქმენეთი) „ყველა, ვისთვისაც ძვირფასია ნამდვილი ხელოვნება, ვისაც აცოცხლებს საყოველთაო თანასწორობისა და ნამდვილი მიზნები, ვინც პატივს სცემს აზრთა და გრძნობათა აღმაფრენას, დღეს მიმართავს შოთა რუსთაველის დიდებულ სახეს, მის უკვდავ პოეზიას“.

პ. ხუზანგაი (ჩუვაშეთი) „როცა რუსთაველს კითხულობ და მასზე ფიქრობ, ფიქრობ საქათველოზე და მის მრავალსაუკუნოვან ისტორიაზე, მის გასაოცარ ბედზე; რუსთაველის უკვდავების თანამონაწილეა მთელი ქართველი ხალხი. საქართველოს დიდების პირველი უბრწყინვალესი გვირგვინია რუსთაველი. იგი იყო ქართველი ხალხის სულიერი ძლიერების და ხალხის ფიზიკური სილამაზის, სიტყვის, მუსიკის და აზრის აღმაფრენის ჰარმონიული განსახიერება, მათი შთაგონების წყარო და შემოქმედებითი აღმაფრენის საწინდარი“.

ბ. შინკუბა (აფხაზეთი) „აფხაზი ხალხი ძველთაგანვე ძმობდა ქართველ ერს, მასთან ერთად იცავდა თავის კულტურას და დამოუკიდებლობას. აფხაზთა და ქართველთა მეგობრობა შედუღაბებულია მრავალი თაობის სისხლით, რომელთაც სიცოცხლე შესწირეს საერთო ინტერესებს. აფხაზეთის ლაშქარი მონაწილეობდა ყველა დიდ ომში, რომლებიც ქართველებს ჰქონდათ უცხოელ დამპყრობლებთან“.

რ. გამზატოვი (დაღესტანი) „რუსთაველი ჩვენი, კავკასიური პოეზიის წინასწარმეტყველია. ნება მიბოძეთ, პატარა დაღესტნის, ჩვენი მრავალფეროვანი ხალხების სახელით გულითადად, ძმურად მოგესალმოთ და მოგილოცოთ ეს დიდი ეროვნული დღესასწაული“.

ა. ტიმონენი (კარელია) „...თუმცა ჩვენს ქვეყნებს შორის უდიდესი მანძილია, მაგრამ თავისი სულისკვეთებით „კალევალა“ და „ვეფხისტყაოსანი“ ქება-დიდებას ასხამენ ერთსა და იმავე იდეალებს – სამშობლოსადმი სიყვარულს, სიყვარულის, მეგობრობის, სიმღერის, მშვიდობიანი შრომის ძალას, უმღერიან სამშობლოს თავისუფლებისათვის თავდადებას“.

რუსთაველის და მისი „ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეო ღონისძიებების მონაწილეთა დიდი სტუმრობა გაიმართა ყვარელშიც, ჩვენი დიდი თანამემამულის, ერის სულიერი მოძღვრის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმში. სრულიად ყვარელი, რაიონის ხელმძღვანელობა, მუზეუმი, დიდი მასპინძელი იყო ამ ფრიად საამაყო სტუმრებისა. სტუმრებს ექსკურსიამძღოლობა გაუწია მუზეუმის მეცნიერ-მუშაკმა ლეილა ნასყიდაშვილმა.

მუზეუმის ბაღში გაიმართა საინტერესო შეხვედრა ყვარლელებთან დიდი იუბილის მონაწილეთ მიესალმნენ რაიონის მაშინდელი ხელმძღვანელი გივი ზაუტაშვილი, მუზეუმის დირექტორი, პოეტი ილო ბეროშვილი; სიტყვაში გამოვიდნენ და ლექსები წაიკითხეს ირაკლი აბაშიძემ, გოგლა ლეონიძემ, კარლო კალაძემ, სიმონ ჩიქოვანმა, იოსებ ნონეშვილმა. სამადლობელი სიტყვები წარმოთქვეს მოწვეულმა უცხოელმა სტუმრებმაც. ჩვენი მუზეუმის ფონდებში დაცულია ამ მეტად ღირსშესანიშნავი სტუმარ-მასპინძლობის ამსახველი ფოტომასალა, რომელიც სხვა მრავალ მნიშვნელოვან ექსპონატთან ერთად უმნიშვნელოვანეს მასალას წარმოადგენს რუსთაველის დიდი იუბილის, ყვარლის რაიონის და მუზეუმის ისტორიისათვის.

**ლიანა ავაზაშვილი**




# აფხაზეთი – ჩვენი გულისტკივილი

## ეს ურთიერთობა თოფ-იარაღით კი არ უნდა აღსდგეს, არამედ მიტევებით, სიყვარულით...



ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში, ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე წერილში „მივხედოთ აფხაზეთს“ გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ საჭირო იყო საზოგადოების განსაკუთრებული მიხედვა ყმაწვილების სწავლა-აღზრდისათვის. თუ ეროვნულ ენას არ მიექცეოდა ყურადღება, შეიძლებოდა მალე დიდი სადარდებელი გაგვჩენოდა აფხაზეთში. შორსმჭვრეტელი აღმოჩნდა მისი სიტყვები. დღეს საქართველოს უძველესი მიწა-წყალი გარიყულია და უდიდეს ტკივილს გვაყენებს თვითეულ ჩვენთაგანს.

დიდი მოაზროვნისა და საზოგადო მოღვაწის იუბილისადმი მიძღვნილ გაზეთის ნომერში მიზანშეწონილად ჩავთვალეთ კიდევ ერთხელ შევხედოთ ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხს, ვისაც კი ურთიერთობა გვქონია აფხაზებთან, მოსვენებას არ გვაძლევს წარსულზე ფიქრი. ჩვენ განუყოფელი ძმები და მეგობრები ვიყავით, ერთიანი ტკივილი და ერთიანი ლხინი გვქონდა. ამის ნათელი მაგალითები უამრავია ჩვენი ცხოვრების წარსულიდან. არ შემიძლია არ გავიხსენო აფხაზების ყვარელთან ურთიერთკავშირის ის ნათელი მაგალითი, რომელიც ჩემი ცხოვრების სამუდამო ტკბილ მოგონებად იქცა.

1977 წლის მარტის თვეში დაუკითხავად შევედი რაიკომის მეორე მდივნის მერაბ კოკორაშვილის კაბინეტში, სადაც დამხვდნენ იოსებ მოლაშვილი, რომელიც იმ პერიოდში გაგზავნილი იყო მოსკოვის საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიაში და უცხო პიროვნება, რომელსაც არ ვიცნობდი. იოსებ მოლაშვილმა გამაცნო თავისი სტუმარი – ზაურ ხოკერბა, იგი მასთან ერთად სწავლობდა. მე იმ დროისათვის ლაგოდეხის სამხედრო ნაწილში ვიმყოფებოდი ორთვიან შეკრებაზე და მთხოვეს მეორე დღეს მეგზურად გავყოლოდი, რათა ხოკერბას დაედგინა მამის საფლავი.

მგზავრობისას ჩვენი საუბრის ძირითადი თემაც ეს იყო. ზაურის მამა აფხაზეთის გამოჩენილი პოეტი, სოფლის მეურნეობის მინისტრი შამილ ხოკერბაც ვერ გადაურჩა ბერიას ტერორს და აყვანილი იქნა პატიმრობაში. ციხეში მას ტუბერკულოზი დაემართა, უაღრესად მძიმე ავადმყოფი, რომლის ციხეში დატოვება სიკვდილის ტოლფასი იყო, თავდებით გამოიხსნა ლაგოდეხის იმდროინდელმა პირველმა მდივანმა შალვა ნუცუბიძემ. მათ სტუდენტობის წლების მეგობრობა აკავშირებდათ. მისივე დახმარებით ხოკერბა რაიონის მიწგანის მთავარ აგრონომად დაინიშნა და ბინად სოფელ ულიანოვკაში რუსების ოჯახს მიეკედლა. ომის გაჭირვებამ და შიმშილობამ თავისი გაიტანა და ხოკერბა ვერ გადაურჩა იმ დროისთვის განუკურნებელ სენს. დაკრძალვაზე სოხუმიდან მეუღლე დიდი გაჭირვებით ჩამოვიდა. დამერწმუნებით მიცვალებულის გადასვენება წარმოუდგენელი იყო იმ პერიოდისათვის.

რუსულმა ოჯახმა ომის გაჭირვებულობის პირობებში საკუთარი საცხოვრებელი ოთახის კარები ჩამოიღო სასახლის გასაკეთებლად და ქრისტიანულ წესზე მცირე მასშტაბის ქელეხიც მოაწყო. დაკრძალული იქნა ამავე სოფლის სასაფლაოზე. ზაურის მიცვალებულის სასახლესთან გადაღებული რუსული ოჯახის და მათი მეზობლების სურათი ჰქონდა ერთადერთ იმედად, რის საშუალებითაც შეიძლებოდა მიგეკვლია მამის საფლავისათვის.

ლაგოდეხში მისვლისთანავე პარტიის რაიკომს მივაკითხეთ, სადაც ჩემი მეგობრები მუშაობდნენ. ყველას თავსატეხი ის იყო, რომ 35 წლის წინათ გადაღებულ სურათში ვინმეს ამოეცნო რომელიმე პიროვნება, სადაც დადგინდებოდა ოჯახი, ვისთანაც ცხოვრობდა და გააპატიოსნეს ზაურის მამა. ბედად რუსის დედაკაცი აღმოჩნდა პარტიის რაიკომში სახთოვნელად მოსული. 80 წელს მიტანებულმა ქალმა კარგად დაათვალიერა სურათი და თითი დაადო ახალგაზრდა გოგონას, აი ამათ ოჯახში ცხოვრობდა მამათქვენიო. დედაკაცის მოცემული კოორდინატი აბსოლუტურად სწორი აღმოჩნდა, მაგრამ სურათიდან მომზირალი ქალიშვილი, რომელსაც უკვე 60 წლისათვის გადაებიჯებინა, საავადმყოფოში დაგვიხვდა საწოლზე მიჯაჭვული.

მე დამაველა კონტაქტში ვყოფილიყავ ავადმყოფთან, როგორც კი ფეხზე წამოდგებოდა, დამეზუსტებინა შამილ ხოკერბას სამყოფელი.

ამავე წლის ზაფხულის ერთ დილას, უთენია, თავზე წამომადგა ზაურ ხოკერბა, რომელმაც გულითადი მოკითხვის შემდეგ მთხოვა გავყოლოდი ლაგოდეხში მამის საფლავის საჩვენებლად. მე მაშინვე დავუკავშირდი იოსებ მოლაშვილის ოჯახს, რადგან მამამისი ილია კარგად იცნობდა ზაურს. იოსები იმ დროს ყვარელში არ იმყოფებოდა. ილიამ მე მითხრა, რომ ლაგოდეხში მომაკითხვადა შუადღის ხანს.

ჩვენ გავემგზავრეთ ლაგოდეხში მთელი ესკორტით, ზაურს თან ახლდა მაშინდელი აფხაზეთის გამოჩენილი ელიტა, რომელთაგან ზოგი თბილისში და ზოგიც სოხუმში მუშაობდნენ დიდ თანამდებობაზე. კონსტანტინე ოზგანი, ზურაბ ლაბახუა, ბორის თარბა, ენვერ კაპბა და სხვები, სულ 25 კაცამდე.

დილაუთენია, 6 საათზე, ლაგოდეხში თავზე დავადექით იმდროინდელი რაიონული გაზეთის რედაქტორს გივი კიკილაშვილს, რომელსაც მეგობრობასა და სტუმართმოყვარეობაში ბადალი არ ჰყავდა. გივის დახმარებით მოვნახეთ მუშები, რომლებიც საფლავს გათხრიდნენ, მანამდე კი საპატიო სტუმრები ლაგოდეხის ტურისტულ ბაზაში ვასაუზმეთ და გავანაწილეთ დასასვენებლად. რამდენიმე საათის შემდეგ ყვარლიდან ჩამოვიდა ილია მოლაშვილი, მე და გივი გაგვიხმო და მოგვეთათბირა, თუ სად გამართულიყო შამილ ხოკერბას გადასვენების აღმნიშვნელი ცერემონიალი.

შუადღის ხანს მიცვალებულის ძვლები შვილისგან მოტანილ სასახლეში ჩავასვენეთ და ჩვენებური წესის თანახმად, სტუმრები რესტორანში მივიწვიეთ. ძნელია გადმოვცე, თუ როგორი კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და ძმობის სიყვარულში ჩაიარა მიცვალებულის სულის სახსენებლად რესტორანში ჩვენმა შეხვედრამ. ამას განსაკუთრებით ხელი შეუწყო გივი კიკილაშვილის უნაკლო თამადობამ. სტუმრები გვიან საღამოთი გავაცილეთ უკვე ყვარლის რაიონის საზღვრიდან.

მას შემდგომ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ ზაურ ხოკერბასა და ჩვენს გულებში არასოდეს წაშლილა მეგობრობის, დაუვიწყარი ურთიერთობის, პატივისცემისა და სიყვარულის გრძნობა. როგორც ვიცი, ავადმოსაგონარი ომის დროს ზაურს არასოდეს უბრძოლია ქართველების წინააღმდეგ, ამიტომაცაა, აფხაზეთის საყოფაცხოვრებო და კომუნალური მეურნეობის ყოფილ მინისტრს, რომელმაც თავი არ გამოიჩინა ქართველების წინააღმდეგ აგრესიულობით, ადგილი არ ერგო დეფაქტო აფხაზეთის მთავრობაში.

ძმათამკვლელი ომიდან 25 წელი გავიდა, ქართველებიც და აფხაზებიც მივხვდით, რომ ეს ომი არცერთისთვის არ იყო მომგებიანი. ჩემის აზრით კი, ძმათა მკვლელ ომს საფუძველი ჩაუყარეს იმ ვაიქართველებმა, რომელთაც თავიანთ ეროვნებას აფხაზი მიაწერეს, რათა გამორჩეული თანამდებობები და პატივი დაემსახურებინათ აფხაზეთის მიწაზე.

ისტორია არ ივიწყებს წარსულს, მით უმეტეს ადამიანი, ჩვენ ქართველებსაც და აფხაზებსაც მოგვენატრა ერთმანეთი, ყოველთვის თვალწინ გვიდგას ძმობისა და მეგობრობის, პატივისცემის, ურთიერთგამასპინძლების ტკბილად მოსაგონარი შეხების წერტილები. ომი და დავიდარაბა, ურთიერთდაუნდობლობა ძველად საქართველოს სამთავროებს შორისაც უამრავი იყო, მაგრამ ქვეყანა არ დაქცეულა, ყოველთვის იმარჯვებდა ურთიერთ პატიება და საერთო მტრის წინააღმდეგ შეკავშირება.

დღეს ყინული ურთიერთობაში აშკარად გალღვა. ახლა საჭიროა ორ მოძმე ხალხს შორის გაანალიზდეს კონფლიქტის წარმოშობის მიზეზები და ორივე მხარის მიერ ჩადენილი შეცდომები და დანაშაულობები გულწრფელად იქნეს აღიარებული.

გავიხსენოთ, თუ როგორი ურთიერთობა გვქონდა აფხაზებთან. ეს ურთიერთობა თოფ-იარაღით კი არ უნდა აღსდგეს, არამედ მიტევებით, სიყვარულით, ერთმანეთის მხარში ამოდგომითა და მშვიდობიანი თანაცხოვრებით.

ჩემი წერილი დიდი ილიას სიტყვებით უნდა დავამთავრო – აზრი ცხოვრებისა იმაშია, რომ შეიტყო, შეიმცნო: ჟამი რას ითხოვს: ტირილსა თუ სიცილსა, განყრას თუ შეკრებას, დუმილსა თუ მეტყველებას, სიყვარულსა თუ სიძულვილს, ბრძოლას თუ მშვიდობასა...

**ალექსანდრე გიგილოშვილი**

# ქორეოგრაფიული ცეკვების საერთაშორისო ფესტივალი – „შემოდგომის რიტმები“

საქართველოს ქორეოგრაფიულ მოღვაწეთა კავშირის ორგანიზებით 28 ოქტომბერს ილიას ტბაზე გაიმართა ყოველწლიური, ტრადიციული, ქორეოგრაფიული ცეკვის საერთაშორისო ფესტივალი: „შემოდგომის რიტმები“. ფესტივალზე მონაწილეობას ილებდნენ, როგორც საქართველოს სხვადასხვა რეგიონების ქორეოგრაფიული, ასევე საზღვარგარეთიდან მოწვეული ანსამბლები. მათ შორის ბალტიისპირეთის, რუსეთის, თურქეთის და სხვა. ფესტივალის დასასრულს, საქართველოს ქორეოგრაფიული კავშირის წარმომადგენლებმა თითოეულ მონაწილეს გადასცეს ფესტივალის ლაურეატის დიპლომი.



















# 2017 წლის 21 ოქტომბერს გამართული თვითმართველობის არჩევნების საბოლოო შედეგები

**2017 წლის 21 ოქტომბერს ჩატარდა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის თემის მერის არჩევნები.**

**ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო შედგება პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული 15 წევრისა და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული 12 წევრისაგან.**

**ყვარლის საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა რაოდენობა – 28508**

**კენჭისყრის დღეს მოსული ამომრჩევლის რაოდენობა – 15620**

**საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული ხმები: 14963**

„ბაქრაძე, უგულავა – ევროპული საქართველო“ – მიიღო 1330 ხმა

„დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა – დემოკრატიული მოძრაობა – თავისუფალი საქართველო“ – მიიღო 266 ხმა

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – მიიღო 2746 ხმა

„რესპუბლიკური პარტია“ – მიიღო 213 ხმა

„დავით თარხან – მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ – მიიღო 1358 ხმა

„მემარცხენე ალიანსი“ – მიიღო 20 ხმა

„შალვა ნათელაშვილი – საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ – მიიღო 733 ხმა

„ტრადიციონალისტები“ – მიიღო 16 ხმა

„ახალი ქრისტიან – დემოკრატები“ – მიიღო 29 ხმა

„თავისუფლება – ზვიად გამასახურდიას გზა“ – მიიღო 19 ხმა

„სახალხო – ხალხის ერთსულოვნება“ – მიიღო 15 ხმა

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ – მიიღო 8218 ხმა

**მანდატები მიიღეს:**

„ბაქრაძე, უგულავა – ევროპული საქართველო“ – 1

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – 3

„დავით თარხან – მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ – 1

„შალვა ნათელაშვილი – საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ – 1

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ – 9

**პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე საკრებულოს წევრებად არჩეულ იქნენ:**

**„ბაქრაძე, უგულავა – ევროპული საქართველო“**

გოგიტა წიწრიაშვილი

**„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“**

ბესიკი იაშვილი
ბექა ფოჩხიძე
შალვა ადეიშვილი

„დავით თარხან – მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“

ალექსი შიუკაშვილი

**„შალვა ნათელაშვილი – საქართველოს ლეიბორისტული პარტია“**

თინათინი ჩიხიაშვილი

**„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“**

დავითი ქევხიშვილი
ილია მზექალაშვილი
ნინო ხუციშვილი
ქეთევანი სეფაშვილი
ვაჟა ჭუნაშვილი
თამარი დენტოშვილი
გიორგი სირაძე
შამილა კახიტაევ
ლევანი გელაძე

**მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე საკრებულოს წევრებად არჩეულ იქნენ:**

**N16.01.01 ყვარლის ქალაქის ადგილობრივ მაჟორიტარულ ოლქში** – ზურაბ ჩხეიძე

N16.01.01 ყვარლის ოლქში ამომრჩეველთა რაოდენობა – 3921

არჩევნებში მონაწილე ამომრჩევლთა რაოდენობა საარჩევნო ოლქში – 2062

ზურაბ ჩხეიძე – მიიღო 1095 ხმა

**N16.01.02 ყვარლის ქალაქის ადგილობრივ მაჟორიტარულ ოლქში** – ვანო მამულაშვილი

N16.01.02 ყვარლის ოლქში ამომრჩეველთა რაოდენობა – 3864

არჩევნებში მონაწილე ამომრჩევლთა რაოდენობა საარჩევნო ოლქში – 1975

ვანო მამულაშვილი – მიიღო 1010 ხმა

**N16.02 მთისძირის ადგილობრივ მაჟორიტარულ ოლქში** – ალექსანდრე მაზმიშვილი

N16.02 მთისძირის ოლქში ამომრჩეველთა რაოდენობა – 721

არჩევნებში მონაწილე ამომრჩევლთა რაოდენობა საარჩევნო ოლქში – 505

ვანო მამულაშვილი – მიიღო 288 ხმა

**N16.03 ბალღოჯიანის ადგილობრივ მაჟორიტარულ ოლქში** – ზურაბი კაპანაძე

N16.03 ბალღოჯიანის ოლქში ამომრჩეველთა რაოდენობა – 658

არჩევნებში მონაწილე ამომრჩევლთა რაოდენობა საარჩევნო ოლქში – 432

ზურაბი კაპანაძე – მიიღო 349 ხმა

**N16.04 ახალსოფლის ადგილობრივ მაჟორიტარულ ოლქში** – კახა ასისტიშვილი

N16.04 ახალსოფლის ოლქში ამომრჩეველთა რაოდენობა – 4836

არჩევნებში მონაწილე ამომრჩევლთა რაოდენობა საარჩევნო ოლქში – 2610

კახა ასისტიშვილი – მიიღო 1895 ხმა

**N16.05 ჭიკაანის ადგილობრივ მაჟორიტარულ ოლქში** – თენგიზ ღვალაძე

N16.05 ჭიკაანის ოლქში ამომრჩეველთა რაოდენობა – 2534

არჩევნებში მონაწილე ამომრჩევლთა რაოდენობა საარჩევნო ოლქში – 1581

თენგიზ ღვალაძე – მიიღო 796 ხმა

**N16.06 კუჭატნის ადგილობრივ მაჟორიტარულ ოლქში** – ბადური ბერიძე

N16.06 კუჭატნის ოლქში ამომრჩეველთა რაოდენობა – 1596

არჩევნებში მონაწილე ამომრჩევლთა რაოდენობა საარჩევნო ოლქში – 979

ბადური ბერიძე – მიიღო 459 ხმა

**N16.07 გავაზის ადგილობრივ მაჟორიტარულ ოლქში** – ვახტანგი მაჭავარიანი

N16.07 გავაზის ოლქში ამომრჩეველთა რაოდენობა – 2571

არჩევნებში მონაწილე ამომრჩევლთა რაოდენობა საარჩევნო ოლქში – 1519

ვახტანგი მაჭავარიანი – მიიღო 875 ხმა

**N16.08 შილდის ადგილობრივ მაჟორიტარულ ოლქში** – ჯემალი შავერდაშვილი

N16.08 შილდის ოლქში ამომრჩეველთა რაოდენობა – 3814

არჩევნებში მონაწილე ამომრჩევლთა რაოდენობა საარჩევნო ოლქში – 1671

ჯემალი შავერდაშვილი – მიიღო 1076 ხმა

**N16.09 ენისლის ადგილობრივ მაჟორიტარულ ოლქში** – იოსები სოლომნიშვილი

N16.09 ენისლის ოლქში ამომრჩეველთა რაოდენობა – 1297

არჩევნებში მონაწილე ამომრჩევლთა რაოდენობა საარჩევნო ოლქში – 737

იოსები სოლომნიშვილი – მიიღო 343 ხმა

**N16.10 საბუის ადგილობრივ მაჟორიტარულ ოლქში** – მამუკა ბერიაშვილი

N16.10 საბუის ოლქში ამომრჩეველთა რაოდენობა – 1629

არჩევნებში მონაწილე ამომრჩევლთა რაოდენობა საარჩევნო ოლქში – 853

მამუკა ბერიაშვილი – მიიღო 593 ხმა

**N16.11 გრემის ადგილობრივ მაჟორიტარულ ოლქში** – სერგო მამაგულიშვილი

N16.11 გრემის ოლქში ამომრჩეველთა რაოდენობა – 1062

არჩევნებში მონაწილე ამომრჩევლთა რაოდენობა საარჩევნო ოლქში – 696

სერგო მამაგულიშვილი – მიიღო 438 ხმა

**ყვარლის თვითმმართველი თემის მერად არჩეულია როსტომ სესიაშვილი**

# რეპორტაჟი საარჩევნო უბნიდან

## ...მათ უნდა გადაარჩინონ, გაამთლიანონ და აალორძინონ ჩვენი სამშობლო

21 ოქტომბრის დილის 6 საათია, ყვარლის N1 საარჩევნო უბანზე, ახალ საბავშვო ბაღში, კომისიის წევრები და დამკვირვებლები შეიკრიბნენ და საარჩევნო წესდების მოთხოვნების შესაბამისად დაიწყეს მოსამზადებელი პროცედურების განხორციელება, რომელიც 7 საათისათვის ამომრჩეველთა მისაღებად მზადყოფნას გულისხმობდა. კომისიის თავმჯდომარის, მოადგილის, მდივნის და კომისიის წევრთა ოპერატიულად ჩატარებული ღონისძიებების შედეგად საარჩევნო უბანი დანიშნული დროისათვის მზად იყო, ზუსტად 7 საათზე გაიხსნა და ყველა შემოსასვლელ კარებს მიაჩერდა, ვინაიდან აინტერესებდათ ვინ იქნებოდა პირველი ამომრჩეველი.

საარჩევნო უბნის კარები პირველმა შემოაღო გია ზარდიაშვილმა, 10 თვის ულამაზეს შვილიშვილთან — ნია ზარდიაშვილთან ერთად, რამაც უბანზე მყოფი ადამიანების გაკვირვებაც გამოიწვია და გუნება-განწყობილებაც გამოუკეთათ, ვინაიდან ნიაკოს მეკვლეობა იმ დღის მშვიდობიანად დამთავრებას მიანიშნებდა. პატარა ქალბატონის სტუმრობით ყველამ გაიხარა, მაგრამ პაპას მაინც კითხეს — თუ რატომ გამოაღვიძა დილაადრიანად შვილიშვილი? მან კი ამაყად უპასუხა — ახლა უფლის წყალობით განსაკუთრებული თაობა მოდის, რომელიც დაბადებიდანვე კომპიუტერივით აზროვნებენ და ცხოვრების რიტმს ადრიდანვე უნდა შეეჩვივნენ, რადგანაც მათ უნდა გადაარჩინონ, გაამთლიანონ და აალორძინონ ჩვენი სამშობლო.

საარჩევნო უბანს დილაადრიანად მოადგა 92 წლის ვახტანგ ცუკილაშვილი, რომელსაც კაბინაში შესვლის დროს სათვალეები არ გამოუყენებია, მაშინ, როდესაც მასთან შედარებით ახალგაზრდა ამომრჩევლები მუდმივად სათვალეებს გვთხოვდნენ კომისიის წევრებს.



ყვარლის N1 საარჩევნო უბანზე დილიდანვე აქტიურობა შეიმჩნეოდა და ისეთნაირი ხალხმრავლობა იყო, რომ ამომრჩევლებს ხშირად რიგის დაკავება სჭირდებოდათ. რა თქმა უნდა, ამომრჩეველთა აქტიურობა დეპუტატობის მაჟორიტარი კანდიდატების კონკურენციამ განაპირობა.

უბანზე ხალხმრავლობის დროს მობრძანდნენ საერთაშორისო დამკვირვებლები ამერიკის შეერთებული შტატებიდან და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან, ამ უკანასკნელმა გაოცება ვერ დამალა, როცა კომისიის თავმჯდომარემ, თინიკო ცირიკაშვილმა, გერმანულ ენაზე აუხსნა, თუ როგორ ვითარებაში მიმდინარეობდა არჩევნები უბანზე და მის ყველა კითხვას ამომწურავი პასუხი გასცა.

უფლის წყალობით ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ყველა საარჩევნო უბანში არჩევნები ჩატარდა მშვიდ ატმოსფეროში და რაიმე მწვავე ინციდენტს ადგილი არ ქონია.

**ალეკო ქაფიანიძე**



# კალენდარი



მსოფლიოში კალენდარი პირველად შემოღებული იქნა ძველი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში, როცა რომის რესპუბლიკის პოლიტიკურმა მოღვაწემ, რეფორმატორმა, მწერალმა და ორატორმა იულიუს კეისარმა (ცეზარმა) ეგვიპტის ასტრონომის სოსიგენეს რჩევით ძველი წელთაღრიცხვის 45 წელს, 1 იანვრიდან შემოიღო წელთაღრიცხვის სისტემა, რომლის მიხედვით ყოველი მომდევნო სამი წელიწადის ხანგრძლივობად მიღებული იქნა 365 დღე, ხოლო ყოველი მეოთხე წელიწადისა — 366 დღე. ყოველ მე-4 წელიწადს, რომლის დღეთა რაოდენობა არის 366 დღე, ნაკიანი წელიწადი უწოდეს. დროის ხანგრძლივი შუალედების სისტემას წელთაღრიცხვა, ანუ კალენდარი ეწოდება.

VI საუკუნეში იტალიელმა სწავლულმა ბერმა დიონისე მცირემ გამოაცხადა, რომ იესო ქრისტე იშვა 532 წლის წინ და ამ თარიღიდან უნდა დაიწყოს წელთაღრიცხვაო.

### ქორონიკონი

ქორონიკონი არის VI საუკუნეში ქრისტიანულ სამყაროში შემოღებული წელთსათვალავი. მისი ყოველი ციკლი, ანუ მოქცევა 532 წელს მოიცავს, რომელიც მზის 28 წლისა და მთვარის 19 წლის წრეთა ნამრავლითაა მიღებული — 28x19=532. ყოველ ახალ მოქცევაში მეორდება მთვარის ასაკი, თვისა და კვირის დღეთა თანმიმდევრობა. მისი მიზანი იყო აღდგომის მოარული დღესასწაულის წინასწარ გამოთვლა, რომლის შედეგად ყოველი წლის დასაწყისად მარტი იქნა მიღებული.

ქორონიკონი საქართველოში პირველად VIII სუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდან გამოიყენეს. მისი XII მოქცევა დამთავრდა 780 წელს და 780 წელსვე დაიწყო XIII მოქცევა, რომელიც დამთავრდა 1313 წელს. XIV მოქცევა დაიწყო 1314 წელს და დამთავრდა 1845 წელს. XIV მოქცევა დაიწყო 1847 წელს და დამთავრდება იგი 2377 წელს.

ევროპაში ახალი კალენდარი შემოღებული იქნა 1582 წელს, ხოლო რუსეთში 1918 წლის 24 იანვარს. ამ დეკრეტს ლენინმა მოაწერა ხელი. ამ კალენდრით 1 თებერვალი 14 თებერვლად გამოაცხადეს.

დროის ხანგრძლივი შუალედების აღრიცხვის სისტემას წელთაღრიცხვა ანუ კალენდარი ეწოდება.

წელიწადი ეს არის დროის შუალედი ორ მომდევნო გაზაფხულის დღემატულობის მომენტებს შორის. მას ტროპიკული წელიწადი ეწოდება. იგი მოიცავს 365 დღე-ღამეს, 48 წუთს და 46,1 წამს. ამიტომ დადგინდა, რომ ყოველ მომდევნო 3 წელიწადში 365 დღე იანგარიშება, ხოლო მე-4 წელიწადს — 366 დღე.

წელიწადი, რომელიც დღე-ღამეთა მთელ რიცხვს შეიცავს, არის სამოქალაქო წელიწადი.

იულიუს კეისრის კალენდარი, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის 45 წლის პირველი იანვრიდან იწყებოდა, 325 წელიწადს ქრისტიანულმა ეკლესიამ ცნო, მაგრამ იგი საბოლოოდ XVI საუკუნეში მოწესრიგდა, რადგან ბუნიობისა და მზებუდობის დღეებში უნდა დამთხვეოდა ერთმანეთს. მაგალითად IV საუკუნეში გაზაფხულის ბუნიობა 21 მარტს მოდიოდა, XVI საუკუნეში კი 11 მარტს. ამდენად იულიუს კეისრის წელთაღრიცხვა 10 დღით „ჩამორჩებოდა ბუნებას“, რამაც მოითხოვა მისი რეფორმა. ეს რეფორმა განახორციელა რომის პაპმა გრიგოლ XIII. 1582 წელს დღეთა ანგარიში გადანაცვლებული იქნა 10 დღით. 4 ოქტომბრის მომდევნო დღედ გამოცხადდა 15 ოქტომბერი. ამის შედეგად გაზაფხულის ბუნიობა კვლავ 21 მარტს დაემთხვა.

გრიგორიანულ კალენდარს უწოდებენ წელთაღრიცხვას. ახალი სტილით პირველად იგი შემოიღეს XVI საუკუნის 80-იან წლებში იტალიაში, ესპანეთში, პორტუგალიაში, საფრანგეთში, უნგრეთში და ევროპის სხვა ქვეყნებში. რუსეთში იგი შემოიღეს 1918 წლის 24 იანვარს ლენინის დეკრეტით, რომლის შედეგად 1 თებერვალი 14 თებერვლად გამოცხადდა.

**ალექსანდრე გიგიაშვილი**

# პოეზიის მოყვარულებს ვთავაზობთ ყვარლელი პოეტების ახალ ლექსებს

## არ მომეშალოს

არ მომეშალოს თარეში,
დიდი ილიას მხარეში,
ნურც მაშინ, როცა დღისით მზე
მიმზერს ჯიუტად თვალებში.
ნურც ღამით, როცა სოფლისკენ,
ბილიკს მივყვები მთვარეში,
აღარ მენახოს არასდროს
კახეთი სიმწუხარეში.
არ მომეშალოს თარეში,
დიდი ილიას მხარეში,
სადაც სიცოცხლე ზეიმობს,
ყვარელის გულის მხარეში.

## მენატრები!

ბაღი, მინდორი,
ფიჭვის ტყე,
სურნელებათა არეა,
„ცა ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი“,
ჩემი კუთხე და მხარეა.
მზე იმზირება ზღვის გულში,
ღამე ლურჯ ცაზე მთვარეა,
როცა მაღალ მთებს დაათოვს,
მინდვრები მაინც მწვანეა,
ვხარობ ეს წალკოტ-ედემი
ჩემი სოხუმის მხარეა.

**მზია ვაჩეიშვილი**

---

## დედის ხსოვნას

დედა დამესიზმრა, ხელებს მიკოცნიდა
და ისევ შველას მთხოვდა,
გარეთ კი დუმდა ბნელი ღამე
და თეთრად თოვდა და თოვდა...
ცრემლიან თვალებს მკრთალად უნათებდა
სევდაშერეული შუქი,
მერე ყვავილები მომთხოვა, მაგრამ
აღარ მოიცადა წუთიც.
უეცრად გამშორდა ჩუმი ლოცვით
(გარეთ ზუზუნებდა ქარი),
ცხოვრება ყოფილა სიზმარივით,
სიზმარი გაელვება წამის...
დედას ყვავილები ენატრებოდა,
გარეთ კი ბნელი ღამე თრთოდა,
მე ისევ გამქრალ სიზმარს დავეძებდი –
გულში კი თოვდა და თოვდა...

## უდროოდ წასულ ძმას

მივდივარ თქვენგან და
ფარული მიმყვება სევდა,
ასე მგონია რაღაც მრჩება
ამ ბნელ ოთახში...
არ მელოდება, ვიცი, სახლში
დაღლილი დედა,
აღარც სინათლეს აღარ
ველი უკვე ოჯახში.
მივდივარ ჩემი მარტოობის
მოსაფერებლად,
მივდივარ ბნელში, სინათლის
შუქს იმეტებს არვინ...
ცოტა დრო მრჩება არჩევანის
გასაკეთებლად,
ღმერთო, მაცალე ერთი წუთი,
სულ ერთი წამი...
დღეს აღარ მინდა ფეხის დადგმა
თითქოს მიწაზე
და გამაცილებს მოქუფრული
ღრუბლების წყება.
აქ კი, ჩემს სახლში, ჩემი ყრმობის
ნათელ ბინაზე,
ასე უდროოდ გაწყვეტილი
სიცოცხლე მრჩება.

## * * *

თეთრი ღამის რომანტიკა
თუ ოდესმე განგიცდია,
მთვარის შუქზე, გრძნობით დამთვრალს,
ლექსის შეთხზვა თუ გიცდია.
დარდით სავსე ერთხელ მაინც,
თუ მოივლი ნაცნობ უბნებს,
მთვარის შუქზე, ცაცხვის ხესთან,
თუ ღმერთთანაც ისაუბრებ.
გულის სწორის გახსენება,
თუ ოდესმე დაგაღონებს,
მიმიხვდები, ასე გრძნობით
რატომ ვქარგავ ამ სტრიქონებს.

## კავკასიონი

თელავიდან გაიხედავ –
მოჩანს კავკასიონი,
სპეტაკი და სალოცავი,
როგორც ჩვენი სიონი.
ყვარლის ძირში აღმართული
ციხე და ბასტიონი,
სიღნაღიდან, თელავიდან
მოჩანს კავკასიონი.
აზიდული ცათა შინა,
ეს ზვიადი მთიონი,
საქართველოს კარიბჭე და
ფარი – კავკასიონი!

**ალიმან ლაფაჩიშვილი**

---

## * * *

ბედნიერება ღამეს არ ათევს,
ბედნიერება არსად ჩერდება
თუკი დაჯექი და დაელოდე
ადამიანო რა გეშველება?!
ბედნიერება იწონებს ვისაც
დასდევს მას მუდამ ემეგობრება
ბედნიერები უმადლიან ბედს
გამორჩეულად გამორჩეულან.
ვის თვალწინ დგება ბედნიერება
არც მან არ იცის მისი გზა-კვალი
არც დაელოდოთ, არც დაივიწყოთ
მხოლოდ ყოფნაა თავშესაფარი.
მხოლოდ ყოფნაა თავშესაფარი...

## გმირებს

კლდეკარის ციხე, ციხე კედელი,
სამშობლოს ბურჯი ქართლის დამცველი.
ცად აზიდული თეთრი გორები
ფარ-ხმალ ხანჯალი გამოწრთობილი.
გადატანილი ბრძოლა მრავალი
და მთების ექო გამოუცნობი.
აქ, თავდადება მამულიშვილთა,
აქ, აწეული დროშა ქართული.
იყოს ხსენება მარად გმირების.
მიწა. დათხრილის ისევ შენება,
ისევ სიმტკიცე ისევ, "ურმული".
თეძმის ხეობა, გული მდინარე;
ცას მოდარაჯე ნოსტელი გმირი.
ერთაწმინდაში პაატას თავი,
ერის სინდისი, ერის ნამუსი.
აქ, მნათობს დღესაც ბერი თევდორე აქ,
სამშობლოა მხოლოდ პირველი.
ქართველნო! მამულს სიფხიზლე უყვარს,
ქართველნო! მამულს ფიცი ჩვენც მივცეთ.

**მანანა შატავიძე**

---

## ცოტაც ღიმილი...

გადმოეკიდა ციდან ღრუბელი,
როგორც ბუდიდან ბარტყი პაწია.
ცხოვრება ცრემლი ყოფილა კარგო,
ცოტაც ღიმილი და ფანტაზია.
რა უცნაურად იელვა ზეცამ
და რა უეცრად იცვალა ფერი.
მშვიდობით, ჩემო ლურჯო ოცნება,
ო, რარიგ მტანჯავს სიშორე შენი.
განმარტოვებით მდგომი იმედი
და განშორების შავ-თეთრი სევდა,
ცით ნაბოძები თეთრი ვარდები,
სისხლის მორევში უთუოდ ჭკნება.

## საღამო იდგა...

საღამო იდგა ცისფრად ნაფერი
და გვირილები ბაღში ჰყვაოდნენ.
მომსურვებოდა ზღვა სიყვარული
მომძალებოდა ბავშვური ნატვრა:
– რომ ცისქვეშეთში მხოლოდ სიკეთე
და უკვდავება მზეობდეს კაცთა.
რაც შემდგომ მოხდა – ეს უკვე სხვაა.
თუმცა ნამდვილი – ძლივს დასაჯერი.
– მე განვიცადე გარდაცვალება
არა სიკვდილი,
არა გაქრობა – ზე სიყვარულის
აღმაფრენაში
მარადისობის უცხო შეგრძნება.
სული... სხეული... შიში... იმედი...
გამთლიანება და გაორება.

**P. S.** მხოლოდ გულისთქმით თუ ვიარეთ, საბრალონი შევიქმნებით. გონებით თუ ვიარეთ, უგულოდ – სასტიკნი. საუკეთესო მათი ჰარმონიული შეთავსებაა, რასაც ჩვენ ჩვენი ადამიანური ბუნების გამო ნაკლებად ვახერხებთ.

**ელისო ბუშელაშვილი**

---

## * * *

თუ ვარ პოეტი, ამ პოეზიას
შენ გიმადლოდე უნდა.
მანამდე გული, გრძნობა დაცლილი,
წლების მანძილზე დუმდა.
ჩემი ცრემლებით ტბა – შემოქმედის,
შენით დავიდგი ახლოს.
გემი მჭირდება, თუნდაც ქაღალდის,
ხელი რომ არვინ ახლოს.
ოცნების ფურცელებზე ავაგებ ანკესს,
და გადავაგდებ ტბაში.
იქნებ და ოქროს თევზს ღვთიურ წყალობით
წამოეგოსო ყბაში.
მერე სამ ნატვრას, როცა ვინატრებ
ჯინი ამიხდენს იმ ტბის.
უბრალოდ სიტყვებს აღარ ვიტყვი და
ძალა მექნება სიტყვის.
მექნება ნანატრი ოცნების ხილი,
და სანატრელი მექნება მუდამ.
თუ პოეტი ვარ, ამ პოეზიას,
შენ გიმადლოდე უნდა.

**მერფი-მერაბ ფირცხალაიშვილი**

---

## მღერის ლოტბარი

სმენას საამოდ ესალბუნება
იბერთ სიმღერის ტკბილი ბუნება.
ბგერათა რიტმი, თრთოლა და ჟღერა,
ხალხურ მოტივზე რომ აამღერა.
ჰანგებს გულამდე მიუშვებ, როცა
დაემსგავსება სიმღერა ლოცვას. .
ცად ანგელოსთა დასი შეისმენს
პოლიფონიას, მსუბუქ მელიზმებს...
ზეაღტაცების აფრინდა ფრანი,
აჰყვა სულისთქმა, ვინა ვართ, რანი?. .
შეგათამაშებს გრძნობის მორევში,
ათასკაციან სიმარტოვეში...
შემოგთავაზებს ვარსკვლავთ არჩევანს...
გაგიჭირდება თავის დაღწევა...
მოძახილების ლივლივებს ბანი,
გალობს სამყარო, მღერის ლოტბარი!
იბერთ სიმღერავ, მრავალხმიანო,
ვერ გძლიოს ჟამმა, არ გაგვიხუნდე,
სანამ ქრისტესთან თანაზიარობ,
აღუღუნებდე საუფლო ხუნდებს!

## ჩემი ქალაქის აისი

არ დაბერდა ზენა ქარი,
მიმოქროლვის ჟინი შერჩა,
მთებს ქოჩორზე ეჩალიჩა
და ღრუბლები აუჩეჩა.
სიამაყის იალქანი
აზანზარა ზართა ხმაზე,
ჭიუხს გვერდი აუქცია
ყვარლის ლოდის დანახვაზე.
მერე ქალაქს ჩაუქროლა
ათას ქართა ქარავანით...
მედგრად დახვდა ნაომარი
ყვარლის ციხე-გალავანი.
იქით ბურსა აბუტბუტდა,
აშრიალდა ჩალიანი;
აქეთ დურუჯს შეუკაზმავს
დევი, დიდრონთვალიანი...
ილიას ტბამ გაიბრწყინა –
კუდიგორის აივნიდან...
შერცხვა მტარვალს და სანატრელ
სიტურფეში გაირინდა!. .

**ლია გიგიტაშვილი**

---

## მართლის ხვედრი

ძნელია, როცა მართალი ხარ და
სიმართლისათვის ხშირად გყვედრიან.
სიმართლის თქმისთვის, ლანძღვა-გინება
დასაბამიდან მართალთ ხვედრია!
ძნელია, როცა გიყვარს მოყვასი,
პირში სიმართლეს ამბობ – გყვედრიან.
ვერ გაგება და ვერ შეფასება,
ალბათ, ოდითგან, მართალთ ხვედრია!
ძნელია, როცა გიყვარს სამყარო
და უგულობას ბრიყვნი გყვედრიან...
სამწუხაროა, მაგრამ გულწრფელის
დამფასებელი არ შემხვედრია !
თუ უტიფრებმა შენი სიმართლე
ვერ შეაფასეს, როგორც წესია,
დაუფიქრებლად, იმავე წუთში,
ტყვიას პირდაპირ გულში გესვრიან !
არ შეიცვალო ზნე და სიმართლე,
დაე, დაგზრახონ, როგორც გყვედრიან,
სიმართლისათვის ბრძოლა, ძვირფასო,
მართალი კაცის მძიმე ხვედრია !

## ვძლიე სიკვდილი

სიკვდილზე ძნელი რა უნდა იყოს,
მაგრამ მე მისი არ მეშინია!
მწევარივით რომ მიყეფს ცხოვრება,
ვიცი, რომ მისი დაგეშილია!
მე მას ვაჯობე და დიდი, დიდი,
მიწას წასული მაქციოს ლეშად.
სიცოცხლეშივე ვძლიე სიკვდილი,
სიცოცხლეშივე ვიქეცი ლექსად!
თუმცა, მწევარმა ხშირად მიკბინა
და შხამი მასვა წვეთობით, ნელა...
ვერ დამაჩოქა, მუხლზე ვერ დამცა,
სული ვერა და ვერ დამიბნელა!
მთელი სიცოცხლე ლექსად ვაქციე,
ჩემთვის არასდროს არ დაბინდდება...
სხვისი ცრემლით რომ ოქროს აგროვებს,
სიკვდილის იმას შეეშინდება.
კარგა ხანია, არ მეშინია
მწევარისა და ქარიშხლის ქროლვის,
პატიოსნება-ძალაა ჩემი,
სინდის-ნამუსი-ფარია ყოვლის.
თუმცა, ბოლო დროს სულში დათოვა,
ტანზე ჩავიცვი თბილი სათბურა...
სხეულში ვიგრძენ მწევარის ყეფა
და გულში სევდამ დაისადგურა!

**იზოლდა იოსებიანი**

---

## ზეცას ვუმზერ!

დავაწვეთე ღვინო პურზე,
ახლა ღმერთთან ვისაუბრებ,
ქვეყნის დარდი მაწევს ზურგზე,
ზეცას მაინც შვებით ვუმზერ.
ამ ცას ჰქვია მზიანეთი,
რომლის შინაც სახლობს ღმერთი,
ამბავს ვყვები სიყვარულზე,
სამშობლოზე, ჩემს მამულზე.
კეთილს, კეთილ საქმეს ვუქებ,
ბოროტს ვურჩევ, ფეხს არ ვუდებ,
ჩემი ქვეყნის მიწას ვუმღერ,
როგორც ჩიტი – თავის ბუდეს.
დავაწვეთე ღვინო პურზე,
განა რამ ვთქვი? ზეცას ვუმზერ...

## ხმად ღაღადისად!

გულს რომ აგინთებს, თანაც აგივსებს
მინდა ისმოდეს ხმად ღაღადისად,
– სიყვარულია, ისევ და ისევ,
ღმერთმა ამქვეყნად რომ გაგვაჩინა.
გრძნობა გულშივე უნდა დადუღდეს,
არ უნდა შურდეს თვალს წამწამისა,
სიკეთისათვის უნდა შეწუხდე,
ღმერთმა სიცოცხლე, ამად გაღირსა.
ზოგი ბუნებით დაწყევლილია,
სულში მშვიდობა ბინას ვერ იდებს,
ჭეშმარიტება ვისთვის ხილია,
ვინ ქარტეხილებს იჩენს ზედიზედ.
მოგვეცი ღმერთო, პური არსობის,
მარად ისმოდეს ხმად ღაღადისად,
ღვინოც – სათრობი, ჩვენი სამყოფი,
რამაც სიცოცხლე გადაგვირჩინა,
ჟამი თაფლობის, გულის წამლობის,
ზნე, სიყვარულის ყოველ კაცს შინა!

**ნელი თედეიშვილი**

---

## ილიას ეზო „წარმოსახვა“

მაგონდება სკოლის მერხი,
მერხთან დიდი ფანჯარა.
ფანჯრის მიღმა მობიბინე,
მწვანე ეზო ნარნარა.
მრგვალ აუზში მოცურავე,
გრძელ კისერა გედები,
ფანჩატური ვარდების და
იქვე ყურძნის მტევნები.
კარგად ჩანდა ასწლოვანი,
ხე კაკლებით მორთული
და მის ჩრდილში ნებიერი,
ბავშვი კითხვით გართული.
– თვით ილია იყო...მართლა!...
კლაში ყველა ვხედავდით,
საყვარელი შვილი ყვარლის,
მართალი და წმიდანი.

## ისევ შენთან ვარ...

გულით ისევ შენთან ვარ,
თვალიც შენსკენ გამირბის.
ძველი მოგონებების,
ტყვე ვარ და გთხოვ გამიშვი.
ოცნებების სამყარო,
კვლავ თავისკენ მიზიდავს,
ტირილი და ცრემლები
ღრუბელს გაჰყვა დილიდან.
თითქოს მზემაც დახუჭა,
სხივნათელი თვალები.
თითქოს სევდის მორევში,
კვლავ შენი ხმა ჩამესმის.
ღამით ციცინათელებს,
გაუმართავთ მარულა.
დღისით შენი თვალების
მზერა მკლავდა მალულად.
გულით ისევ შენთან ვარ,
თვალიც შენსკენ გამირბის,
ძველი მოგონებების
ტყვე ვარ და გთხოვ გამიშვი.

## იებს კონად შევკრებ

ნუთუ ჩემი წერილები
არ გინახავს დღემდე?. .
შორით ნისლებს ვეფერები,
მტრედებს ვუვლი თეთრებს.
იმედი მაქვს გზას ვასწავლი,
გამოფრენას შენსკენ.
იმედი მაქვს ახლა მაინც,
წაიკითხავ ჩემს ლექსს.
წაიკითხავ, გაიღიმებ...
მოიგონებ ძველ გზებს.
გაზაფხულის მოსვლას ველი,
იებს კონად შევკრებ.
თმებს ჩავაწნავ, მოვირთვები
და გამოვწევ შენსკენ.
მწყინს, რომ ჩემი წერილები
ვერ შეგიშრობს ცრემლებს.

## მინდა დავიწყო თავიდან

მინდა დავიწყო თავიდან,
რომ ისევ ჩემად გაქციო
და შენი შანი თვალებით,
ისევ მე ამომარჩიო.
მინდა დავიწყო თავიდან...
– ღელეს პირს ისევ ვრბიოდე
და ტიტლიკანა ფეხებით,
ბილიკზე ჩამოვრბიოდე.
მინდა, რომ შენი ფერებით,
ვიჯერო გული, ვიჯერო
და იმ ცისფერსა ღიღილოს,
გულის-გულ მივუღიღინო.
მინდა დავიწყო თავიდან...
და ისევ ჩემად გაქციო,
რომ ჩემი მოვის პერანგის,
ღილებად გადაგაქციო.

**ნუნუ ლაღიძე**

---

## ილია ჭავჭავაძის სახსოვრად

საძირკვლად აზრი ჩააგდე,
ზედ დასდგი გრძნობის ტაძარი,
მან გააბრწყინა სხივებით
ჩვენი სამშობლოს მთა-ბარი.
გვყარაულობდი თვალ-ფხიზლად,
შენ იყავ ჩვენი საფარი -
მოგკალით ჩვენისვე ხელით,
მოძმეთთვის ნაჭირმაგარი;
და შენი სისხლიც იქ ბრწყინავს,
სად წინაპართა ნთხეულა,
რომელთა ხსოვნა შენს გულში
აროდის გამოლეულა;
იმათ სისხლს არაგვის პირად
შენიც დაერთო წლეულა.
მოჰკვდი თვის სატრფოს კალთაზე.
დადუმდა ჩანგის სიმები;
აყვავებული მამული
გაგვიხდა დასატირები!
დაგიკოცნიან სახესა
ნათელს არაგვის გმირები;
შვილის დაკარგვას გლოვობენ
ტურფა ალაზნის პირები!
კაკო ყაჩაღთან ერთადა
მოსთქვამენ გლეხის შვილები,
უსამართლობის მსხვერპლები,
ყაჩაღად გაცვივნილები.
ჩვენის საწყლობის მოზარევ,
მანდ დაისვენო ეგები?!
ჩვენ რა ვქნათ, ჩვენა, ცოცხლებმა?
გარს შემოვივლეთ ბექები,
ვხდებით ყვავ-ყორნის სადილად,
ტურა-მგელთ გასაყვლეფები!
ვაი, რომ რჩება აკვანი
ბაზალეთის ტბის ძირასა,
და დიდხანს კითხვადვე გვრჩება:
„ვინ ამოიღებს იმასა?
ან იმ ბალღს ვინ უპატრონებს,
უსუსურს მტირალს ბედისა,
აკვანში რომ წევს საწყალი
და ძუძუ სწყურის დედისა?
ან იმ ცრემლის ტბას დიადსა,
ერისგან დანადინარსა,
ვინ დაშრეტს, ვინ ამოიყვანს
იმ უსუსურსა მტირალსა?!”
ვერაფერს ვიტყვი. ენა სდუმს,
თავზე დაგვჩხავის ყორანი;
გაღმა გასვლისა მსურველთა
უკუღმა მიგვყავს ბორანი;
გაგვიბატონდა, მგოსანო,
სირეგვნე შეუწონარი.

**ვაჟა-ფშაველა**

---

## ილია ჭავჭავაძის აჩრდილს

დიდო აჩრდილო,
რას დაგვიბარებ,
წარბშერჭმით მდგარო,
სევდით მღიმარო,
შუბლსა და მკერდზე ხელებს იფარებ,
ალბათ გსურს წყლული რომ დაგვიმალო!
წყლული, რომელიც უყივის კრწანისს, —
ჩვენი ვაება, ჭირი, ნაღველი!
ვერ გარეცხს სირცხვილს ჩვენი სიმწარის
თვით წარღვნის წყალი გადამწარღვნელი.
ბევრი უნახავს შენს ნაბადს წვიმა,
ქარი და ყინვა, დრტვინვა და ზარი...
ტვირთი მაგ მხრებმა არ დაიმძიმა
და არც მაგ შენ გულს დაეტყო ბზარი.
ქართლის აზრი და სიმღერა იყავ,
დროშა მღელვარი, ტარ-უკრთომელი,
მისთვის სიცოცხლის ბეწვი გაიყავ,
უფრო მეტის ღწვის იყავ მდომელი!
კლდეკაცი იყავ, კლდეს შეედულე,
უკვდავებასთან ხარ წილდებული,
შემარყეველი სინედრიონის,
სალიტანიე, სანატრიონი,
თავი ერისა, რა დიდებული!
ქუხილის ენით მოლაპარაკევ,
ნათლისმდებელო, იცი, ვინა ხარ? —
რუსთაველის სიმს,
კრწანისის საფლავს,
თამარის ნათელს, —
შენთან ვინახავთ!
დროშა ხარ სისხლში ამოვლებული,
ულელდებული ხალხის იმედად,
ხმალი ხარ მტრის წინ ამოღებული,
შარავანდედი შენ ხარ ივერთა!

**ლეონიძე გიორგი**

# რა სამუშაოები უნდა ჩავატაროთ ნოემბერში-ბაღში და ბოსტანში



ნოემბერი ბაღში ჩასატარებელი სამუშაოებისათვის ბოლო თვეა. ამ დროს ბაღი და ნებისმიერი სახის მიწის ნაკვეთი ყველანაირი მცენარეული ნარჩენებისაგან უნდა გავწმინდოთ.

კომპოსტის გროვა კი პოლიეთილენის ფირით ან ტოლით (რუბეროიდი) უნდა დავფაროთ.

თუკი ნაკვეთი ფერდობზე მდებარეობს, სასურველია, ეროზიის საწინააღმდეგო სამუშაოების ჩატარება, რათა გაზაფხულის წვიმებმა მიწის ზედაპირი არ გადარეცხოს. ამისთვის საჭიროა არხების გათხრა ან არსებულის გაწმენდა. შესაძლებელია, ზოგიერთ ადგილას პატარა მიწაყრილის გაკეთებაც, რომელიც წყლის ნაკადს დააბრკოლებს.

ზოგიერთი სახეობის ხეხილის ხეებს (მაგალითად, ვაშლს ხშირად ზიანს აყენებენ თაგვები), ამიტომ, კარგი იქნება ვარჯზე რუბეროიდის ფირფიტის შემოხვევა. თუმცა, მანამდე ძველი ქსოვილის ნაჭრები ან ტომრის ნარჩენები უნდა შემოვახვიოთ, რომ გაზაფხულზე ვარჯის ქერქმა სითბური დამწვრობა არ მიიღოს. აუცილებელია, ხის ვარჯის დაფარვა მოხდეს მიწის დონემდე. ვარჯის მიწასთან ახლოს არსებული არეალი, სადაც მყნობის ადგილია, მავნებლებს განსაკუთრებულად იზიდავს.

განსაკუთრებით ბევრი მავნებელი ჰყავს ხეხილოვან მცენარეებს მსუყე ნიადაგებზე. ამიტომაც აუცილებელია, ასეთი ნაკვეთების განსაკუთრებული გულმოდგინებით გაწმენდა და ცალკეულ შემთხვევებში შხამ-ქიმიკატების გამოყენებაც. თუმცა, შხამ-ქიმიკატების გამოყენება მხოლოდ სპეციალისტების რეკომენდაციების საფუძველზე და თანაც სიფრთხილით უნდა მოხდეს.

უთოვლო ზამთარში წაყინვებით ხშირად ზიანდება ისეთი კენკროვანი კულტურები, როგორიცაა მარწყვი. თიხნარ ნიადაგზე კი ხშირად მიწიდან ამოიყრება კიდეც, ამიტომაც კარგი იქნება თუ მარწყვის ნარგავებს ტორფით მულჩირებას გავუკეთებთ. რაც გულისხმობს იმას, რომ მწკრივებს შორის 2-3 სანტიმეტრის სისქეზე ტორფი უნდა გავფინოთ. ეს მცენარეს დაიცავს და გაზაფხულზე იგი მეტად მოსავლიანი გახდება. თოვლისაგან დასაცავად კი კარგი იქნება წიწვოვანების ტოტებით მწკრივების დაფარვა.

ნოემბერში თუკი შედარებით თბილი ამინდები დაიჭირა, შესაძლებელია, გარკვეული სახის ბოსტნეულის თესვაც. მაგალითად: სალათა, ოხრახუში (მაკიდო), სტაფილო, ცერეცო და ისპანახი. მარტივი ფორმის სათბურში კი შესაძლებელია ბოლოკისა და ხახვის დათესვა და დარგვა, რომლის მოსავლის მიღება იანვრის თვეშიც შეიძლება.

კარგი იქნება იმ ნაკვეთის გადაბარვაც, სადაც ერთწლოვანი კულტურები მოჰყავთ. დადგენილია, რომ რაც უფრო გვიან გადაიბარება ასეთი ნაკვეთები, მით უფრო მეტი მავნებელი იღუპება.

ნოემბერში გადაბარული ნაკვეთის უპირატესობა ისაა, რომ ამ დროს მიწა თოვლისა და წვიმის საშუალებით მეტ მინერალებს იღებს და მასზე მოწეული მოსავალი უფრო უხვია. უკეთესია თუ მიწის ბელტები ასეთ დროს დაუშლელი დარჩება.

აუცილებელია ხეხილოვანი მცენარეების ვარჯის გასუფთავება, რომ მასში მავნე მწერებმა არ დაიბუდოს და გამოიზამთროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი დაბალ და უხარისხო მოსავლიანობას გამოიწვევენ. შესაძლებელია, დაცვის მიზნით ვარჯზე წიწვოვანი მცენარეების ტოტების შემოხვევა. თუმცა, ასეთ დროს წიწვოვანთა ტოტები ქვევით უნდა იყოს დახრილი.

ნოემბერში აუცილებელია ადრე აღებული და შენახული მოსავლის კიდევ ერთხელ გადარჩევა და შემოწმება. მნიშვნელოვანია მათი შენახვის ტემპერატურის კონტროლიც. თუ შენახვის ადგილი თბილია, უნდა იზრუნოთ დამატებით ვენტილაციაზე, რათა ტემპერატურა დაიწიოს, ხოლო ზედმეტი სიცივის დროს კი მის დათბუნებაზე უნდა იზრუნოთ. არ უნდა დაგვავიწყდეს იმ ადგილების მღრღნელებისაგან დაცვა, სადაც მოსავალს ვინახავთ.

არ უნდა დაგვავიწყდეს საბაღო ინვენტარიც. აუცილებელია მათი შეკეთება, გალესვა, გარეცხვა და დეზინფექცია, რის შემდეგაც უნდა შევინახოთ მშრალ ადგილას.

შენახვამდე კი კარგი იქნება გავპოხავთ მანქანის ზეთით, რაც ინვენტარის ჟანგვას აგვაცილებს თავიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს საქმე გაზაფხულზე ბევრ დროს დაგვაკარგვინებს. აუცილებელია სათბურების დეზინფექციაც.

არ უნდა დაგვავიწყდეს ხეზე დარჩენილი ნაყოფების მოცილებაც, რადგანაც შემდგომში ისინი მრავალი სოკოვანი და სხვა სახის დაავადებების გამომწვევად გვევლინებიან.

კარგი იქნება ხეხილოვანი მცენარეების ვარჯების კირით შეთეთრება. ასეთი მცენარეები ადრე გაზაფხულზე უკეთესად უმკლავდებიან სხვადასხვა სახის მავნებლებს.

თუკი ამინდები საშუალებას გაძლევთ, შესაძლებელია ბაღში ძველი, გამხმარი და დაბალპროდუქტიული ხეებისა და ბუჩქების მოჭრა და ამოძირკვა, რომ გაზაფხულზე ნაკლები საქმე გქონდეთ და უფრო შედეგიანად გამოიყენოთ ნაკვეთი.

არ უნდა დაგვავიწყდეს ფეიჰოას, მანდარინის, ფორთოხლისა და ლიმონის ახალგაზრდა მცენარეების შეხვევა და დათბუნება. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი შესაძლებელია თოვლმა დატეხოს და შემდგომში მათი ზრდა შეფერხდეს.

**ავტორი გიორგი ჯინჭარაძე;**
gurianews. com

# ჭიაყელები და მათი სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობა



ჩვენს პლანეტაზე, მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებასთან და მოსახლეობის მიერ მათი მოხმარების ზრდასთან ერთად, რჩება დიდი რაოდენობით ორგანული ნარჩენები, რომლებიც სერიოზულ პრობლემებს უქმნიან ეკოსისტემას და წარმოადგენენ გარემოს დაბინძურების ერთ-ერთ ძირითად წყაროს.

ეს ანარჩენები სასოფლო-სამეურნეო სავარგულების და ნაგავსაყრელების დიდ ფართობებს იკავებენ და ლპობის პროცესში ჰაერში გამოყოფენ დიდი რაოდენობით ამიაკს, გოგირდწყალბადს და სხვა არასასიამოვნო სუნის მქონე ნივთიერებებს. აბინძურებენ ნიადაგებს, ჰაერს და გრუნტის წყლებს და მნიშვნელოვან საშიშროებას უქმნიან ადამიანის ჯანმრთელობას.

ამ ანარჩენების მხოლოდ ძალზე მცირე ნაწილი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ორგანულ სასუქად და შეტანილ იქნას ნიადაგში, მათმა დიდმა ნაწილმა კი შეიძლება გამოიწვიოს ნიადაგის ნაყოფიერების სერიოზული დანაკარგი და დაბინძურება.

ამასთან, მათმა გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს აზოტის წრებრუნვის შეჩერება. მაგრამ თუ მოხერხდება ამ ანარჩენების გადამუშავება, მაშინ ისინი გარდაიქმნებიან შესანიშნავ ბიოსასუქად, რომელიც არავითარ საშიშროებას არ ქმნის ნიადაგში შეტანისას.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დარჩენილი ანარჩენების ბიოსასუქად გარდაქმნა შესაძლებელია ნიადაგში მუდმივად მცხოვრები მრავალი, მინათმოქმედეთვის უცვლელი დამხმარე ცხოველით, რომელთაგან მთავარია ჭიაყელები.

აქედან გამომდინარე, მინათმოქმედთა მთავარ ამოცანას წარმოადგენს სასურველი პირობები შევქმნათ ჭიაყელების ცხოველმყოფელობის ამაღლებისა და გამრავლებისათვის, რათა ხელი შევუწყოთ მათ სასარგებლო მოქმედებას. ჭიაყელების მეშვეობით დიდდება ნიადაგში ორგანული ნივთიერების შემცველობა, უმჯობესდება მცენარეთა ზრდა–განვითარება, რაც ხელს უწყობს სტაბილური და მაღალხარისხოვანი მოსავლის მიღებას.

ჭიაყელების მიერ გადამუშავებით მიღებულ ძირითად პროდუქტს ბიოჰუმუსი ანუ ჭიაყელების კომპოსტი ეწოდება, რომელიც წარმოადგენს მიკრობიოლოგიურ სასუქს და აჯანმრთელებს ნიადაგს.

ბიოჰუმუსში 4-8 ჯერ მეტია ჰუმუსის შემცველობა ნაკელთან და სხვა კომპოსტებთან შედარებით, ის შეიცავს დიდი რაოდენობით ფერმენტებს, ვიტამინებს, მცენარეთა დაცვის სტიმულატორებს და სხვა ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს. ბიოჰუმუსის მოქმედების ხანგრძლივობა შეადგენს 3-5 წელს.

ნაკელისაგან განსხვავებით არ არის ინერტული, რის გამოც მცენარე რეაგირებს მისი შეტანისთანავე. მისი გამოყენებისას მცენარის სავეგეტაციო პერიოდი მოკლდება 1, 5-3 კვირით. ბიოჰუმუსი არ შეიცავს სარეველების თესლს, არ აქვს სუნი, რის გამოც სასიამოვნოა მისი ხელში დაჭერა. შენახვის პერიოდში შრება, მაგრამ არ კარგავს თავის ხარისხს.

### ჭიაყელების გავლენა ნიადაგწარმოქმნის პროცესზე

ხმელეთის დიდი ნაწილი დაფარულია ნიადაგით, რომლის თვისებებს, კლიმატურ პირობებთან ერთად, განსაზღვრავს მცენარეული საფარი, რომლიც იკვებებიან ნიადაგში არსებული საკვები ელემენტებით. ამ უკანასკნელზე, თავის მხრივ, დამოკიდებულია ფიტოფაგი ცხოველების გავრცელებაც. ამრიგად, ნიადაგი არის სიცოცხლის საფუძველი.

ნაყოფიერი ნიადაგების არსებობა წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის განვითარებისათვის. მთის ქანებისგან ნიადაგის წარმოქმნა და არსებული ნიადაგების ცვლილება ნიადაგწარმოქმნის პროცესთან ერთად დაიწყო და ამჟამადაც განუწყვეტლივ მიმდინარეობს.

ნიადაგწარმოქმნის პროცესი დამოკიდებულია მზის სხივების მოქმედებაზე, რომლებიც არათანაბრად ათბობენ მთის ქანებს, ატმოსფერულ ჰაერს, წყალს და წარმოადგენენ ამ პროცესის გეოლოგიურ ფაქტორს. შემდგომ ეტაპზე მოქმედებას იწყებენ და თანდათან წინა პლანზე გადაინაცვლებენ ბიოლოგიური ფაქტორები.

კვლევების საფუძველზე დადგენილია, რომ ნიადაგი წარმოადგენს ორგანული და მინერალური ნივთიერებების და ცოცხალი ორგანიზმების მთლიან კომპლექსს. მასში დასახლებული ორგანიზმების გარეშე, ცალკე აღებული მისი მხოლოდ არაცოცხალი შემადგენელი ნაწილი, უკვე არ წარმოადგენს ნიადაგს.

ჭიაყელების როლი ნიადაგის თვისებების გაუმჯობესებაში, ცნობილი იყო უძველესი დროიდან, მაგრამ ეს საკითხი პირველად ღრმად იქნა გაშუქებული ჩარლზ დარვინის მიერ. ამ საკითხისადმი მიძღვნილი თავის მნიშვნელოვანი გამოკვლევებით დარვინი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იშვიათია სახეობები, რომლებიც ნიადაგწარმოქმნის პროცესში ასრულებდნენ ისეთ დიდ როლს, როგორც ჭიაყელები. შემდგომში ჭიაყელების როლი ნიადაგის ნაყოფიერების გადიდებაში უფრო ღრმად იქნა შესწავლილი მრავალი მეცნიერის მიერ.

ამჟამად ჭიაყელების როლი ნიადაგწარმოქმნის პროცესში სპეციალისტების ეჭვს აღარ იწვევს, მაგრამ ეს საკითხი ჯერ კიდევ ვერ სარგებლობს სათანადო პოპულარობით ბიოლოგებსა და ნიადაგმცოდნეებს შორის, რომლებიც თავიანთი საქმიანობით დაკავშირებული არიან მიწათმოქმედებასთან, მეთესლეობასთან, მეტყევეობასთან.

საკმაოდ გავრცელებულია შეხედულება, რომ ჭიაყელებს გარკვეული ზიანის მიყენება შეუძლიათ მცენარისათვის. საქმე იქამდეც მიდის, რომ ზოგიერთი ფერმერი ბაღ-ბოსტნებში აგროვებს ჭიაყელებს და ანადგურებს მათ.

იმისათვის, რათა გავიგოთ, როგორ მიმდინარეობს ნიადაგწარმოქმნის პროცესი და სწორად შევაფასოთ ჭიაყელების როლი ამ პროცესში, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ნიადაგწარმოქმნელ სხვა უამრავ ფაქტორთა მოქმედება, რადგან ნიადაგწარმოქმნის პრობლემა წარმოადგენს თანამედროვე ნიადაგმცოდნეობის ძირითად შემადგენელ ნაწილს და რომელიც ამ პრობლემის გადაწყვეტისათვის სარგებლობს სხვადასხვა მეცნიერების — გეოლოგიის, ბოტანიკის, მიკრობიოლოგიის, ნიადაგის ზოოლოგიისა და სხვა მონაცემებით.



### ჭიაყელების გავლენა ნიადაგის აერაციის და წყლის რეჟიმზე

ჭიაყელების მიერ ნიადაგში გაკეთებული ხვრელები ცვლის მათ თვისებებს: რაც მეტი ხვრელი იქნება გაკეთებული ნიადაგში, მით უფრო ხელსაყრელი პირობები იქმნება ჰაერის გადანაცვლებისა და წყლის ჩაჟონვისათვის, რომლებიც საჭიროა ნიადაგში ქიმიური პროცესების წარმართვისათვის.

ჰაერი და წყალი კი წარმოადგენს აუცილებელ პირობას ნიადაგის ცოცხალი ორგანიზმების — ბაქტერიების, სოკოების სიცოცხლისათვის, რომლებიც დიდ როლს ასრულებენ უმაღლეს საფეხურზე მყოფი მცენარეების აუცილებელი ქიმიური ნივთიერებებით მომარაგების საქმეში.

ნიადაგის ნეშომპალას შემადგენლობაში შემავალი ნივთიერებები მიკროორგანიზმების მიერ გარდაიქმნებიან ხსნად, მცენარის ფესვთა სისტემისათვის აზოტის, ფოსფორის, კალიუმის და სხვა ელემენტების შესათვისებელ ქიმიურ შენაერთებად. ჰაერს დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგში მიკროორგანიზმების აზოტოვანი შენაერთების წარმოქმნაში.

ამრიგად, ჭიაყელები განსაკუთრებულ როლს ასრულებენ აზოტის წრებრუნვაში, ნიადაგში ჰაერის ცირკულაციის გადიდებასა და მის ღრმა ფენებში ჩაღწევაში. ამას გარდა, ნიადაგში არსებული სხვადასხვა ზომის ხვრელები წარმოადგენენ ძირითად საცხოვრებელ ადგილს ნიადაგში მცხოვრები უხერხემლოებისათვის, რომლებიც მონაწილეობას იღებენ როგორც ნეშომპალის წარმოქმნაში, ისე მის შემდგომ გარდაქმნაში.

ჭიაყელებით დასახლებული ნიადაგი დაქსელილია მათ მიერ გაკეთებული ხვრელებით. მარტო ერთ ჭიაყელას შეუძლია ხვრელების მთელი სისტემა შექმნას, რომელსაც გააჩნია მრავალმხრივი მიმართულება. ხვრელების კედლები დაფარულია ჭიაყელების მიერ გამოყოფილი ლორწოს ფენით, რომლებიც ძნელად ექვემდებარებიან წყლით დაშლას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ჭიაყელების ცხოველმყოფელობა უზრუნველყოფს ნიადაგს ნაყოფიერებისათვის აუცილებელი აერაციითა და დრენაჟით. აერაციისა და სათანადო დრენაჟის არმქონე ნიადაგებში ჭიაყელები არ ფიქსირდებიან და აგრონომიული თვალსაზრისით, ძალზე დაბალი ხარისხის არიან, მაგრამ თუ ნიადაგში ცხოველმყოფელობენ ჭიაყელები, მათი ღირებულება კიდევ უფრო იზრდება ჭიაყელების მიერ ნიადაგში გაკეთებული უამრავი ხვრელებით.

ჭიაყელების მიერ გაკეთებული ხვრელების მნიშვნელობა ნიადაგში კიდევ უფრო დიდია გვალვიან რაიონებში, სადაც მცენარეების ფესვთა სისტემას წყლით უზრუნველყოფისათვის ნიადაგის ღრმა ფენებში — 2 მ სიღრმეზე უწევს ჩაღწევა. ეს პროცესი უკეთესად მიმდინარეობს ჭიაყელების მიერ გაკეთებული ხვრელების დახმარებით.

ჭიაყელების მიერ გაკეთებული ხვრელებით ნიადაგის ღრმა ფენებში ხვდება არა მარტო ჰაერი და მცენარის ფესვები, არამედ მიკროორგანიზმები, რომლებიც ხვრელების კედლებზე სახლდებიან და როგორც უკვე ითქვა, განსაკუთრებულ როლს–ასრულებენ ნიადაგწარმოქმნის პროცესში.

**ავტორები**
**ამირან თხელიძე;**
**თეო ურუშაძე;**
**ზაირა ტყებუჩავა**



# გოგრა – კულტურის დახასიათება, მისი გამოყენება, სასარგებლო თვისებები და საქართველოში გავრცელებული ჯიშები

ხშირად გოგრას ვყიდულობთ არამარტო კულინარიული მიზნებისთვის, არამედ სამკურნალოდაც. განსაკუთრებით სასარგებლოა მისი წვენი და რბილობი. მას აქვს აგრეთვე სამკურნალო და გამაახალგაზრდავებელი ეფექტი. გოგრაში არის უნიკალური კომბინაცია: ცილების, ფერმენტების, ვიტამინების. ამის გამო ის ითვლება ადვილად ასათვისებელ და სწრაფად მოსანელებელ პროდუქტად. ის გახლავთ საუკეთესო დიეტური საკვები.

არსებობს გოგრის სამი სახეობა: მსხვილნაყოფიანი, კანმაგარი და მუსკატის ჯიშის. ჩრდილოეთის კლიმატურ პირობებში გავრცელებულია მსხვილნაყოფიანი და მაგარ კანიანი გოგრა. მუსკატის ჯიშის კი, სამხრეთის რაიონებში.

ექიმები გვირჩევენ მცენარეულ კვების პროდუქტებს შორის უპირატესობა მივანიჭოთ გოგრას, მის შემცველობაში არსებული ომეგა — 3 ცხიმოვანი მჟავეების შემცველობის გამო. ამ მხრივ მას მეორე საპატიო ადგილი უჭირავს.

არსებობს გოგრის ზაფხულისა და ზამთრის ჯიშები.

ზაფხულისას ნაზი რბილობი და კანი აქვს. ზამთრისას კი, მკვრივი რბილობი, სქელი მაგარი და უხეში კანი. ორივე შემთხვევაში ყიდვისას ამოირჩიეთ მშრალი ნაყოფი დაუზიანებელი კანით. მიაქციეთ ყურადღება მის შეფერილობასა და ფორმას. თავის მოცულობასთან შედარებით, შემოსული ნაყოფი მძიმე უნდა იყოს.

შეძენისას საკვებად გამოსაყენებელი გოგრა სასურველია იყოს საშუალო ზომის, ვინაიდან იგი უფრო ტკბილი და ნაკლებად ბოჭკოს შემცველია. გიგანტური ზომის ნაყოფი მოიხმარება ძირითადად საქონლის გამოსაკვებად. აგრეთვე დიდხანს არ ინახება. გოგრის კანს არ უნდა ჰქონდეს დეფექტები, (ლაქები) და შეჭყლეტილი ადგილები. არ უნდა ჰქონდეს ნაოჭები კანზე და შეხებით უნდა იყოს გლუვი და მაგარი. გოგრის კანზე არსებული ზოლები სწორი ფორმის უნდა იყოს.

ზიგზაგისებური ფორმის ზოლები მიუთითებს ნიტრატების ჭარბ რაოდენობაზე.

გაჭრილ გოგრას უნდა ჰქონდეს მკვრივი, ხორციანი რბილობი. ფერი კი რაც უფრო მუქია მით უკეთესია.

ერთ-ერთი მაჩვენებელი გოგრის სიმწიფისა არის მისი ყუნწი. იგი მაქსიმალურად ხმელი უნდა იყოს. აგრეთვე მას უნდა ჰქონდეს მაგარი კანი და მასზედ არსებული სურათი მკვეთრად გამოხატული.

შესანახად უკეთესია გვიან მოყვანილი გოგრის შეძენა, მაგრამ მივაქციოთ იმ გარემოებას ყურადღება რომ არ იყოს მოყინული.

ზოგადად გოგრა კარგად ინახება 6 თვის განმავლობაში. შევარჩიოთ მოსული ნაყოფი, ხმელი ყუნწით და ყოველგვარი დაზიანებების გარეშე. შენახვამდე გავაშროთ მზეზე დაახლოებით 10 დღის განმავლობაში, ფრთხილად ჩავაწყოთ ერთ წყებად, ისე რომ ერთმანეთს არ ეხებოდნენ, ყუნწით ზემოთ, გრილ, კარგად განიავებად ბნელ და მშრალ ადგილას. (არ უნდა ხვდებოდეს მზის პირდაპირი გამოსხივება). ამ მიზნისთვის გამოდგება სარდაფი, სადაც ტემპერატურა არ აღემატება 10⁰C (იდეალურია 3⁰C) ტენიანობა კი — 60 – 75%. მაცივარში გოგრის შენახვა სასურველი არ არის, განსაკუთრებით კი გაჭრილის. მისი შენახვა ამ სახით მხოლოდ ერთი კვირაა შესაძლებელი. ზაფხულში გოგრა აუცილებლად უნდა შეინახოთ მაცივარში.

გოგრის თესლები არ გადავყაროთ. გოგრისებრთა ოჯახის სხვა წარმომადგენლებისგან განსხვავებით, იგი გამოირჩევა იმით, რომ საკვებად ვარგისია და ძალზედ სასარგებლო. ამისათვის საჭიროა მათი გამოშრობა შემდეგნაირად: გავრეცხოთ, შემდეგ მოვათავსოთ მზიან ადგილას რამდენიმე დღით ან საშრობში. აუცილებელია ტემპერატურის 40⁰C და ტენიანობის 10% კონტროლი. აქედან შევარჩიოთ თეთრი ფერის ულაქო თესლები.

გოგრა წარმოიშვა — ცენტრალური ამერიკის გამომშრალ ნიადაგებზე. ევროპაში გავრცელდა შუა საუკუნეებში. ძველად მას უწოდებდნენ „თურქული ჩალმა“-ს. რუსეთში ცნობილი გახდა მხოლოდ მე-19 საუკუნეში.

საქართველოში გავრცელებული ჯიშებია-დიდნაყოფა გოგრა, ხოკერა გოგრა

გოგრა დაუფასებელი, თუმცა შესანიშნავი საკვებია, რომელსაც შესწევს უნარი, მრავალი წლით შეგვინარჩუნოს სილამაზე, ახალგაზრდობა, ჯანმრთელობა და სექსუალური მომხიბვლელობა. სამწუხაროდ, გოგრის – ამ მოკრძალებული, უპრეტენზიო ბაღჩეული კულტურის – კერძები ჩვენი სუფრის იშვიათი სტუმრები არიან, რაც დიდი უსამართლობაა. უპირველეს ყოვლისა, გოგრა გემრიელია, მეორე – ლამაზია, მესამე – ძალიან სასარგებლოა! მრავალგვერდა გოგრის ღირსებად ითვლება კაროტინისა და ვიტამინების უხვი შემცველობა.

ამ ბოსტნეულის რბილობი, რომელიც კალათბურთის უზარმაზარ ბურთს მოგვაგონებს, დიდი რაოდენობით შეიცავს ვიტამინს. ბავშვებისთვის ის განსაკუთრებით სასარგებლოა, რადგან აჩქარებს ზრდას, აუმჯობესებს კალციუმის შეწოვას, ამაგრებს ძვლებსა და კბილებს. გარდა ამისა, გოგრაში არის B, C, PP, E ჯგუფის ვიტამინები. ისინი ანელებენ დაბერების პროცესს და გვინარჩუნებენ სექსუალურ აქტივობას, ოპტიმალურ წონას. ისევე როგორც ყველა ნარინჯისფერი ნაყოფი, გოგრაც ანტიდეპრესანტად ითვლება. მიირთვით ხშირად და დეპრესია ვერ მოგერევათ! ამ ბოსტნეულს ადვილად ითვისებს ორგანიზმი, ამიტომ გოგრის კერძები რეკომენდებულია სამკურნალო და პროფილაქტიკური კვებისთვის. მისი ნარინჯისფერი რბილობი არ იწვევს კუჭის წვენის გაძლიერებულ გამოყოფას, რითაც ხელს უწყობს წყლულის სწრაფ შეხორცებას. გოგრის მინერალური შემადგენლობა – სპილენძის, ფოსფორისა და რკინის მარილების სიუხვე – უხდება სისხლწარმოქმნას, ამიტომ ის ძალიან კარგია ანემიისა და ათეროსკლეროზის პროფილაქტიკისთვის. ამავე დროს პექტინით მდიდარი გოგრა შესანიშნავად ებრძვის მავნე ქოლესტერინს. ძალიან სასარგებლოა გოგრა ღვიძლის, თირკმლის, კუჭ-ნაწლავის დაავადებების დროს. ის ერთსა და იმავე დროს გამხსნელი და შარდმდენი საშუალებაა. გოგრის კერძები რეკომენდებულია ჰეპატიტის, ქოლეცისტიტის, ნაღველკენჭოვანი დაავადების, ქრონიკული კოლიტისა და ენტეროკოლიტის გამწვავების, მწვავე და ქრონიკული ნეფრიტისა და პიელონეფრიტის დროს. არომატული და ტკბილი გოგრა ძალიან კარგია ზღვის ავადმყოფობის დროს და შვებას ჰგვრის ტოქსიკოზით დატანჯულ ორსულს. გახეხილი ბოსტნეულის კომპრესი უხდება ეგზემას, დამწვრობას და მუწუკოვან გამონაყარს. ნედლი გოგრის პიურე შესანიშნავია კუჭის შეკრულობის დროს. თირკმელების სამკურნალოდ გამოიყენება არა რბილობი, არამედ უმი გოგრის წვენი – 1/2 ჭიქა დღე-ღამეში. ამ ტკბილ ნარინჯისფერ წვენს აქვს დამამშვიდებელი და ძილის მომგვრელი ეფექტიც. მიიღეთ 1 ჭიქა დღეში 3-ჯერ, ჭამამდე, უძილობის შემთხვევაში – 1/2 ჭიქა ძილის წინ. გოგრის დიეტა რეკომენდებულია მათთვის, ვისაც აწუხებს გულის დაავადებები და თირკმლისმიერი შეშუპება. ამ დროს ავადმყოფმა 4 თვის განმავლობაში უნდა ჭამოს გოგრა – დღეღამეში 0, 5 კგ უმი და 1, 5 კგ მოხარშული ან შემწვარი. მრავალი დაავადებების დროს ნამდვილი პანაცეაა გოგრის თაფლი. 1 კილოგრამ გახეხილ რბილობს ამატებენ 200 გ შაქარს, ურევენ და აყენებენ. გამოყოფილ წვენს რბილობისგან აცალკევებენ და გასქელებამდე ათბობენ ნელ ცეცხლზე. ბოლოს ამატებენ მიხაკსა და დარიჩინს. გოგრის თესლს უძველესი დროიდან იყენებენ ხალხურ მედიცინაში ჭიების საწინააღმდეგოდ და შარდსასქესო ორგანოების დაავადებათა სამკურნალოდ, განსაკუთრებით – შარდის გაძნელებული გამოყოფისას. პარაზიტების საწინააღმდეგოდ ეფექტურია შემდეგი ნარევი: აურიეთ ერთმანეთში დარჩეული გოგრის თესლი და 1 ჭიქა ადუღებული წყალი, მიიღეთ დილით, უზმოზე, შემდეგ მარჯვენა გვერდზე დაიდეთ ცხელი სათბური და 2 საათი ასე იწექით. პროცედურა გაიმეორეთ კიდევ ორჯერ, 10-დღიანი შუალედებით. ცისტიტის დროს კარგია გოგრის თესლის ნაყენი: 200 გ თესლი დაფქვით ყავის საფქვავში, დაამატეთ 1/2 ლ ადუღებული წყალი, მთელი ღამით დააყენეთ თერმოსში, შემდეგ გააცივეთ და მიიღეთ ნახევარ-ნახევარი ჭიქა დღეში 4-ჯერ, ჭამის წინ. ერთი მუჭა გოგრის თესლი დაგიცავთ პროსტატიტისგან. თუთიით მდიდარი ეს პროდუქტი ანელებს წინამდებარე ჯირკვლის ქსოვილის უჯრედების ზრდას. გოგრის ზეთი შეიცავს ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, რომლებიც აღადგენენ ნერვულ სისტემას, ამაღლებენ პოტენციას, ააქტიურებენ იმუნიტეტს. გოგრის ყუნწიც კი სასარგებლოა! მისი ნახარში შესანიშნავი სავლები საშუალებაა კბილის ტკივილის დროს.

### გოგრის სადილი

4 ულუფისთვის საჭიროა: 1 ცალი საშუალო ზომის გოგრა, 2 წიწილა, 50 გ ბრინჯი, 500 გ ვაშლი და ქლიავი, 2-3 თავი ხახვი, 100 გ ნაღების კარაქი, ზეთისხილი, მწვანილი, მარილი. მწიფე გოგრა გავრეცხოთ, მოვხადოთ „სახურავი“ (მოვაჭრათ ყუნწიანი ნაწილი და მივცეთ ღრმა ჯამის ფორმა), კოვზით ამოვუღოთ თესლი და ცოტაოდენი რბილობი. წიწილები გავასუფთაოთ, დავჭრათ, შევაშროთ, მოვაყაროთ მარილი და შევწვათ 1 სუფრის კოვზ ნაღების კარაქში შეწითლებამდე. ხახვი დავარჩიოთ, დავჭრათ და მოვშუშოთ მეორე ტაფაზე იმავე რაოდენობის კარაქში. ვაშლს ამოვჭრათ გული, ქლიავს გამოვაცალოთ კურკა, დავჭრათ მსხვილად. მოვხარშოთ ბრინჯი და შევურიოთ ხახვს. ბრინჯი და ხახვი ერთმანეთში ავურიოთ და ჩავდოთ გოგრაში. შემდეგ ჩავაწყოთ წიწილის ნაჭრები და ბოლომდე შევავსოთ ვაშლითა და ქლიავით. დავუმატოთ 1 სუფრის კოვზი კარაქი, დავახუროთ „სახურავი“ (გოგრის მოჭრილი ნაწილი) და დავამაგროთ ხის ჩხირებით. მოვუსვათ გოგრას დარჩენილი კარაქი, მოვათავსოთ ფორმაში და შევდგათ ღუმელში 2-3 საათით 2000ც ტემპერატურაზე. შემდეგ გადმოვიღოთ ლანგარზე და თავი მოვხადოთ. ერთი ულუფის ენერგეტიკული ღირებულებაა 606 კკალ.

გოგრის მაქსიმალური სარგებელი მიიღება მისი უმად მირთმევის შემთხვევაში.

უმ რბილობს იყენებენ სალათებში, ცივ საუზმეებსა და დესერტებში. სასარგებლოა ასევე თესლი, ახლადგამოწურული წვენი და გოგრის ზეთი. ამ უკანასკნელის შეძენა აფთიაქებშია შესაძლებელი.

თუმცა სასარგებლო თვისებების დიდი ნაწილი თერმული დამუშავებისასაც რჩება. საუკეთესო ვარიანტია, თუ შეწვავთ მას, მისაღებია ასევე მოხარშვა, კრემ-სუპების, დესერტების, სოუსები მომზადება.

### ვინ უნდა მოერიდოს გოგრას?

პირველ რიგში, უმჯობესია არ მიირთვან ეს პროდუქტი მათ, ვისაც საჭმლის მომნელებელი სისტემის ისეთი პრობლემები აქვთ, როგორიცაა წყლული, გასტრიტი, ნაწლავის მიკროფლორის დარღვევა, ნაწლავური კოლიკები, დიარეა, კუჭის გაღიზიანება.

გოგრა უკუნაჩვენებია შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთათვის. ზოგ ადამიანს, შესაძლოა ასევე გოგრის აუტანლობაც ჰქონდეს, რამაც შესაძლოა ალერგიული რეაქცია და მოწამვლა გამოიწვიოს.

### როდიდან და როგორ მივცეთ გოგრა ბავშვს

გოგრის პიურეს მიცემა ბავშვისთვის შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც პატარა შეეჩვევა პირველი რიგის ბოსტნეულს, როგორიცაა ყაბაყი, ყვავილოვანი კომბოსტო, კარტოფილი, სტაფილო. ხელოვნურ კვებაზე მყოფ ბავშვებს გოგრის პიურე შეგვიძლია მივცეთ 5 თვის შემდეგ, ბუნებრივ კვებაზე მყოფებს კი – 6-7 თვიდან. თავიდან ვიწყებთ 0, 5 ჩ. კ. -ით და წლის ასაკში დღიური დოზა აგვყავს 200 გრამამდე. უმჯობესია თუ ბავშვს გოგრის პიურეს კვირაში 2-3 ჯერ მივცემთ. 7 თვის ასაკიდან შეიძლება ასევე გოგრის წვენი ან პიურე ფაფებშიც გავურიოთ. 8 თვიდან ბავშვს შეიძლება გოგრის სუპებიც შევთავაზოთ.

წლამდე ბავშვებისთვის გოგრა უმჯობესია ორთქლზე ან ცოტა რაოდენობით წყალში მოიხარშოს. გოგრა გაცილებით ნაკლებ ნახშირწყლებს შეიცავს, ვიდრე სხვა ბოსტნეული და ამიტომ განსაკუთრებით მისაღებია ჭარბი წონის მქონე ბავშვებისთვის.

კოსმეტიკაშიც არანაკლებ ეფექტურად იყენებენ გოგრას. რომელსაც შეიცავს სახის სხვადასხვა კრემი, ნიღაბი, ლოსიონი თუ მატონიზირებელი სითხე. ბაღჩეულის უმი რბილობისგან სახლის პირობებში მკვებავი ნიღბების გაკეთებაცაა შესაძლებელი.

შეიტანეთ ნარინჯისფერი საოცრება თქვენს ყოველდღიურ რაციონში და მუდამ ჯანმრთელნი და მომხიბვლელები იქნებით.

# სასარგებლო პროდუქტები: კომში – ხილი, რომელსაც საოცარი თვისებები აქვს – ეს აუცილებლად გაითვალისწინეთ!

კომში – საოცარი ხილი, რომლის არა მხოლოდ ნაყოფი, არამედ კურკა და ფოთოლიც კი სასარგებლოა, საქართველოში საკმაოდ გავრცელებული პროდუქტია. იგი გამოიყენება როგორც უმი, ასევე ჯემების, მურაბის, კომპოტის სახით. ხშირად იყენებენ ხორციან კერძებშიც.

ეს არის დაბალკალრიული, დიეტური პროდუქტი, რომლის 100 გრამი შეიცავს 40 კკალ-ს.

უძველეს დროში, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე, კომში ითვლებოდა სიყვარულისა და ნაყოფიერების სიმბოლოდ და ეძღვნებოდა სიყვარულის ქალღმერთს – ვენერას.

### კომშის დადებითი თვისებები

კომშის ნაყოფი შეიცავს დიდი რაოდენობით პექტინის ნაერთებს, ფრუქტოზას, გლუკოზას, კალიუმის მარილებს, რკინას, კალციუმს, ფოსფორსა და სპილენძს.

კომშის ნაყოფს წამლად იყენებენ უძველესი დროიდან.

ხალხურ მედიცინაში კომშის რბილობის მურაბა და ნახარში ფართოდ გამოიყენება კუჭ-ნაწლავის დაავადებების დროს საჭმლის მომნელებელი ტრაქტის მუშაობის გასაუმჯობესებლად. დადგენილია, რომ კომში დადებითად მოქმედებს გულის აჩქარებაზე, სიყვითლესა და დიარეაზე.

კომშის ნახარში: 10 გ. ნაყოფს დაასხით 100 მლ. მდუღარე წყალი და მიიღეთ 1 ს. კ. ჭამის წინ, უმადობისა და საშვილოსნოდან სისხლდენის დროს.

მოხარშული კომშის რბილობი: მოხარშული და გახეხილი კომში გამოიყენება ღვიძლის დაავადებების დროს და ღებინების საწინააღდეგო საშუალებად.

უმ ნაყოფსა და წვენს იღებენ სისხლნაკლებობისას, საჭმლის მომნელებელი ტრაქტის დაავადებებისას, რომელთაც თან ახლავს სიყვითლე და სისხლდენა; გამოიყენება, როგორც შარდმდენი საშუალება გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების დროს.

კომშის ნაყოფს აქვს შემკვრელი, შარდმდენი, ჰემოსტატიკური, ანტისეპტიკური მოქმედება და ხელს უყობს გულისრევის შეჩერებას. კომშის კურკებს კი გააჩნია დამამშვიდებელი, ანთების საწინააღმდეგო და ანტისეპტიკური მოქმედება. სწორედ ამიტომ, სამედიცინო პრაქტიკაში კომშის კურკების ნახარში გამოიყენება სისხლიანი ხველის, საშვილოსნოდან სისხლდენისა და დიარეის დროს. კურკის ნახარშს იყენებენ ასევე ანგინის დროს სავლებ საშუალებად. თვალის დაავადებებისას იყენებენ ლოსიონად, კოსმეტიკაში კი – კანის დამარბილებლად.

სიროფის სახით, კომშის ნაყოფს იყენებენ სისხლნაკლებობის დროს. ამისათვის კომშს ჭრიან მცირე ზომის ნაჭრებად, ასხამენ წყალს, ადუღებენ დარბილებამდე, შემდეგ წურავენ მოხარშული ნაყოფიდან წვენს და ადუღებენ მას სიროფის კონსისტენციის მიღებამდე.

კომშის უმ ნაყოფს, რკინის დიდი შემცველობის გამო, იყენებენ რკინადეფიციტური ანემიის პროფილაქტიკისა და მკურნალობისთვის, ასევე მაღალი ტემპერატურის დროს.

თავად კომშის ან მისი წვენის საფენები ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა ანალური ნაპრალის მკურნალობისას. უმი კომშის ან კომშის ჩირის ნახარში უძველესი დროიდან გამოიყენება საშვილოსნოდან სისხლდენის შესაჩერებლად. ამისათვის საჭიროა დღეში სამჯერ მიიღოთ კომშის ნაყოფის ჩაი.

კომშის კურკების წყალთან ერთად შენჯღრევისას (5 კურკა + 100 მლ. წყალი) იღებენ ლორწოვან სითხეს, რომელსაც იყენებენ სავლებ, ამოსახველებელ და ხველის საწინააღმდეგო (ბრონქიტის დროს, განსაკუთრებით ბავშვებში), შემამსუბუქებელ (კოლიტისა და დიარეის დროს) და დამამშვიდებელ (კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებებისას) საშუალებად. ლორწოს ამზადებენ მთელი კურკებისგან, რათა თავიდან იქნას აცილებული ენდოსპერმაში არსებული ამიგდალინის, მომწამვლელი ნივთიერების გამოსვლა.

სტომატოლოგიაში კომშის ლორწოს იყენებენ გლოსიტის, გინგივიტისა და პარადოტოზის დროს.

კომშის ფოთლების ნაყენი ამცირებს და აჩერებს კიდეც ბრონქული ასთმის შეტევას. ამისათვის 5 გრ. ფოთოლს ასხამენ 1 ჭ. მდუღარე წყალს, ადუღებენ ორთქლის აბაზანაზე 15 წუთი, გაწურავენ და იღებენ 2 ს. კ. -ს 3-4-ჯერ დღეში, ჭამის წინ. ამგვარი ნაყენის შენახვა შეიძლება მაცივარში არაუმეტეს 3 დღისა.

უძველესი დროის მკურნალობისგან შემორჩენილია კომშის უმი ნაყოფის წვენით უშვილობის მკურნალობის რეცეპტი. წვენის მიღება საჭიროა ახალმთვარიდან მთვარის მესამედამდე, 1 ს. კ. ყოველ საღამოს.

კომშის ფოთლებისა და კურკის ჩაი შესანიშნავი შარდმდენი საშუალებაა თირკმლების დაავადებებისდროს. საჭიროა 1 ს. კ. გამშრალ ფოთლებსა და იმავე რაოდენობის კურკას დავასხათ 200 მლ. მდუღარე წყალი, ვადუღოთ დაბალ ცეცხლზე 5-6 წუთი, გავაგრილოთ და დავამატოთ თაფლი გემოვნებით, მივიღოთ 1 ს. კ. 3-4-ჯერ დღეში.

### კომშის საზიანო თვისებები

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი სამკურნალო თვისებებისა, კომშს გააჩნია ზოგიერთი უკუჩვენებაც. ცნობილია, რომ კომშის რბილობსა და კურკას აქვს



შემკვრელი ეფექტი. იმ ადამიანებში, რომლებიც დაავადებულნი არიან ენტეროკოლიტით ან კუჭის წყლულით, ამ ხილის ნაყოფმა შეიძლება გამოიწვიოს ნაწლავური სპაზმები და გაუვალობა და გააღიზიანოს ლორწოვანი გარსი.

კომშის მიღებისგან თავის შეკავებაა საჭირო ასევე პლევრიტისა და ყაბზობის დროს. ბუსუსი, რომლითაც დაფარულია კომშის ნაყოფი, საზიანოა ხმის სიმებისა და ხორხისათვის: იგი ხშირად ხდება ხველისა და ყელის გაღიზიანების მიზეზი. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია კომშის მიღებისგან თავი შეიკავონ ადამიანებმა, რომელთა საქმიანობა სიმღერას ან საჯარო სიტყვიერ გამოსვლებს უკავშირდება.

# ანა რუსიაშვილი

## საყვარელო დაო, გვიჭირს, რომ ვანუგეშოთ უშენოდ დარჩენილი, დამწუხრებული დედა



ჩვენო ანა, თითქმის ორმოცი დღე გავიდა უშენოდ. უკვე ძალიან გვიჭირს. რა იქნება შემდეგ? როგორ ვისწავლოთ უშენოდ ცხოვრება? შენ ჩვენში გამორჩეული იყავი. არ გიყვარდა წუწუნი საკუთარ ავადმყოფობაზე, ამიტომ გვეგონა, რომ შავი ღრუბელი გაიფანტა და შენ საფრთხე აღარ გელოდა, მაგრამ ვაი, რომ შევცდით.

ბედნიერია მამა, რომელმაც ერთი დღით ადრე გაასწრო შენს უბედურებას. იქნებ იმიტომ, რომ იქ, სამუდამო სასუფეველში, დაგხვედროდა, მოგფერებოდა, რათა არ შეგშინებოდა. ახლა ვხვდებით, რა დიდი ძალისხმევა გჭირდებოდა, რომ სამსახურიდან დაღლილი მისულიყავი საავადმყოფოში მამასთან, რათა შენი სითბოთი ნუგეში მიგეცა მისთვის. როგორ შეგეძლო თავად ავადმყოფს არავისთვის მოგეკლო ყურადღება.

ჩვენო საყვარელო დაო, გვიჭირს, რომ ვანუგეშოთ უშენოდ დარჩენილი, დამწუხრებული დედა. ალბათ არ მოიძებნება სიტყვები საამისოდ.

შენ შეუდარებელი შვილი, მეუღლე, დედა და დედმამიშვილი იყავი. გვეამაყება, როცა ამბობენ, რომ ასეთივე შეუდარებელი მასწავლებელიც იყავი. ირგვლივ სიყვარულს აფრქვევდი და უკუგებაც დიდი გქონდა.

ამბობენ: დრო მკურნალიაო. არ დაიჯერო, ანა, შენ ისეთი ღრმა ჭრილობა დაგვიტოვე, რომელიც არასოდეს განიკურნება, უშენოდ აღარაფერს აქვს ფასი. ალბათ აღარასოდეს გაგვახარებს ბარაქიანი შემოდგომის დადგომა, რომელიც დარდსა და ნაღველს გაგვიათკეცებს. ძნელი ყოფილა სულის მარტოობა. ყოველთვის გვგონია, შემოხსნი კარებს და შენებურად მოგვეფერები, გაგვამხნევებ, გაგვახალისებ, სითბოსა და იმედს ჩაგვიფენ გულში, მაგრამ ვაი, რომ რეალობა სულ სხვაა. დარჩი მხოლოდ მოგონებებსა და ოცნებებში. „ზოგი მოგონება ფრთხიალებს, ზოგიც დაჭრილივით ბღავის“. შენ ამ უკანასკნელს ეკუთვნი, ანა. რამდენი რამ გვაქვს შენთვის სათქმელი, გულს ყველაფერი ახსოვს. ახსოვს და ცდილობს ამეტყველებას, უნდა, რომ გააცოცხლოს ყოველივე ის, რისი სიტყვად ქცევაც უძიმს, მაგრამ კალამსაც უჭირს ჰწკალის გავლება. ამოუცნობი ტკივილი წრიალებს მის წვერზე, ტკივილი, რომელიც მიყურადებია ყოვლის სიმის მოძრაობას.

ვიტოვებთ იმედს, რომ იქ, სამუდამო სასუფეველში, შევხვდებით ერთმანეთს. სწორედ ამიტომ აღარ გვეშინია სიკვდილის.

**შენი დები:**
**თინიკო, ეთერი და ფიქრია**

## ყველას, ვინც შენ გიცნობდა, დაუტოვე მოურჩენელი იარა

რაც ფოთლებია ხისათვის, ის ჩვენ ვართ ცხოვრებისათვის. სიკვდილ-სიცოცხლის კანონზომიერება არ არსებობს. ცხოვრების ხეს ზოგჯერ ნორჩი, ხასხასა ფოთოლიც მოსწყდება ხოლმე და მშობლიურ მიწას დაეკონება.

ერთი ასეთი ფოთოლთაგანი შენ იყავი, ანა. ნაადრევად წახვედი ამქვეყნიდან და ყველას, ვინც შენ გიცნობდა, დაუტოვე მოურჩენელი იარა.

შენ ყვარლის მესამე საშუალო სკოლის ერთ-ერთი საუკეთესო მოსწავლე იყავი. ნიჭიერი, შრომისმოყვარე, ღიმილიანი, სიკეთის მთესველი, – ასე გახასიათებენ შენი ყოფილი პედაგოგები.

ყველას გვაკლიხარ: ოჯახს, დედას, დებს, მეგობრებსა და მასწავლებლებს, რომელთა თვალწინაც დაფრთიანდი, დაქალდი. შენ ჩვენზე ადრე არ უნდა წასულიყავი. შენ უნდა გესაუბრა ჩვენს შესახებ, მაგრამ „დროის მსახვრალი“ ხელი ძალიან ახალგაზრდას შეგეხო. ჩვენ კი კიდევ ერთი სიმი ჩაგვიწყდა გულში, კიდევ ერთხელ გაგვებზარა იგი.

გმადლობთ იმისათვის, რომ იყავი, რომ ალამაზებდი ჩვენს პატარა, მაგრამ შინაარსიან სკოლას. იცოდე, არასოდეს მოგვენატრები, იმიტომ, რომ ვერასოდეს დაგივიწყებთ. ყოველთვის იქნები ჩვენს მოგონებებში.

დრო გარბის, დრო მიიჩქარის, ცხოვრების ჩარხი ბრუნავს. ჩვენ კი ასე გვეჩვენება, თითქოს ახლახანს მოხდა ყველაფერი, მაგრამ წლებს გამოვითვლით თუ არა, გაოცებულნი ვიტყვით – უჰ, რამდენი დრო გასულა. დიახ, საკმაოდ დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც მაგ სახლიდან გააცილეს სამუდამო სასუფეველში შენსავით ნიჭიერი და საუკეთესო მასწავლებელი ლალი სეფაშვილი.

გვჯერა, სწორედ ის, შენი დედამთილი, ჩაგიკრავს გულში, მოგიშუშებს იარებს, გისაყვედურებს კიდეც ქმარშვილის მიტოვებისთვის, მაგრამ საუკეთესო დედობასაც გაგიწევს.

მსუბუქი იყოს ყვარლის მშობლიური მიწა თქვენთვის. ჩვენ კი ვიტოვებთ იმედს, რომ „იად ან ვარდად აყვავებულნი ერთხელმც იქნება გაახელთ თვალებს“.

**ყვარლის ყოფილი მესამე**
**საშუალო სკოლის პედაგოგთა**
**სახელით ზეინაბ ჭიჭიკოშვილი**

## სტევია – ჯანმრთელი ცხოვრების საწინდარი



პარაგვაის უნივერსიტეტში ჩაატარეს კვლევა და დაადგინეს, რომ ამ ქვეყნის მოსახლეობას არ აწუხებს გაცხიმოვნება და შაქრიანი დიაბეტი, რადგან თითოეული მცხოვრები წელიწადში 10 კილოგრამამდე სტევიას მოიხმარს.

სტევია (ლათინურად Stévia) თაფლოვანი, ანუ ტკბილი მცენარეა. ის ასტრასებრთა, ან რთულყვავილოვანთა ოჯახის წარმომადგენელია, აქვს დაახლოებით 260 ბალახისა და ბუჩქის სახეობა. გავრცელებულია სამხრეთ და ცენტრალურ ამერიკაში.

სტევია პირველად მე–16 საუკუნეში გამოიკვლია ექიმმა და ბოტანიკოსმა სტევუსმა (ლათ. Petrus Jacobus Stevus, ესპ. Pedro Jaime Esteve), რომელიც ვალენსიის უნივერსიტეტში მუშაობდა. სწორედ მისი გვარიდან მიიღო დასახელება ამ მცენარემ.

თანამედროვე ბრაზილიისა და პარაგვაის ტერიტორიაზე გუარანის ტომის ინდიელები ასწლეულების განმავლობაში იყენებდნენ სტევიის ზოგიერთ სახეობას საკვებში, განსაკუთრებით Stevia rebaudianas, რომელსაც ka'a he'ê-ს, ანუ ტკბილ ბალახს ეძახდნენ და გარდა საკვების დატკბობისა, სხვადასხვა დაავადების, მათ შორის გულძმარვის სამკურნალოდ იყენებდნენ.

1931 წელს ფრანგმა ქიმიკოსებმა ბრიდელმა და ლავიემ სტევიიდან გამოყვეს გლიკოზიდები, რომლებიც მცენარეს ტკბილ გემოს აძლევენ. ექსტრაქტები, რომლებსაც ეწოდა სტევიოზიდები (steviosides) და რებაუდიოზიდები (rebaudiosides), საქაროზაზე 250-300-ჯერ უფრო ტბილი აღმოჩნდა. ის არ მოქმედებს სისხლში გლუკოზის რაოდენობაზე და, ამდენად, დიაბეტით დაავადებულებისთვის მისი მიღება რეკომენდებულია.

სტევია განსაკუთრებით აქტუალური გახდა ბოლო პერიოდში. მეცნიერებმა მასზე განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს დაბალნახშირწყლოვანი და დაბალშაქრიანი დიეტების მოთხოვნილებასთან დაკავშირებით.

ცნობილია, რომ შაქარი ნახშირწყლებია, რომლებსაც ორგანიზმი წამიერად შთანთქავს, ხოლო ზედმეტს – ცხიმებად აქცევს და ადამიანის სიმსუქნესა და გაცხიმოვნებას იწვევს. დანიელმა დიეტოლოგებმა შაქარი უკვე დიდი ხანია „მსუბუქი“ ნარკოტიკების რიგს მიაკუთვნეს, რადგან აქვს ორმაგი ეფექტი: ა) ტკბილი გემო ენდორფინების (სიხარულის ჰორმონები) გამომუშავებას ასტიმულირებს; ბ) შაქარი ორგანიზმის სისტემაში იმგვარად „ეწყობა“, რომ მისი მოხმარების მეტ სურვილს იწვევს. თან, შაქარი სოკოებისა და პარაზიტების „საყვარელი“ საკვები გარემოა.

საქართველოში სტევია ახლა იხვეჭს პოპულარობას, მაგრამ შაქრის შემცვლელის სახით ფართოდ გამოიყენება იაპონიაში, აშშ-სა და კანადაში მას საკვების დანამატის სახით ხმარობენ.

1970-იანი წლების დასაწყისში იაპონელებმა დაიწყეს სტევიას კულტივირება, როგორც ხელოვნური დამატკბობლების – ციკლამატისა და საქარინის ალტერნატივის. სტევიის კომერციული გამოყენება იაპონიაში 1977 წლიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება. მას იყენებენ სასურსათო პროდუქტებში, უალკოჰოლო სასმელებში. სტევიის მთელი ბაზრის 40% სწორედ იაპონიაზე მოდის.

ამჟამად სტევია მოჰყავთ და კვების პროდუქტებში აქტიურად იყენებენ აღმოსავლეთ აზიაში, მათ შორის ჩინეთში, კორეაში, ტაივანში, ტაილანდსა და მალაიზიაში, ასევე სენ–კიტსისა და ნევისში, ბრაზილიაში, პარაგვაიში, ურუგვაიში, ისრაელში, უკრაინაში და რუსეთის სამხრეთით.

სტევიის (Stevia rebaudiana) ღეროს სიმაღლე 60–დან 100 სანტიმეტრამდე მერყეობს. მასზე განთავსებულია პატარა მრავალრიცხოვანი ფოთლები. თითოეული ბუჩქი 600–დან 1200–მდე ფოთოლს იძლევა.

ამ მცენარის მთავარი სიტკბო სწორედ ფოთოლშია თავმოყრილი – 10–15-ჯერ მეტი სიტკბო, ვიდრე საქაროზაში. ეს აიხსნება იმ ნივთიერებებით, რომლებიც არის მხოლოდ ამ მცენარეში და არსად სხვაგან. ესენია დიტერპენული გლიკოზიდები, რომელთაგან მთავარია სტევიოზიდები და რებაუდიოზიდები. სტევიისგან მიღებული ტკბილის შეგრძნება ნელა დგება, მაგრამ უფრო დიდხანს გრძელდება. ამასთან სტევიის ტკბილ ნივთიერებებს პრაქტიკულად ნულოვანი კალორიულობა აქვს.

სტევიის უპირატესობებია:

- 150-300-ჯერ მეტად ტკბილია შაქარზე;
- აქვს პრაქტიკულად ნულოვანი კალორიულობა. მაგალითად, 100 გრამ შაქარში 387 კ/კალორიაა, ხოლო 100 გრამ სტევიაში (მშრალ ბალახში) – 18 კ/კალორია, ანუ 21, 5-ჯერ ნაკლები. მშრალ ექსტრაქტში – დაახლოებით 0 კ/კალორია;
- 100%-ით ნატურალური პროდუქტია;
- შაქრისგან განსხვავებით, არ წარმოადგენს ბაქტერიებისა და პარაზიტების საკვებს, არამედ პირიქით, გამოირჩევა სოკოსა და ბაქტერიების საწინააღმდეგო აქტიურობით;
- არ იწვევს ინსულინის აქტიურ გამოყოფას, რადგან არ ცვლის სისხლში გლუკოზის დონეს, პირიქით, მის ნორმალიზებას უწყობს ხელს;
- არ ვნებს ორგანიზმს დიდი ხნის განმავლობაში გამოყენებისას (ამაზე მეტყველებს გუარინის ტომის ათასწლოვანი პრაქტიკა, ასევე იაპონიაში ჩატარებული ძალზე სერიოზული კვლევები);
- კარგად იხსნება წყალში;
- მდგრადია მაღალი ტემპერატურისა და ტუტეების მიმართ, რაც კულინარიაში გამოყენების შესაძლებლობას იძლევა;
- დაბალი დოზირება, რადგან სიტკბოს მაღალი კოეფიციენტი აქვს.

საპონინების შემცველობის წყალობით სტევიას ასევე აქვს ჰომეოპათიური მოქმედება, აძლიერებს კუჭის სეკრეციას, რაც თავის მხრივ ყველა ჯირკვლის სეკრეციას აძლიერებს. აქვს მსუბუქი შარდმდენი მოქმედება, აუმჯობესებს მდგომარეობას კანის დაავადებების დროს, ასევე აქვს ეფექტი რევმატიზმის დროს; კარგია შეშუპებისას, ახასიათებს ანთების საწინააღმდეგო მოქმედება და ხელს უწყობს ორგანიზმში სხვა სასარგებლო ნივთიერებების უკეთ ათვისებას.

პარაგვაის უნივერსიტეტში ჩაატარეს კვლევა და დაადგინეს, რომ პარაგვაის მოსახლეობას არ აწუხებს ისეთი დაავადებები, როგორიცაა გაცხიმოვნება და შაქრიანი დიაბეტი, რადგან თითოეული მცხოვრები წელიწადში 10 კილოგრამამდე სტევიას მოიხმარს.

სტევია:

ამცირებს სისხლში შაქრისა და ცუდი ქოლესტერინის დონეს;

აუმჯობესებს, აღადგენს ქსოვილებს, უჯრედებს;

სტევიას აქვს უნარი, წინააღმდეგობა გაუწიოს კიბოს უჯრედების განვითარებას, აქვს ანთების საწინააღმდეგო მოქმედება;

ხელს უწყობს სისხლძარღვების გამაგრებას, არტერიული წნევის ნორმალიზებას;

დადებითად მოქმედებს ღვიძლსა და კუჭქვეშა ჯირკვალზე;

ახორცებს წყლულებს კუჭსა და ნაწლავებში;

აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლას, ებრძვის ჭარბწონიანობის, შაქრიანი დიაბეტის, პანკრეატიტის, ათეროსკლეროზის განვითარებას;

სტევიოზიდის გამოყენებით მცირდება მიდრეკილება ალკოჰოლისა და თამბაქოს მიმართ;

ებრძვის პარაზიტების განვითარებას;

აჩერებს კარიესის განვითარებას;

შესანიშნავი საშუალებაა ბრონქიტის წინააღმდეგ;

აუმჯობესებს თმის, კანის, ფრჩხილების მდგომარეობას;

ამაღლებს იმუნურ სისტემას;

წონაში დაკლებაში ეხმარება.

სტევიასთან დაკავშირებით არსებობდა მეცნიერების მოსაზრებები, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მან, შესაძლოა, ადამიანის ორგანიზმზე უარყოფითად იმოქმედოს, თუმცა, საბოლოოდ, სტევიის ნეგატიური ზემოქმედება არ დამტკიცდა.

სტევია საქართველოში გასული საუკუნის 80-იან წლებში უკრაინიდან შემოვიდა. მისი შემოტანისა და საქართველოში გავრცელების შესახებ გაზეთ „კვირის პალიტრასთან“ საუბარში ანასეულის სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ვალერიან ცანავამ განაცხადა, რომ ინსტიტუტი განაგრძობს ამ უნიკალურ მცენარეზე მუშაობას და მას რამდენიმე მეცნიერი იკვლევს. მისი განცხადებით, ინსტიტუტის „დანგრეულ და გაყინულ“ ლაბორატორიაში უმარტივესი მეთოდით სტევიისგან სტევიოზიდის სუფთა კონცენტრატი მიიღეს, რაც ნიშნავს, რომ სტევიას მოაშორეს სპეციფიკური გემო და მიიღეს აბსოლუტურად ტკბილი, უვნებელი შაქარი მაშინ, როდესაც ამისთვის უცხოეთში მაღალ ტექნოლოგიებს იყენებენ.

ცანავას თქმით, სტევია ამჟამად მოჰყავთ ლანჩხუთში, სადაც სტევიის ნაკვეთი გააკეთეს და ანასეულის ინსტიტუტში. მეცნიერი დარწმუნებულია, რომ საქართველოში ამ კულტურის ათვისება დიდ ძალისხმევას არ მოითხოვს და მისი საექსპორტოდ გამოყენებაც შეიძლება.

შარშან სტევია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ფერმერული განვითარების ცენტრის სანერგე მეურნეობის ფართობზეც დარგეს.




**გიგლა ბეჟანიშვილი ოჯახით მწუხარებაში თანაუგრძნობს ეთერ რუსიაშვილს და გიგა წიწრიაშვილს დის და სიმამრის ანა და გოგია რუსიაშვილების გარდაცვალების გამო.**

**გიგლა ბეჟანიშვილი ოჯახით მწუხარებაში თანაუგრძნობს რამაზ კოკილაშვილს მეუღლის ანა რუსიაშვილის გარდაცვალების გამო.**

**თემურ გურაშვილი და ლალი ბურკიაშვილი ოჯახით თანაუგრძნობენ თინიკო, ეთერ და ფიქრია რუსიაშვილებს მამისა და დის გივი და ანა რუსიაშვილების გარდაცვალების გამო.**

**სსიპ-ტიციან ტაბიძის სახელობის ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ სანავარდოს საჯარო სკოლის თანამშრომლები და მოსწავლეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გადაიცვალა ამავე სკოლის პედაგოგი ანა რუსიაშვილი და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

# ილიაობა კახეთში

„ილიაობა“ ყველაზე გამორჩეული დღესასწაულია ყვარლელებისთვის, ამ დღეს, საგანგებოდ მორთული მოზეიმე ყვარელი და ილიას კარმიდამო ათასობით სტუმარს მასპინძლობს, ქართველსა თუ უცხოელს. ყვარელში პირველი ილიაობა ჩვენი დიდი მამულიშვილის დაბადებიდან 120 წლის საიუბილეოდ 1957 წელს გაიმართა. წელს, ეს ლამაზი დღესასწაულიც იუბილარია – აგერ უკვე 60 წელია ღირსეულად აღნიშნავს ყვარელი ერის მამის ხსოვნის დღეს. „ილიაობამ“ ჩაუყარა საფუძველი სახალხო დღესასწაულების შოთაობის, ვაჟაობის, თამარობის, ქეთევანობის და სხვათა დაფუძნებას .

საქვეყნოდ ცნობილია, რომ ილია თვითონ იხდიდა ილიაობებს საგურამოში, რომელიც წმინდა ელია წინასწარმეტყველის ხსენების დღეს 2 აგვისტოს (20 ივლისს ძველი სტილით) აღინიშნებოდა. მისი ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ კი საგურამოში ბოლო წლებამდე აღარ გამართულა, მხოლოდ რამდენიმე წელია რაც ისევ განახლდა ეს ტრადიცია.

ილია ჭავჭავაძის ყვარლის სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში ინახება უნიკალური ხელნაწერი, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი ილიას მკვლელობის შემდეგ როგორ აღნიშნა კახეთის საზოგადოებამ თელავში პირველი „ილიაობა“ თავისი სათაყვანო მამულიშვილის ხსოვნის უკვდავსაყოფად. მოგონებების ავტორია, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თელავის განყოფილების ხაზინადარი-მდივანი 1909-1925 წლებში ვანო პაატაშვილი. მოგონება დაწერილია 1936 წლის 16 ოქტომბერს.

გთავაზობთ ამ მოგონებას მცირეოდენი შემოკლებით:

„ ... რაც შეეხება თელავს, ჩვენ ვიცოდით რომ დიდებულ მწერალს – მგოსანს „ილიაობა“ – თავისი სახელწოდების დღე უყვარდა – როცა 20 ივლისს საგურამოში დიდ ზეიმს იხდიდა ხოლმე. ამის დაკავშირებით და ილიას სახელის უკვდავსაყოფად წერა-კითხვის საზოგადოების თელავის განყოფილების ინიციატივით ყოველ წელს 20 ივლისს იმართებოდა ილიას საღამო.

პირველი საღამო გაიმართა 1909 წელს, რომელმაც იმოდენა საზოგადოება მოიზიდა, რომ ნახევარიც ვერ დაეტია მაშინდელ საკრებულო დარბაზში (კლუბში). ამიტომ მეორე – 1910 წლიდან ,ასეთი საღამო იმართებოდა ღია ცის ქვეშ, ვეებერთელა ბაღში, სადაც ყოველთვის ვაშენებდით სცენას.

„ილიაობამ“ მალე ისეთი სახელი მოიხვეჭა, რომ იგი გადაიქცა ეროვნულ დღესასწაულად. 20 ივლისს მთელი თელავის და ნაწილი სიღნაღი – თიანეთის მაზრების საზოგადოება თელავში იკრიბებოდა, განურჩევლად წოდებისა. „ილიაობამ“ ისეთი სერიოზული ხასიათი მიიღო, წერა-კითხვის თელავის განყოფილების წინაშე დაისვა საკითხი შესაფერისი შინაარსიანი საღამოს მოწყობაზე და საზოგადოების პატივით შეხვედრაზე. ამისათვის მზადებას 1-2 თვის წინათვე შევუდგებოდით ხოლმე.

პროგრამა ასეთი იყო:

დილით პანაშვიდი , საღამოთი სალიტერატურო – საკონცერტო საღამო და ვახშამი.

საღამოსათვის ყოველთვის სდგებოდა საგანგებო გუნდი 40-60 ქალ-ვაჟთაგან. ლოტბრად ხშირად კომპოზტორი ნ. სულხანიშვილი იყო, ვიწვევდით აგრეთვე შაქრო ჩხიკვაძეს, დრამატურგ ნ. შიუკაშვილს და სხვა. სალიტერატურო განყოფილებაში გამოდიოდნენ საუკეთესო ლექსებით თბილისიდან საგანგებოდ ჩამოსული ახალგაზრდა პოეტები იოსებ გრიშაშვილი, ს. ფაშალიშვილი, იოსებ მჭედლიშვილი, სერგო კლდიაშვილი და სხვა. საღამო ყოველთვის 3-4 განყოფილებისაგან შესდგებოდა.

სხვათაშორის, პირველად, ილიას საღამოზე გამოვიდა ილიას ლექსით ორდენოსანი მსახიობი თამარ ჭავჭავაძე.

I განყოფილება – ილიას შემოქმედების შესახებ – ამ დროს სცენაზე ამართული იყო ყვავილებში და გრეხილებით მხატვრულად მორთული ილიას დიდი სურათი .

II განყოფილება – ერთ-ერთი მოქმედება ილიას ნაწარმოებიდან, ან სალიტერატურო გასამართლება.

III და IV საკონცერტო – ვოკალური განყოფილება და ბოლოს აპოთეოზი – შემდეგ იმართებოდა ვახშამი , რომელიც ბანკეტის ხასიათს ატარებდა .

ამ „ილიაობას“ ილიას სახელის პატივისცემის და ხსოვნის აღნიშვნის გარდა ის დანიშნულება ჰქონდა, რომ შემოსავალი ხმარდებოდა ილია ჭავჭავაძის სახელობის სკოლას, რომელსაც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თელავის განყოფილება ინახავდა ქ. თელავში. ეს სკოლა იყო ქართული, მასში სწავლობდნენ ღარიბესი მოწაფენი, რომელთა უმრავლესობასაც სკოლა სტიპენდიას უნიშნავდა. ამ სკოლაში ბევრმა ისეთმა მოწაფემ დაიწყო პირველად ანა-ბანის სწავლა , რომელნიც დღეს სამეცნიერო ასპარეზზე მუშაობენ და ამის გარდა ბევრი პარტიული ამხანაგი ჩაბმულია დღეს სოციალისტურ მშენებლობაში.

1911 წელს კი ამ ღონისძიებაზე საგანგებოდ ჩამობრძანდა მხცოვანი აკაკი.

„ილიაობას“ ისე დიდებულად ვაწყობდით ყოველ წელს, რომ მას ეროვნული დღესასწაულის ელფერი ეძლეოდა. მალე მისი სახელი მთელ საქართველოს მოედო.

**ვანო პაატაშვილი**

16 ოქტომბერი 1936 წ.

მასალა მოგვაწოდა ილია ჭავჭავაძის ყვარლის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორმა **თამარ ზურიაშვილმა**















მუზეუმის პირველ დირექტორი პლატონ კეშელავა და მწერლები

# ილია ჭავჭავაძის მუზეუმის შთაბეჭდილებათა წიგნიდან













# ილიაობა 2017 – ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 180 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიებები ყვარლის მუნიციპალიტეტში

10:00 – 10:30 – ქ.ყვარლის შემოსასვლელი-ილია ჭავჭავაძის მემორიალის შემკობა გვირგვინებით;

10:30 – 11:00 – „ილიას გორა" – ილია ჭავჭავაძის ძეგლის შემკობა გვირგვინებით;

11:00 – 12:00 – ყვარლის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმის ეზო – წმ. ილია მართლის პარაკლისი;

11:00 – 15:00 – ყვარლის ისტორიული ციხე-გალავანი – კახური ტრადიციული კერძების დაგემოვნება ყვარლის მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების მიერ მოწყობილ ფაცხებში;

11:00 – 15:00 – ყვარლის ისტორიული ციხე-გალავანი – ყვარლის მუნიციპალიტეტში მოქმედი ღვინისა და ალკოგოლური სასმელების კომპანიების მიერ წამოდგენილი პროდუქციის დაგემოვნება სპეციაურად მოწყობილ პავილიონებში;

11:00 – 16:00 – ყვარლის ისტორიული ციხე-გალავანი – ადგილობრივი მხატვრების და ხალხური რეწვის ოსტატების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა;

12:00 – 14:00 – ყვარლის ისტორიული ციხე-გალავანი – კონცერტი ადგილობრივი და მოწვეული შემსრულებლების მონაწილეობით;

12:30 – 13:00 – ყვარლის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმის საექსპოზიციო დარბაზი – მუზეუმის დაარსებიდან 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენის გახსნა;

12:00 – 14:00 –ყვარლის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმის ეზო – მოწვეული სტუმრების გამასპინძლება: პურის ცხობა თონეში, თათარაობა-ჩურჩხელის ამოვლება;

13:00 – 14:00 – ყვარლის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმის ეზო – 2016 -2017 სასწავლო წლის კახეთის რეგიონის წარჩინებულ მოსწავლეთა დაჯილდოება ნოუთბუქებით;

14:30 – 15:00 -„წინაპართა მემორიალის" გახსნა დოლოჭოპის არქეოლოგიურ კომპლექსში;

15:00 – „რესტორანი კუდიგორა" – ილია ჭავჭავაძის იუბილესადმი მიძღვნილი სადილი.



# როგორ მოქმედებს ორგანიზმზე ფეიხოა?

ფეიხოა ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო და ვიტამინებით მდიდარი ხილია,

მასში დიდი რაოდენობითაა ყველა ის ვიტამინი, რაც ორგანიზმს ნორმალურ ფუნქციონირებაში ეხმარება.

ფეიხოას ყოველდღიური ან ხშირი მიღება ორგანიზმზე საკმაოდ დიდ (დადებით) გავლენას ახდენს, ის საუკეთესო საშუალებაა:

1) იმუნიტეტის გასაძლიერებლად
2) წონაში კლებისთვის
3) ამცირებს სიმსივნის რისკს
4) არ მოქმედებს უარყოფითად დიაბეტიანებზე
5) აუმჯობესებს მხედველობას
6) კარგია გულ-სისხლძარღვთა დაავადებების წინააღმდეგ
7) არაჩვეულებრივი საკვებია ორსულთათვის
8) კურნავს გაციებასა და გრიპს
9) ამცირებს სტრესის სიმძაფრეს ორგანიზმში
10) საუკეთესო საშუალებაა ნაადრევი დაბერების წინააღმდეგ

კარგია ყოველდღიური მიღებისთვის ფეიხოა ხილის სახით და ასევე გატარებული.



# 8 წესი — როგორ ვიკვებოთ შემოდგომაზე

შემოდგომა ორგანიზმისთვის რთული პერიოდია. ხილისა და ბოსტნეულის რაოდენობა იკლებს და ადამიანი ვიტამინებისა და მინერალების ნაკლებობას განიცდის.

8 რჩევა მათ, ვისაც სურს, ზამთარს მხნედ და ჯანმრთელად შეხვდეს.

1. დალიეთ ბევრი წყალი. ის გამოდევნის ორგანიზმიდან წიდებსა და ტოქსინებს, გაგიძლიერებთ იმუნიტეტს.
2. უპირატესობა მიანიჭეთ სეზონურ ხილსა და ბოსტნეულს.
3. შეიყვარეთ ბოსტნეულის წვნიანები, სალათები.
4. წაიხემსეთ ჩირით, თხილეულით, ზღვისა და რძის პროდუქტებით.
5. გაამდიდრეთ რაციონი სასარგებლო ცხიმით: ზეითუნის ზეთი, ავოკადო, ნიგოზი, წითელი თევზი.
6. შეამცირეთ შაქრის რაოდენობა. შაქარი ჩაანაცვლეთ თაფლით.
7. არ იშიმშილოთ, არ გამოტოვოთ საუზმე.
8. მიიღეთ ვიტამინებისა და მინერალების კომპლექსი.



# ილია და პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტები

როცა ილია ჭავჭავაძემ პეტერბურგის უნივერსიტეტში შესასვლელად წასვლა გადაწყვიტა, რუსეთის ისტორიაში იწყებოდა ღირსშესანიშნავი სამოციანი წლები. ეს ის ეპოქაა რუსეთისათვის, რომლის შესახებაც ცნობილი რუსი დემოკრატი პისარევი წერდა: „1858 წლიდან სტუდენტობა შეიცვალა, იგი უფრო აქტიური გახდა, კამათობდა, კრებებს მართავდა და სულ აღარ გავდა ძველებურ „ცხვარ სტუდენტებსო".

მაშინ პეტერბურგის უნივერსიტეტში თავმოყრილნი იყვნენ ცნობილი პროფესორები, რექტორი იყო პლეტნევი, რომელსაც სტუდენტები დიდ პატივს სცემდნენ, აქ მოღვაწეობდნენ კაველინი, აიპინი, სტასულევიჩი, კოსტომაროვი, სპასოვიჩი.

30-მდე ქართველი სტუდენტი სწავლობდა მაშინ პეტერბურგის უნივერსიტეტში. იმ ხანებში პროფ. დავით ჩუბინაშვილს, რომელიც ქართული ენის კათედრას განაგებდა უნივერსიტეტში, გადაუცია ქართველი სტუდენტებისათვის 38 იშვიათი ქართული წიგნი, დარჩენილი მეფის ასულ სალომეს გარდაცვალების შემდეგ: „ქილილა და დამანა", ვახუშტის „საქართველოს ისტორია", „ქართლის ცხოვრება", „ყარამანიანი", სულხან-საბას „ლექსიკონი", „სიბრძნე სიცრუისა", „ვეფხისტყაოსანი" და სხვანი. ალბათ ამ წიგნებს გულისხმობდა ილიას ერთ-ერთი პირველი ბიოგრაფი და მეგობარი კოხტა აფხაზი, რომელიც გადმოგვცემს" „ილია სტუდენტობისას ბევრს კითხულობდა, როგორც ევროპის მწერლებს, ისე ძველ ქართულ წიგნებსო".

ნ. ნიკოლაძე იგონებს: ილია ჭავჭავაძე 1861 წლამდე საქართველოში გამომგზავრებამდე პეტერბურგის სტუდენტობაში უეჭველი ავტორიტეტი იყო". იგივე ნ. ნიკოლაძე სწერს, რომ ერთ-ერთ მათგანს ასე შეუჩივლია მისთვის: „სანამ ილია ჭავჭავაძე იყო აქ, მსჯელობას და ლაპარაკს ქე მაინც გაიგონებდა კაცი მამულის სიყვარულზე, ის წავიდა და ახლა რაუზერზე და გოზეზე (პირველი ტანისამოსის მკერვალი იყო, მეორე მეწაღე) (ქრ. რაჭველიშვილი), თუ გაიგონებს სჯას, მეტს არაფერზე".

დამახასიათებელია აგრეთვე სიტყვები, რომლებითაც მიმართავს ერთ-ერთი ახალგაზრდა ნ. ნიკოლაძეს, როდესაც წაასწრებს ჩერნიშევსკის და დობროლიუბოვის „სოვრემენიკის" კითხვის დროს: „გაიხსენე ჩემი სიტყვაო – თუ შენც ისე არ წახდე, როგორც ილია ჭავჭავაძე წახდა, ისიც აქ შილერის, ბაირონისა და ვალტერ-სკოტის კითხვის მეტს არას აკეთებდა, უდიპლომოდ წაბრძანდა, აბა ეხლა რა ადგილი უნდა მიიღოს იმან?"

ილია ჭავჭავაძემ 1860-61 წ.წ. მოისმინა მეოთხე კურსის ლექციები, მაგრამ საგნების ჩაბარებისათვის აღარ დაუცდია, 1861 წლის გაზაფხულზე წამოვიდა საქართველოში ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. იგი ჯერ კიდევ არ გაბრუნებულიყო პეტერბურგში დარჩენილი საგნების ჩასაბარებლად და უნივერსიტეტის დასამთავრებლად, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტში სტუდენტთა არეულობა დაიწყო 1861 წლის სექტემბერში.

სტუდენტურ არეულობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტებიც.

პოლიტიკური ტერორის დაწყებამდე პეტერბურგის უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში გამოკრული იყო შემდეგი სტატია–პროკლამაცია:

„ჩვენი რკინის მეფეების, ხიშტების და უაზრო კანონების საუკუნე შობს არაადამიანებს, იაფფასიან კაცუნებს.

ხელისუფლებამ ჩვენ გამოგვიწვია, ახლა ვნახოთ რამდენი რაინდი აღმოჩნდება ჩვენს შორის, რომ ეს გამოწვევა მივიღოთ. ფაქტობრივად ისინი ბევრნი არიან, სადაც გაიხედავ, ყველგან წითლებია მხოლოდ... რა შეიცვლება? არ მოგვიწიოს სირცხვილის ჭამა!

„სტუდენტები შფოთავენ, თავნებობენ, სამშობლოს „თმაჭაღარა ბურჯები" ბუზღუნებენ" და აი ხალხის თვალწინ რამოდენიმე დეკრეტია: უნივერსიტეტში ფასიანი სწავლება, მასების ჩახშობა უმეცრებით, უცოდინარობით, ყოველგვარი კრებების აკრძალვა... შედეგს ვიგრძნობთ მოგვიანებით.

ჯერ-ჯერობით კი აი ხელისუფლების „ნაზი" ურთიერთობის ორი ნიმუში. ეს ცოტაა? რა თქმა უნდა, მხოლოდ დასაწყისია... მაგრამ ჩვენ რა ვქნათ? არაფერი! დუმილი, დუმილი, და კიდევ დუმილი...

რუსი ხალხი ოდითგანვე გამოირჩეოდა მოთმინებით. გვავიწროვებდნენ თათრები, – ჩვენ ვდუმდით, მეფეების წინაშეც ვდუმდით და ვეთაყვანებოდით. ახლა გერმანელების წინაშე ვდუმვართ და პატივს მივაგებთ. პროგრესია! და, მართლაც, რა საჭიროა სერიოზული აურ-ზაურის ატეხვა, როცა ჩვენი ბუნებიდან გამომდინარე შეგვიძლია მხოლოდ არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფნი გავეხვიოთ პოლიტიკურ ბინძურ სკანდალებში.

მხოლოდ იქ, სადღაც ევროპაში კი, ერთი არაფრისმთქმელი სიტყვა ადამიანებს გმირული საქციელისაკენ უბიძგებს.

ახლა ჩვენ ყველაფერს გვიკრძალავენ, უნდა ვიყოთ მორიდებულნი, უფლებას გვაძლევენ ვიჯდეთ სკამებზე, თავი გვეჭიროს ღირსეულად კლასში, გვიკრძალავენ მსჯელობას, გესმით – მსჯელობას!

მაგრამ ბატონებო, თუ სასოწარკვეთილებამ შეგვიპყრო, რა ვქნათ? ჩვენც ხომ ადამიანები ვართ, ვაზროვნებთ და გვაქვს ენა, რომ კი არ დავასმინოთ, არამედ ვთქვათ ის, რასაც ვფიქრობთ და გაგვაჩნია ის ხუთი გრძნობა, რომ აღიქვათ ის შეგრძნებები (თვალით, სმენით), რაც ხელისუფლების „ნაზ" ურთიერთობას მოჰყვა. შემთხვევით რომ მივხვდეთ თქვენს ჩანაფიქრს? როგორ ფიქრობთ, რა მოჰყვება ამას? შეხედეთ ეპიგრაფს და დაინახავთ რაც გამოვა.

ჩვენ ლეგიონი ვართ! ჩვენ მხარეს არის საღი აზრი, ლიტერატურა, პროფესურა, თავისუფლად მოაზროვნე ადამიანების უამრავი წრე, დასავლეთ ევროპა, ყველაფერი საუკეთესო, პროგრესული ჩვენსკენაა.

ჩვენ უფრო მეტი ვართ, ვიდრე ჯაშუშები.

ახლა ვინ არის ჩვენს წინააღმდეგ? 5-6 ოლიგარქი, ტირანები, რომლებიც ცდილობენ ჩვენს შეშინებას; ჩვენ არ გვეშინია მათი, ჩვენსკენ მომართულია ათასობით ხიშტი, მაგრამ ვერ ბედავენ... რისი გეშინიათ? ყველა, ვისაც არ ეშინია, დაირაზმეთ, მასებს შეუერთდით, უარესის არ გვეშინია, უარესი არ გვინდა!

მთავარია გვეშინოდეს უთანხმოების, აზრთა სხვაობის, და არ შევუშინდეთ ენერგიულ ზომებს – (ღონისძიებებს).

ჩვენ ვერ გვესვრიან! უნივერსიტეტის გამო პეტერბურგში ბუნტი იფეთქებს. ახლა უკვე ჩვენი ხელმძღვანელები თავის ქნევით ამტკიცებენ, რომ დედაქალაქში სიმშვიდე არ არის.

ჩვენების იმედი უფრო ნაკლებადა გვაქვს, ვიდრე პოლონელების. მათში მეტი თავგანწირვა და კეთილშობილება იგრძნობა, თავისუფლების იდეების ერთგულნი არიან.

ჩვენი ძმური მოწოდებაა მიიღოთ არსებითად შემოქმედებითი მონაწილეობა საერთო საქმეში, ენერგიულად დაგვიჭიროთ მხარი.

ენერგია, ენერგია და კიდევ ენერგია!.. გავიხსენოთ, რომ ჩვენ ვართ ახალგაზრდები. ამ დროს ახალგაზრდობა კეთილშობილნი და თავდადებულნი არიან.

კიდევ ერთხელ გიმეორებთ, ნურაფრის ნუ შეგეშინდებათ, რომც მთელ უნივერსიტეტს მოუწიოს სალოცავად მონასტრის კედლებში წასვლა.

სტუდენტური მღელვარების მონაწილენი დააპატიმრეს და სანკტ-პეტერბურგის ციხე-სიმაგრეში გადაიყვანეს. დააპატიმრეს ამ მღელვარების მონაწილე ქართველი სტუდენტებიც. მუზეუმის ფონდებში დაცულია ამ სტუდენტების სიაც:

1 – აბელ შანშიევი (შანშიაშვილი), 2 – ვასილ სავანელი, 3 – ნიკოლოზ შანშიევი (შანშიაშვილი), 4 – ნიკო ნიკოლაძე, 5 – აბელ ჩოლოკაევი (ჩოლოყაშვილი), 6 – დავით ღოღობერიძე, 7 – დავით აბდუშელიშვილი, 8 – პეტრე ალხაზოვი (ალხაზიშვილი), 9–კირილე ლორთქიფანიძე, 10 – გრიგოლ ჯავახოვი (ჯავახიშვილი), 11 – გიორგი წერეთელი, 12 – იაკობ ისარლოვი (ისარლიშვილი), 13 – ალექსი შავერდოვი (შავერდაშვილი), 14 – ბესარიონ ღოღობერიძე.

ილია ჭავჭავაძე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სტუდენტთა ამ არეულობის დროს საქართველოში იმყოფებოდა, მაგრამ მათთან ერთად გარიცხულ იქნა უნივერსიტეტიდან, როგორც სჩანს, იგი ჯერ კიდევ სტუდენტი, იმყოფებოდა პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ, როგორც არაკეთილსაიმედო პიროვნება; ილია სტუდენტობიდანვე ემზადებოდა იმ ბრძოლისათვის, რომელსაც მისი ქვეყნის განთავისუფლება ჰქონდა მიზნად.

**ლიანა ავაზაშვილი**

# მინდა მივულოცო ყვარლელებს და მთელ საქართველოს უდიდესი ქართველის იუბილე და ვუსურვო ჩემს ქვეყანას ილიას გზით სიარული



... ვცდილობთ შევეხიდოთ მათ შეჭირვებულ მდგომარეობას

*არაერთხელ გაგვიშუქებია გაზეთში ყვარელში არსებული სათნოების სახლის მუშაობის შესახებ, რომელსაც წლებია შეუცვლელად უდგას სათავეში ქალბატონი თამარ ნაზრიშვილი. რომ არა მისი უზრალოება, კეთილსინდისიერება და უდიდესი ყურადღება ამ სახლის წევრებისადმი, ეს პიროვნება დღემდე ვერ შემორჩებოდა ამ სოციალურად დაუცველთა თავშესაფარს. ქათინაურებში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ ბუნებრივადაც მართლა ასეთია თამარი, – უშუალო და კონტაქტური ყველას მიმართ. ამ ოჯახში ყოველდღიურად თავს იყრიან უკიდურესად გაჭირვებული ადამიანები. თითოეულის გაჭირვება და გულისტკივილი მისიც არის და ყოველთვის წუხს ამაზე. შევიხედეთ ამ სახლში, მის სამზარეულოში და გავესაუბრეთ ქალბატონ თამარს აქ არსებული მდგომარეობის შესახებ.*

**– ქალბატონო თამარ, ვიცი, რომ სადღესასწაულო დღეებში გიყვარს სიურპრიზების გაკეთება ამ სახლის წევრებისთვის, როგორ მოემზადეთ იუბილის შესახვედრად?**

– გეთანხმებით, მართლაც იმდენჯერ იწერება თქვენს გაზეთში ჩვენი სათნოების სახლის საჭირბოროტო საკითხებზე, რომ მადლობის მეტი რა გვეთქმის. ჩვენდამი ყურადღების და ჩვენს მიმართ ასეთი დამოკიდებულების გამომჟღავნების სტიმული უნდა იყოს ყველა ადამიანისათვის, ვისაც შეუძლია დახმარების ხელი გაუწოდოს სოციალურად უკიდურესად გაჭირვებულ ადამიანებს. მე უკვე ყველას მოვაბეზრე თავი მათი მდგომარეობის და ცხოვრების ნიუანსების ყურადღების მიქცევით. ჩვენი თანამშრომლებიც ყოველთვის მოტივირებულნი არიან შეძლებისდაგვარად გაუწიონ მათ დახმარება ყველანაირ საკითხში. ეს იქნება ოჯახური თუ სახელმწიფო დაწესებულებებთან დაკავშირებით. მათი უმრავლესობა მარტოხელა, ინვალიდია. ის, რასაც ჩვენ მათთვის ვაკეთებთ, არის ძალიან მცირე და მჯერა, რომ უფრო მეტად იქნება მათი მდგომარეობა გაუმჯობესებული. ილია ჭავჭავაძის საიუბილეო დღეებთან დაკავშირებით ყველანაირად ვეცადეთ, რომ მათთვისაც ეს დღეები განსაკუთრებული ყოფილიყო. მაგრამ, არავის ეგონოს, რომ მათ არ აინტერესებთ რა ხდება ქვეყანაში და მარტო კვებაზე არის დამოკიდებული მათი ცნობიერება, ჩვენი ბენეფიციარები არიან სოციალურად დაუცველი, შეჭირვებული, მაგრამ მათ შორის ბევრი განათლებული და საოცრად ანალიტიკური აზროვნებისაა. მათ აინტერესებთ რელიგიაზე საუბარი. მნიშვნელოვან კითხვებს სვამენ და ჩვენც ვცდილობთ შევეხიდოთ მათ შეჭირვებულ მდგომარეობას.

**– რამდენად გაიზარდა სოციალურად დაუცველთა რიცხვი. რას გვეტყოდი კვების რაციონის შესახებ, ხომ არ გამრავალფეროვნდა რაციონი სხვა დამატებითი პროდუქტებით?**

– 2000 წელს ჩამოვაყალიბეთ სათნოების სახლი. ქვეყანაში უკიდურესად მძიმე სოციალური ფონი იყო. 80 ადამიანით დავიწყეთ. შემდეგ იყო გაეროს სასურსათო პროგრამაში ჩართვა 2011 წლამდე. გაეროს სასურსათო პროგრამამ 11 წლის განმავლობაში უდიდესი საქმე გააკეთა. უკვე რამდენიმე წელია სათნოების სახლს ყვარლის მუნიციპალიტეტი აფინანსებს. დღეისათვის კვების რაციონი დამაკმაყოფილებელია, რა თქმა უნდა, სასურველია გამრავალფეროვნდეს ისეთი ინგრედიენტებით, რომლებიც მათ ფიზიკურ მდგომარეობას გააუმჯობესებს.

**– რა სიახლეა „სახლში“, ხომ არ დგას საკითხი თქვენი სათნოების სახლის გაფართოების შესახებ? და საერთოდ რა უჭირს დღეს სათნოების სახლს?**

– რაც შეეხება სიახლეს. რა თქმა უნდა, გვინდა, ძალიან გვინდა, უფრო უკეთესი სერვისით მოვემსახუროთ ბენეფიციარებს. ისინი მარტო ბენეფიციარები კი არა, ოჯახის წევრებიც არიან. რამდენიმე ბენეფიციარს მათი ფიზიკური მდგომარეობის გამო სახლში ვუგზავნით სადილს. მათ ძალიან უნდათ კახეთის რეგიონის, ჩვენი ეკლესია-მონასტრების დათვალიერება, მოლოცვა. წელს მოვილოცეთ ნეკრესის მონასტერი. მერე ტრაპეზი გავმართეთ და მას შემდეგ, ამ დღეს ხშირად იხსენებენ. ვაპირებთ მოვილოცოთ ბოდბის წმინდა ნინოს მონასტერი.

არასოდეს არ მიყვარს პრობლემებზე წუწუნი, იმიტომ, რომ მიმაჩნია, პრობლემები ჩვენ თვითონ უნდა მოვაგვაროთ. ისინი კი უამრავია. მაგრამ მე მჯერა, რომ აუცილებლად უკეთესობისკენ შეიცვლება ყველაფერი. 18 წლის განმავლობაში, პირველ ხანებში, როცა არ იყო გაზი, ელექტროენერგია, ჩვენ ცეცხლზე, თონეში ვაკეთებდით საჭმელს, არავითარი პირობები არ გვქონდა, მაგრამ არ ყოფილა არც ერთი დღე, მათთვის ცხელი საჭმელი არ მოგვემზადებინოს, ვეხმარებით მათ შეძლებისდაგვარად. დღევანდელი პირობები დამაკმაყოფილებელია, მაგრამ გვაქვს უკეთესი მოლოდინი, ამ სახლის გაფართოების თვალსაზრისითაც.

**– თქვენზე რიცხული ბიუჯეტი თუ გყოფნით მთელი წლის განმავლობაში?**

– რაც შეეხება ბიუჯეტს, მოლოდინი გვაქვს, რომ ჩვენი დაფინანსება გაიზრდება კვების რაციონის გაუმჯობესებისათვის და კიდევ მრავალი სასიკეთო საქმის გაკეთებისათვის, რომელიც უკვე დაგეგმილი გვაქვს. არ შეიძლება არ აღვნიშნო სათნოების სახლის თანამშრომლების უდიდესი ძალისხმევა და ზრუნვა ბენეფიციარების მიმართ. ყოველთვის ვცდილობთ გავუგოთ მათ და ყველაფერი გავაკეთოთ, რათა მათ მოუთხაროდეთ აქ მოსვლა არა მარტო საჭმელად, არამედ თბილი გარემოს გამო. ეს სითბო კი უხვად აქვთ ჩვენს მომსახურე პერსონალს, – ქალბატონებს ნანი ხარებაშვილს, ნუნუ ჟურულიშვილს, ნელი ავაზაშვილს, ელიზა უძილაურს. ახალგაზრდებს ეკა ფაქელაშვილს, ჯუნა კოკორაშვილს, რომლებიც თავზე ევლებიან სათნოების სახლში მოსულებს.

**– კაცი იმედით ცოცხლობსო და როგორ ფიქრობთ შეიცვლება უკეთესობისკენ სოციალურად დაუცველთა მდგომარეობა? თქვენ გაქვთ ამის მოლოდინი?**

– ხშირად ვამბობ და ახლაც ვიმეორებ. მჯერა და მოვესწრები ისეთ საქართველოს, სადაც აღარ იქნება სათნოების სახლები ასეთი დანიშნულებით. ყველას ექნება საშუალება კვების და სხვა საჭირო საშუალებით ცხოვრება. მაგრამ, თუ კიდევ იქნება სათნოების სახლები, იქნება სხვანაირი ფორმით, როგორც ეს განვითარებულ, ცივილიზებულ ქვეყნებშია. მჯერა, ჩვენი ახლად არჩეული რაიონის ახალგაზრდა ხელმძღვანელები სათანადო ყურადღებას და დროს დაუთმობენ სოციალურად დაუცველთა პრობლემებს. ამ ადამიანების მიმართ გამოჩენილი ყურადღება დიდი მადლია და ჩვენც დიდი პასუხისმგებლობა გვაკისრია მათ წინაშე, რადგან როგორც უფალი ამბობს „თუნდაც ერთი გაჭირვებული ადამიანის დახმარება ჩემს მიმართ გამოჩენილი, უდიდესი სიყვარულია“.

**– ვიცი, რომ ძალიან გიყვარდა ქართული ენა და ლიტერატურა, მასთან ერთად ილია ჭავჭავაძე, მისი თხზულებები. ილიას იუბილეა და გკითხავ, როგორ შეაფასებდი მის ღვაწლს ქვეყნის წინაშე? მე ვიტყოდი, რომ ყველა მისი ნაწარმოები ფასეულია, შენთვის რომელია უფრო ფასეული?**

– იმდენად დიდია ილია ჭავჭავაძე როგორც მწერალი, პოეტი, პუბლიცისტი, ქვეყანაზე მზრუნველი, დამრიგებელი ყველა



საკითხში, უდიდესი მოაზროვნე, რომ მერიდება მასზე გამოვთქვა რაიმე აზრი საქვეყნოდ, მაგრამ შევეცდები.

ბედმა გვარგუნა ყვარელში, ჩვენს გვერდით, ამ მიწაზე დაბადებულიყო ეს ბუმბერაზი ქართველი, რომელიც დღე და ღამე ქვეყნის ბედ-იღბალზე ფიქრობდა, არ ვიცი, შეიძლება ვცდები, მაგრამ მსოფლიოში იშვიათი ქვეყანა თუ იქნება, რომელსაც ჰყავდეს ასეთი მოაზროვნე და თავის ქვეყანაზე მზრუნველი. იგი ცდილობდა თავისი დარიგებით და ღვაწლით დაენახვებინა თანამემულეებისათვის როგორ უნდა ეცხოვრათ, როგორ უნდა ყვარებოდათ სამშობლო და თავიანთი ქვეყნის ისტორია, წარსული და როგორი იქნებოდა მათი მომავალი. იგი ნათლად აღწერდა თავის ნაწარმოებებში მაშინდელი ეპოქის ქვეყნის სოციალურ მდგომარეობას.

გვყავდა პაპა – ვანო ავაზაშვილი, რომელსაც მეზობლები და ახალგაზრდები „პრისტავს“ ეძახდნენ თავისი სამართლიანობის და მტკიცე ხასიათის გამო. ილიას კარ-მიდამოს გვერდით ცხოვრობდა და იხსენებდა, – 14,15 წლის ბავშვები შევდიოდით ხოლმე ილიას ეზოში სათამაშოდ, რადგან ეზო ძალიან ლამაზი იყო და მოგვწონდა იქ თამაში, მოურავი გარეთ გვაგდებდა, არაფერი გააფუჭოთო, მაგრამ როცა აქ ილია ჩამოვიდოდა, ის მოურავს უწყრებოდა, ბავშვებს ნუ ეჩხუბებით, იყვნენ, ითამაშონო. ტკბილეულს გვირიგებდა და ჩვენც კმაყოფილები ვიყავით და ველოდებოდით კიდევ როდის ჩამოვიდოდა ილია. საოცარია, ასეთ გულისხმიერ და უზომოდ კეთილშობილ ადამიანს ბევრჯერ ატკინეს გული. როცა პირველად გავაცნობიერე ილიას პიროვნება სკოლის პერიოდში, ვერ ვხვდებოდი რატომ უნდა მოეკლა ქართველს სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი.

ერთს ვიტყვი, რომ სკოლის პერიოდშივე ყალიბდება ადამიანი პიროვნებად და ამაში ძალიან დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება მასწავლებელს. ჩვენ გვქონდა ბედნიერება ქართული ენა და ლიტერატურა ესწავლებინა უაღრესად განათლებულ მასწავლებელს ქალბატონ ვენერა კოკორაშვილს, რომელიც არა მარტო გაკვეთილებს გვასწავლიდა, გვესაუბრებოდა იმ საინტერესო მასალებზეც, რომლებსაც იმხანად ვერ წავიკითხავდით, გვაცნობდა ცნობილი მეცნიერების შეხედულებებს ილიას ცხოვრებაზე, მოღვაწეობაზე, მის პუბლიცისტურ წერილებზე. არ ვიცოდით, რომ ილიას ნაწარმოებების გამოცემა და სწავლება 1938 წლამდე აკრძალული იყო. სტალინის უშუალო მოთხოვნით მოხდა ილიას შემოქმედების გავრცელება და სწავლება სკოლაში. შემდეგ უკვე ჩვენც დავინტერესდით და ვკითხულობდით მის შემოქმედებას, ცნობილი ადამიანების აზრს მისი მოღვაწეობის შესახებ. არასასიამოვნო კადრია როცა ბერბიჭაშვილი სასამართლოზე გაკვირვებული იყურება და ამბობს: „რა დავაშავე, ქვეყანას სისხლისმსმელი თავადი მოვაშორეო“. ჩვენ არ ვიცოდით არც სახარება და თავისთავად არც „მამაო ჩვენო“ ვიცოდით. ამიტომ იყო, რომ ეს ლექსი კი არა ლოცვა, ჩვენი ყოველდღიური სალოცავი გახდა. „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, მუხლმოდრეკილი, ლმობიერი ვდგავარ შენს წინა, არცა დიდების, არც სიმდიდრის თხოვნა არ მინდა“. იგი არიგებდა თავის თანამემამულეებს ყველა სფეროში, სოფლის საკითხებშიც კი. როცა იური ჭავჭავაძე პარიზში წავიდა საქორწინო მოგზაურობაში თავის მეუღლე ელენესთან ერთად, სასტუმროს ადმინისტრატორი ვერაფრით მიახვედრა რომელი ქვეყნიდან იყვნენ. ბოლოს მიხვდა და უთხრა: თქვენ იმ ქვეყნიდან ხართ, რომელმაც თავისი ყველაზე გამორჩეული პოეტი მოკლაო. ეს ამბავი მე ბავშვობაში მოსმენილი მაქვს იური ჭავჭავაძის მეუღლის, კნეინა ელენესგან, რომელიც ჩვენს ოჯახში დრო და დრო ჩამოდიოდა თბილისიდან. პაპაჩემი იასე მის სახლში მოჯამაგირედ მუშაობდა და ბოლომდე ჰქონდა მათთან ურთიერთობა.

იმდენად შთამბეჭდავი და შინაარსიანია მკითხველისთვის ილიას ნაწარმოებების თითოეული სიტყვა თუ სტრიქონი, რომ ვერავითარი დრო და ჟამი ვერ გააფერმკრთალებს და გაახუნებს მის მიერ შექმნილ ნაწარმოებებს, – პოემებს თუ ლექსებს.

დიდი ილია ერთ-ერთ თავის ნააზრევში ამბობს, „სიხარული და ბედნიერება იგივე სიცოცხლეა, მხოლოდ ხანმოკლე და შეურჩენელი“, სწორედ რომ მას არ აცალეს და მისთვის ხანმოკლე აღმოჩნდა ბედნიერად ეგრძნო თავი თავის ქვეყანაში – „სიხარული ჰგავს გზისპირას გაზრდილს, გავლით მოწყვეტილს სუნნელსა ყვავილს, რომელიც ხელში დიდხანს არ გრჩება, მცირე ხანს გატკბობს და მერე ჭკნება“. ვფიქრობ მისი უკვდავი ქმნილებები, საუკუნეებიც რომ გავიდეს, იმ ყვავილივით არასოდეს დაჭკნება და ყოველთვის სიამოვნებას განაცდევინებს ჩვენს მკითხველებს.

მინდა მივულოცო ყვარლელებს და მთელ საქართველოს უდიდესი ქართველის იუბილე და ვუსურვო ჩემს ქვეყანას ილიას გზით სიარული. მაგრამ გულდასაწყვეტია ის, რომ ერთი ვიგინდარა ქართველის ქართველისადმი გულში მორტყმული ტყვია სამუდამო ლაქად რჩება და დარჩება ერის ისტორიაში.

**ესაუბრა დალი ტატულიშვილი**



# მოამზადეთ ხსნარი და დაიხსენით მცენარეები ხავსმლიერების ტყვეობისგან

სოფლებში გავლისას თვალის ერთი შევლებითაც შეუძლებელია ყურადღების გარეშე დარჩეს ხეებზე, ხეხილზე, ციტრუსზე, ვაზსა და ბუჩქოვან მცენარეებზე გავრცელებული ხავსმლიერების სიმრავლე.

მემამულეები ხშირად მოგვმართავენ და გვეკითხებიან, თუ რამდენად მავნე არიან ისინი და როგორ შეიძლება მათგან მცენარის გათავისუფლება.

ხავსმლიერები (ლიქინები) სოკოსგან და წყალმცენარეებისგან შემდგარი ორგანიზმებია. ისინი მთელი ზედაპირით აქტიურად ითვისებენ მცენარისგან წყალსა და მასში გახსნილ ნივთიერებებს, კეტავენ კანის სასუნთქ უჯრედებს და ხელს უშლიან მცენარის შიგა ქსოვილში ჰაერის მიწოდებას, რითაც მცენარეს უსპობენ ნორმალური განვითარების შესაძლებლობას.

გარდა ამისა, მასში იზრდებიან და თავს აფარებენ სხვადასხვა მავნებლები. ხავსმლიერები თანდათანობით იწვევენ მცენარის დაკნინებასა და საბოლოო კვდომას.

აღსანიშნავია, რომ ლიქინები ადვილად იტანენ ხანგრძლივ და ძლიერ გამოშრობას და სათანადო პირობების შექმნისას ისევ ცოცხლდებიან.

რკინის ძაღას სამუშაო ხსნარის დამზადება და გამოყენება

ხავსამლიერებისგან მცენარეთა დაცვის ყველაზე ეფექტური საშუალების – რკინის ძაღას (რკინის გოგირდმჟავა მარილი) მცენარეთა სამკურნალო ხსნარის დამზადებისთვის საჭიროა ასევე ჩაუმქრალი კირი.

გთავაზობთ სამუშაო ხსნარის დამზადებისა და გამოყენების წესს:

იგი ჩამოგავს ბორდოს ხსნარის (შაბიამანი + კირი) დამზადების ტექნოლოგიას.

რკინის ჭურჭელი ნაკლებად გამოსადეგია. 10 ლ სამუშაო ხსნარის დასამზადებლად საჭიროა 0,2 კგ რკინის ძაღა და ერთი 1 კგ ჩაუმქრალი კირი ცალ-ცალკე გაიხსნას წყალში. კირის აღნიშნული რაოდენობის ჩასაქრობად საჭიროა 2,5 ლ წყალი, ხოლო რკინის ძაღას ვხსნით 1 ლ წყალში.

საერთო შესარევ ჭურჭელში ჯერ ვასხამთ კირის რძეს, რომელსაც ვუმატებთ რკინის ძაღას ხსნარს და ვავსებთ წყლით 10 ლ-მდე. ეს პროპორციები შენარჩუნებული უნდა იყოს ნებისმიერი რაოდენობის სამუშაო ნაზავის დამზადებისას.

მიღებული სამკურნალო ნარევი გამოყენებული უნდა იქნეს 1 დღის (მაქსიმუმ დღე-ღამის) განმავლობაში. შესასხურებელ აპარატში ჩასხმის დროს ან საერთო ჭურჭლიდან ნაწილის გადმოღებისას, აუცილებელია მისი ენერგიული მორევა, ვინაიდან ძალიან სწრაფად ხდება მასის შრეებად დაშლა.

ხის შტამბსა და მსხვილ ტოტებზე, განსაკუთრებით, თუ დაავადება ძლიერ არის გავრცელებული, უმჯობესია ნარევის წასმა ფუნჯის მეშვეობით. ამ შემთხვევაში კირის რძის გაწურვა სამუშაო ხსნარის დამზადებისას საჭირო არ არის. ხსნარი წარმოადგენს როგორც სამკურნალო, ასევე დამცავ საშუალებას. ე.ი. შეთეთრება აღარ არის საჭირო.

ვარჯის დანარჩენი ნაწილის, ასევე მცირე ზომის ხეებისა და ბუჩქოვანი მცენარეების მკურნალობისთვის, მიზანშეწონილია შემასხურებელი აპარატის გამოყენება.

შესხურება უნდა მოხდეს მცენარეზე ყველა მხრიდან. ძლიერ დაზიანებული ხეები ჯერ მასზე ასვლით უნდა შეიწამლოს ზემოდან, შემდეგ კი ქვემოდან. ბოლოს კი ტანი და მსხვილი ტოტები უნდა დაიფაროს ფუნჯის გამოყენებით.

პრეპარატის ფუნჯით წასმა დასაშვებია წლის ნებისმიერ დროს, შესხურებით ვარჯის მკურნალობა კი მისაღებია გვიან შემოდგომასა და ადრე გაზაფხულზე. მისი ეფექტურობა მაღალია, თუ გარემოს ტემპერატურა დღეღამის განმავლობაში +5 გრადუსზე დაბლა არ ეცემა.

გირჩევთ, თქვენს ბაღებში არსებულ დაავადებულ მცენარეებს დროულად ჩაუტაროთ მკურნალობა და დაუბრუნოთ სიცოცხლისუნარიანობა, მომავალში კი იგივე გაიმეოროთ ხავსმლიერების პირველივე ნიშნების გამოჩენისთანავე.

**ავტორი: მარინე სუნგულია,**
gurianews.com.

# დოლოჭოპის ბაზილიკის გათხრებმა 2016-2017 წლებში კიდევ ერთ სენსაციურ აღმოჩენამდე მიგვიყვანა

*ყვარლის მუნიციპალიტეტი რომ თავისი ისტორიული წარსულით განსაკუთრებით მდიდარია, ამას უამრავი წარმართული და ქრისტიანული ძეგლი ადასტურებს – თუნდაც ამ ბოლო ხანებში აქ მიკვლეული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, თავიანთი მნიშვნელობით საქართველოს უძველესი დედაქალაქის, მცხეთის სიძველეებსაც კი არ ჩამოუვარდებიან. უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში აღმოჩენილმა ნაქალაქარებმა და იქ არსებულმა ნაგებობებმა დაამტკიცეს, რომ თექვსმეტი საუკუნის წინათ ყვარლის რაიონის ტერიტორიაზე დაწინაურებული კულტურა ყვაოდა და აქ ბრძენი, მშრომელი, განათლებული ადამიანები მოღვაწეობდნენ.*

*ჩვენი მხარის უძველესი კულტურის ერთ-ერთი გამორჩეული კერაა ნეკრესის ნაქალაქარი და ამავე სახელწოდების სამონასტერო კომპლექსი. მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულებში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აკადემიკოს ლევან ჭილაშვილის ხელმძღვანელობით, ნაქალაქარ ნეკრესის ტერიტორიაზე ფრიად შედეგიანი არქეოლოგიური გათხრები ჩაატარა. ამ ტერიტორიებზე გამოვლინდა როგორც წარმართული, ისე ადრექრისტიანული ეპოქის უნიკალური ძეგლები საკულტო თუ საერო დანიშნულების ძეგლები.*

*ლევან ჭილაშვილის გარდაცვალების შემდგომ, 2004 წლიდან, მის მიერ დაწყებული საქმე მისმა მოსწავლემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, საქართველოს ეროვნული მუზეუმის მთავარმა მეცნიერ-თანამშრომელმა, პროფესორმა* ნოდარ ბახტაძემ *გააგრძელა.*

*სწორედ ბატონი ნოდარის ინიციატივით დაიწყო „ილიას ტბის" მიმდებარე „დოლოჭოპის" ტერიტორიაზე არქეოლიგიური გათხრები, სადაც აღმოჩენილ იქნა უნიკალური მნიშვნელობის უძველესი ისტორიული ძეგლები.*

*ბატონი ნოდარი ყვარლის საპატიო მოქალაქეა და როგორც საუკეთესო რესპოდენტს, საიუბილეო ნომერში მისი ინტერვიუს განთავსებისთვის შევეხმიანეთ.*

**– ბატონო ნოდარ, თქვენს მიერ ჩატარებულმა კვლევებმა რა დაგვიდასტურეს, როგორი მნიშვნელობის აღმოჩენასთან გვაქვს საქმე?**

– ამჟამად ნასოფლარი დოლოჭოპის სახელით ცნობილი ეს ტერიტორია, გვიანანტიკურ და ადრეულ შუა საუკუნეებში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქართული ქალაქის, ნეკრესის უკიდურეს დასავლეთ უბანს წარმოადგენდა.

2004 წელს, ტყით დაფარულ ამ ადგილზე, გაუვალ ჯაგნარში აღმოვაჩინე ხავსმოდებული კედლების მძლავრი ფრაგმენტები, რომლის მნიშვნელობაც მაშინვე ვაუწყე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურებს და ქართველ საზოგადოებრიობას. 2012 წლიდან დღემდე, ამ ძეგლზე, თუმცა კი საკმაოდ მოკრძალებული სახელმწიფო დაფინანსებით, მაგრამ უზარმაზარი ენთუზიაზმით, საქვეყნოდ გახმაურებულ არქეოლოგიურ კვლევებს ატარებს საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნეკრესის ნაქალაქარის შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიცია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების მონაწილეობით.

2012-2014 წლების განმავლობაში, თანდათან წარმოჩინდა V საუკუნეში აგებული გრანდიოზული, 5 წყვილი ჯვრისებრი გეგმის სვეტებით სამ ნავად დაყოფილი ქრისტიანული ბაზილიკის მოხაზულობა. იმხანად გამოჩენილი მისი მხოლოდ ცენტრალური ნაწილის ზომებიც კი (36 მ X 18.5 მ), მნიშვნელოვნად აღემატებოდა საქართველოში ცნობილ ყველა ბაზილიკურ ტაძარს.

2015 წელს განხორციელებული სამუშაოებით გამოირკვა, რომ ამ ისედაც გრანდიოზულ სამნავიან ბაზილიკას ჩრდილოეთიდან, დასავლეთიდან და სამხრეთიდან გარს ერტყა 4 მ-მდე სიგანის, ერთიანი გარე კედლებით შექმნილ სივრცეებში მოქცეული გარშემოსავლელების, ეკვდერების და ნართექსის სისტემა, რომელთა შემორჩენილი სიმაღლე 1 მ-დან 1.5 მ-მდე მერყეობს. ამრიგად, ამ უძველესი, გამორჩეულად მასშტაბური ბაზილიკის გარე ზომებმა 44 მ X 29 მ-ს მიაღწია, რითაც მას ანალოგი არ ეძებნება კავკასიისა და საზღვარგარეთის მახლობელ რეგიონების მსგავსი ტიპის, თანადროულ ნაგებობებში. უფრო მეტიც, გადაჭარბებული არ იქნებ ათუ ვიტყვით, რომ ის გვიანი ანტიკური ხანის რომის იმპერიის ადრებიზანტიული სამყაროს პირველი გრანდიოზული ქრისტიანული ბაზილიკების წრეში ექცევა.

ამ ძეგლის საეტაპო მნიშვნელობა წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევის დროს გამოვლენილმა კიდევ ერთმა დეტალმაც დაადასტურა. V ს-ის დიდი ბაზილიკის საკურთხევლის იატაკქვეშა სივრცეში მიკვლეულ იქნა ვრცელი, დაახ. 15 კვ. მ. ფართობის საძვალე-კრიპტა, რომელიც ტაძრის მშენებლობის დროსაა დატანებული აფსიდის ქვედა მოცულობაში. ამ კამერის ცენტრალურ ნაწილში, იატაკზე დაშენებული ყოფილა ხის ძელებით ნაშენი და კირით შებათქაშებული წმინდა ნაწილების ჩასალაგებელი რელიქვარიუმი (ლუსკუმა), რომელიც ამჟამად გეგმის დონეზე იკითხება. როგორც ჩანს, საკურთხევლის იატაკზე, სწორედ ამ ლუსკუმის თავზე იდგა ტრაპეზი.

საკურთხეველში, ტრაპეზის ქვეშ წმინდა ნაწილების ან წმინდანთა ნეშტების



მოსათავსებელი ამგვარი აკლდამების არსებობა სრულიად ჩვეულებრივი მოვლენაა გვიანანტიკურ რომაულ და ადრებიზანტიურ ქრისტიანულ ტაძრებში, საქართველოში კი, მსგავსი კონსტრუქცია ამგვარად სრულყოფილი სახით პირველად აქ გამოვლინდა.

დოლოჭოპის ბაზილიკის გათხრებმა 2016-2017 წლებში კიდევ ერთ სენსაციურ აღმოჩენამდე მიგვიყვანა: გამოირკვა, რომ V ს-ის ეს გრანდიოზული ტაძარი კიდევ უფრო ადრეული, 25 მ-მდე სიგრძის და დაახ. 15 მ-მდე სიგანის ქრისტიანული ტაძრის ნანგრევებზე ყოფილა აღმართული. ამ პირველი ტაძრის გათხრისას IV ს-ისთვის დამახასიათებელი ნივთიერი მასალა აღმოჩნდა და, დიდი ალბათობით, ნაგებობა სწორედ ამ ხანაშია აგებული. ეს ვარაუდი საბოლოოდ დაადასტურა პარტნიორი ინგლისელი მეცნიერების მიერ დოლოჭოპის ბაზილიკის





ამ ფენიდან აღებული ნახშირის რადიოკარბონულმა ანალიზმა, რომელიც უახლესი ევროპული ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარდა დიდ ბრიტანეთში, გლაზგოს უნივერსიტეტის სპეციალიზირებულ ლაბორატორიაში. ანალიზის დასკვნა ასეთია: დოლოჭოპში პირველი, ე. წ. სამეკლესიიანი ბაზილიკის ტიპის, მეტად მასშტაბური და სავსებით კანონიკური გეგმარების ტაძარი, IV ს-ის შუა წლებშია აგებული. ის, 95 %-იანი ალბათობით, 387 წელს არის დანგრეული მიწისძვრის შედეგად (სავარაუდო ცდომილება – 4-5 წელი). ზემოთ აღნიშნული დიდი ბაზილიკა, ამ კატასტროფიდან მალევე, V ს-ის დასაწყისშივე ჩანს აგებული წინარე ტაძრის ნანგრევებზე.

ამდენად, დოლოჭოპის აღნიშნული ბაზილიკების არქეოლოგიური კვლევის შედეგად საქართველოში, ბოლოს და ბოლოს, თვალსაჩინოდ დადასტურდა სავსებით კანონიკური გეგმარების, ვრცელი ქრისტიანული ტაძრების IV საუკუნესა V საუკუნის დასაწყისში აგების ფაქტი; ეს მაშინ, როდესაც ქართული სახელოვნებთმცოდნეო სკოლის მრავალი ცნობილი წარმომადგენელი, დღემდე მართებულად მიიჩნევს XX ს-ის 20-იან წლებში შემუშავებულ თეორიას იმის თაობაზე, რომ, თითქოსდა, IV საუკუნიდან მოყოლებული, V საუკუნის დასასრულამდე, საქართველოში მხოლოდ მცირე ზომის, პრიმიტიული გეგმარების ქრისტიანული ეკლესიები შენდებოდა, მოსახლეობისა და საერო-სასულიერო ხელისუფლების მსოფლიო ქრისტიანული კულტურის ტენდენციებში გაუთვითცნობიერებლობის გამო.



**– ბატონო ნოდარ, ოთხი თვის წინათ გაზეთ ყვარელში დაიბეჭდა თქვენი ინტერვიუ, სადაც დაუფარავად აკრიტიკებდით კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელობას დოლოჭოპის უნიკალური ბაზილიკის არქეოლოგიური კვლევის მნიშვნელობის არასათანადოდ შეფასების და არაადეკვატურად მცირედი დაფინანსების გამო; დღეისათვის ვითარება ხომ არ შეცვლილა?**

როგორც უკვე აღვნიშნე, დოლოჭოპის ბაზილიკის არქეოლოგიურ კვლევების ხარჯებს 2012 წლიდან დღემდე, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი გაიღებს სწორედ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ წარდგენილი პროგრამის მეშვეობით, სადაც საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე, ყველაზე მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლების დაფინანსების ოდენობა, წესით და რიგით, მათი პრიორიტეტულობის მიხედვით უნდა იყოს გაწერილი. აი, სწორედ ამ გადანაწილების ობიექტურობის შესახებ გამოვთქვი ეჭვი თქვენ გაზეთში დაბეჭდილ ინტერვიუში. ვფიქრობ, არცთუ უსაფუძვლოდ მეჩვენება, რომ სააგენტოს მესვეურებზე სერიოზულ ზეწოლას ახდენდნენ წარსულში გავლენიანი პირები, რომლებიც ვერ ელევიან საბჭოთა ეპოქის გადმონაშთ ჩვეულებას – სამეცნიერო თანამდებობების მფლობელი „ავტორიტეტების" მიერ ოდესღაც ჩამოყალიბებული დოგმების ერთხელდა სამუდამო დადგენილ ჭეშმარიტებად მიჩნევას... მათ, სამწუხაროდ, სრულიადაც არ ახარებთ ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების გენეზისის ახლებური ხედვა, რასაც დოლოჭოპის ბაზილიკის კვლევა ამკვიდრებს....

საბედნიეროდ, მე და ჩემი გუნდის წევრ ახალგაზრდა მეცნიერებს, ვაჟა მამიაშვილს და ბაჩანა გაბეხაძეს, უკანასკნელ ხანებში, ცნობილი ევროპული და ამერიკული სამეცნიერო ორგანიზაციების წარმომადგენელი საზღვარგარეთელი კოლეგები დაგვიდგნენ გვერდით – ისინი ჩამოდიან ამ ძეგლზე, გვიწვევენ კონფერენციებზე, გვეხმარებიან მოპოვებული მასალის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით განსაზღვრა-დათარიღებაში. ჩვენც გავააქტიურეთ ქართველ საზოგადოებრიობაში დოლოჭოპის ბაზილიკის კვლევების შედეგების პოპულარიზაცია. შედეგმაც არ დააყოვნა: აღნიშნული ინტერვიუს შემდგომ, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტომ ჩაატარა საქართველოს მოსახლეობის ინტერნეტ-გამოკითხვა იმის თაობაზე, თუ საქართველოს რომელ ისტორიულ ძეგლებზე მიმდინარე არქეოლოგიური კვლევების თვლიან ისინი ყველაზე მნიშვნელოვნად და, შესაბამისად, პირველ რიგში დასაფინანსებლად. გამოკითხვაში დოლოჭოპის ბაზილიკის არქეოლოგიურმა კვლევამ დიდი უპირატესობით მოიპოვა გამარჯვება და, პირობისამებრ, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ ეს სამუშაოები 2018 წელს სრულყოფილად უნდა უზრუნველყოს მატერიალურად. იმედი გვაქვს, რომ ამ ოფიციალურ აღიარებას მაინც, წინ აღარაფერი დაუდგება.

**– „ილიას ტბიდან" დოლოჭოპის ბაზილიკამდე მისასვლელი გზის მშენებლობაზე ახალს რას გვეტყვით?**

– ამ გზის მშენებლობის თაობაზე, ყვარლის მუნიციპალიტეტისა და კახეთის სამხარეო ადმინისტრაციის მესვეურებმა წელს საჯაროდ გამოთქვეს ცალსახა დამოკიდებულება. მათი პირობისამებრ, ყვარლის მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებისათვის ამ ერთ-ერთი პრიორიტეტული გზის მშენებლობის ხარჯები 2018 წელს უთუოდ იქნება გათვალისწინებული საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის პროგრამაში.

**– დოლოჭოპის ბაზილიკის გათხრებისას გამოვლენილ მიცვალებულთა ნეშთების ახალ განსასვენებელზე , მათი სულების მოსახსენიებლად სამლოცველოს აგება გსურდათ, მაგრამ უსახსრობის გამო ხელი გეშლებათ. ნუთუ ჩვენს ბიზნესმენებს ისე უჭირთ, რომ ამ მეტად მნიშვნელოვანი პრობლემის მოსაგვარებლად მცირედი თანხის გაღებაც არ სურთ?**

– რა მოგახსენოთ... კვლავაც ვფიქრობ, რომ ამ გათხრებისას მიკვლეული 100-ზე მეტ საოჯახო აკლდამაში მოთავსებული 500-მდე წინაპრის ნეშტი ჩვენგან განსაკუთრებულ პატივისცემას და მოწიწებას იმსახურებს. მე, პირადად, არ მასვენებს იმაზე ფიქრი, რომ X-XII საუკუნეებში ამ ნასოფლარში მცხოვრებ ქრისტიან ქართველთა მიწიერი ნეშტების შეწუხება მოგვიხდა, თუნდაც მეტად კეთილშობილური მიზნით – კიდევ უფრო ადრინდელი ქართული ტაძრის წარმოსაჩენად... მინდა გაუწყოთ, რომ მემორიალური სამლოცველოს მშენებლობა უკვე მიმდინარეობს. ჩემთან ერთად, ორმა ყვრლელმა მოქალაქემ და ორმა თბილისელმა სტუმარმა უკვე გაიღო იმისთვის საკმარისი თანხა, რომ წინაპართა ეს ძვლები უახლოეს დღეებში, სავარაუდოდ ილიაობის დღესასწაულზე, ახლად შექმნილ აკლდამაში ჩავასვენოთ. ეს აკლდამა ისე გავმართეთ, რომ მომავალში მასზე მცირე სამლოცველოს დაშენება იქნება შესაძლებელი. ჩვენ ყვარლელ მოქალაქეებს კვლავ მოვუწოდებთ, თუნდაც სიმბოლური სახსრები გაიღონ ამ მამულიშვილური საქმის ბოლომდე აღსრულებისთვის. იმედია, საქართველოს ეკლესიის ნეკრესის ეპარქიაც დაგვიდგება გვერდით.



**ესაუბრა**
**ალექსანდრე გიგილოშვილი**

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი". გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დირექტორი
ალექსანდრე გიგილოშვილი
მოადგილე
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი
კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარელი, კუდიგორის №2
საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86